



ISSN 0132-1307

საბჭოთა სელოვნება

1979 1



1/1979

160291

საბჭოთა ენციკლოპედია

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ქოველთვიური ჟურნალი

შინაარსი

ნიკოლოზ ჯანაშია — ქართული ლიტერატურის მშენებელი	2
ლიბერთი ალექსიძე — მოზარდ მავთრებელთა სახელმწიფო ქართული თე- ატრის იუბილე	10
მეფეაღა ცხომარია — ქიზის ორმოცდაათი წელი	12
გუბაშ მეგრელიძე — ღაპით კლდიაფრინის სამხარეო	25
სიმონ კინწურაშვილი — მღვდელ ავახუშტი	28
ოთარ ბაქანიძე — ბრიტულ კვიტა-მსწვენიანყო	39
პარმენ ჯაქარია — თბილისის არქიტექტურული სახისათვის	45
ნოდარ ანდლუაძე — ვითარული ხელმოწერების ზოგადი თეორიის მეთოდო- ლოგიური საკითხები	48
ლიბერთი თუმანიშვილი — ქართული სიძველეთა შესწავლის რატორიული	52
ალექსანდრე გვენცაძე — ქართველი კინემატოგრაფი ამირკაკაძის რეპუბლი- კის კინოტეორიები	62
აკაკი ვასაძე — მომონები და ფიქრები	67
„ღონ შანი“ თბილისში	75
იოსებ მეგრელიძე — ლუჩარი ნაღური ლეოს-სიმონის ორი ნიშნები	76
იური პლატონი — ავტოსტრასტოგრაფი ნაბეგობები საზღვარგარეთ	78
ლერი ჩანტაძე — შემომედიტი — ფილოსოფიური პრობლემა	94
ვასილ კიქნაძე — წიგნი და ვისი ავტორი	92
ლაშა თაბუკაშვილი — ღარაბის მიღმა ბაჭყალი	98
ქონიძე	113

105

თავტრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
თეორიები

მთავარი რედაქტორი
თამაზ ბილაძე
სარედაქციო კოლეგია:
აკაკი ბაქანიძე,
ვახტანგ ბერიძე,
ნოდარ ბაბუნიანი,
ჯუმაბეგ თითუმბერი,
(პასუხისმგებელი რედაქტორი),
ვასილ კიქნაძე,
ნოდარ მგალობლიძე,
ზურაბ ნიშანაძე,
გივი ორბელიანი,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხეიძე,
ანდრო ფულაძე,
ნიკო ბაგვაშვილი.

ქართული მწერლობა დღიდან თავისი გაჩენისა ქართველი ხალხის აზრისა და გრძნობის, საჭიროებისა და ოცნების, სახისა და არსისა საუკეთესო გამომატველია. ამიტომაცაა, რომ დღეს ქართველი ხალხი ასე ზეიმობს ქართული ლიტერატურის უძველესი ძეგლის იაკობ ლომთაძის „შუშანიკის მარტვილობის“ დაწერის შეთქმულთავე წლისთავს.

ქართული მწერლობის წარმოშობა, ბუნებრივია, პირდაპირ უკავშირდება ქართული დამწერლობის შექმნას. ცხადია, ქართული მწერლობა შეიძლება გაჩენილიყო მხოლოდ ქართული დამწერლობის შექმნის შემდეგ, სამწუხაროდ, დღესდღეისობით ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ზუსტი ცნობები ქართული დამწერლობისა და ქართული მწერლობის შექმნა-წარმოშობის დროზე.

ქართული დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნიმუშები V საუკუნით თარიღდება. მაგრამ ამ დროის დამწერლობას ცხადად ეტყობა, რომ მას უკვე განვითარების დიდი გზა აქვს გავლილი და მისი წარმოშობაც უფრო ადრინდელ ხანაში უნდა ვიგულისხმოთ. მკვლევართა დიდი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ქართული დამწერლობა წინაქრისტიანულ ხანაში უნდა იყოს შექმნილი, შესაძლებელია ძველი წგლისწილების III ს-ის დასაწყისში, ქართლში ფარნავაზის მეფობის დროს, როგორც ეს ნათქვამია „ქართლის ცხოვრების“ შესავალში.

დაახლოებით ასეთივე ვითარება გვაქვს ქართული მწერლობის მიმართაც. ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლიც — „შუშანიკის წამება“ — V საუკუნით თარიღდება. მაგრამ ისიც ისეთ მაღალ ლიტერატურულ დონეზეა შესრულებული, რომ, საფიქრებელია, მას უნდა ჰყოლოდა წინამორბედად დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე მწერლობა. ამიტომაც უუწოდებთ „შუშანიკის წამებას“ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ლიტერატურულ ძეგლს. ამით ჩვენ ვგულისხმობთ, რომ იყო სხვა, ჩვენამდე არ მოღწეული თხზულებები. ამ ძველი მწერლობის კვალი თითქოს შეინიშნება გვიანდელ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში. ყოველ შემთხვევაში, უეჭველად ჩანს, რომ „შუშანიკის წამების“ დაწერის დროს უკვე არსებობდა სა-

ქართული ლიტერატურის მემორიალი

ნიკოლოზ ჯანაშია

კმაოდ მდიდარი თარგმნილი საქრისტიანო ლიტერატურა.

გასაგებია, რომ, როგორც ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ძეგლს, „შუშანიკის წამებას“ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის ისტო-

1500



გეგლავთ ზ. ნივარაძის, თ. ნირზაშვილისა და ლ. ცუცუკერიძის ილუსტრაციებს

ზ. ნივარაძე

რიისათვის. იგი საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ ამ დროის ქართულ მწერლობაზე და, როგორც უკვე ითქვა, თვით უფრო ადრინდელზეც. ამ თხზულების უდიდეს მნიშვნელობას მისი ქვეშაირტად მაღალი ლიტერატურული ღირსებები განაპირობებს.

„მუშანიკის წამება“ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა, მისი მშვენიერება.

„მუშანიკის წამება“ სვამს მრავალ საკითხს, როგორც კონკრეტულს, ისე ზოგადს, თეორიულს. ქართულმა, და არა მარტო ქარ-



თულმა, მეცნიერებამ ამ მოთხრობას კარგა ხანია მიაქცია ყურადღება. მთელი რიგი საკითხებისა, უფრო კონკრეტული ხასიათისა, უკვე შესწავლილად და გარკვეულად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, დღეს ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რომ „შუშანიკის წამების“ ავტორია თვით თხზულებაშივე მოხსენებული ხუცესი იაკობი, შუშანიკის მოძღვარი. სხვათა შორის, პირველად ეს შენიშნა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილმა ქართველმა ლიტერატორმა და მეცნიერმა ანტონ ბაგრატიონმა (ანტონ კათალიკოსმა).

გაირკვა „შუშანიკის წამებაში“ მოთხრობილი ამბების ქრონოლოგია: „წამებაში“ მოთხრობილი ამბავი იწყება 468 წლის ბოლოსა თუ 469 წ. დასაწყისში, ხოლო მთავრდება 475 წ. 17 ოქტომბერს, შუშანიკის გარდაცვალების დღეს. ამან, თავის მხრივ, დააზუსტა „შუშანიკის წამების“ დაწერის თარიღი. V ს. სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარბეცის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა 482 წ. მოაკვლევინა ვარსკენ პიტიაში. თავის დროზე ავად. კ. კეკელიძემ შენიშნა, იაკობს რომ სცოდნოდა ვარსკენის მოკვლის ამბავი, აუცილებლად აღნიშნავდა თავის თხზულებაში, თუნდაც როგორც ლეთის სასჯელს შუშანიკის წამებისთვის. აქედან ირკვევა, რომ „შუშანიკის წამება“ დაიწერა 475-482 წლებს შორის, უფრო კი უშუალოდ შუშანიკის სიკვდილის შემდეგ, 475 წ. ბოლოსა თუ 476 წ. დასაწყისში. როგორც თვით იაკობის სიტყვებიდან ჩანს,


შუშანიკის ამბავის აღწერისათვის იგი ემზადებოდა ვარსკენის გამაზღვანების შემდეგ სასახლიდან შუშანიკის წასვლის პირველვე დღიდან. ამიტომ, საფიქრებელია, რომ „წამების“ დაწერას იგი არ გადასდებდა და შუშანიკის სიკვდილისთანავე მოჰკიდებდა ხელს.

ჯერ კიდევ საბოლოოდ გარკვეული არაა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, თუ რამდენად სრულად მოაღწია ჩვენამდე იაკობის თხზულებამ. საქმე ისაა, რომ „შუშანიკის წამების“ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნუსხა მეათე საუკუნით თარიღდება. გამოირიცხული არაა, რომ სანამ ამ ნუსხის გადამწერის ხელში მოხვდებოდა, „შუშანიკის წამება“ არავითხელ იქნა გადაწერილი და რაღაც ცვლილებებიც განიცადა. მაგალითად, მიზნულა, რომ „წამება“ რამდენადმე განახლებულია ენობრივად. კერძოდ, მასში აღარაა ე. წ. ხანმეტობა.

შესაძლებელია, ტექსტმა ზოგი სხვა ცვლილებაც განიცადა: მაგალითად, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „შუშანიკის წამების“ ჩვენთვის ცნობილ ტექსტს აკლია დასაწყისი. ზოგი ფიქრობს, რომ ტექსტს აკლია შიგნითაც, ზოგიერთის აზრით კი მას გვიანდელი ჩანამატებიც აქვს.

როგორც ითქვა, რიგი ამ საკითხებისა საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ ისე ჩანს, რომ „წამების“ ტექსტი მაინც საკმაოდ კარგადაა შემონახული. იმავე ენობრივ მხარეს თუ მივუბრუნდებით, ხანმეტობის მოსაბოხის გარდა, სხვა რამ არსებითი ცვლილება „წამე-

ლ. ცუქურიძე



ბას“ არ ეტყობა და იგი „ძირითადად ძველი ქართული ენის კვალობაზე არის გამართული“ (ა. შანიძე). არც მხატვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით იგრძნობა ტექსტის რაიმე მნიშვნელოვანი ნაკლებობა.

ერთ დროს უცილობლად იყო მიჩნეული, რომ „შუშანიკის წამება“ ავთოგრაფიული ნაწარმოებია, ოღონდ რამდენადმე გამოსული ამ ეპოსის ფარგლებიდან. ბოლო ხანებში გამოითქვა აზრი, რომ იგი, და მასთან ერთად ძველი ქართული ლიტერატურის ზოგი სხვა ძეგლიც, რომელიც, აგრეთვე, ავთოგრაფიულად იყო მიჩნეული, საერო ლიტერატურას უნდა მიეკუთვნოს. ამ უკანასკნელი აზრის საწინააღმდეგოდ არის ცდა „შუშანიკის წამება“ განხილულ იქნეს როგორც სავესებით ავთოგრაფიული ეპოსის ნაწარმოები, თხზულება, რომელიც მთლიანად თავსდება ამ ეპოსში.

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია „შუშანიკის წამების“ შესწავლისას აღძრულ პრობლემათაგან. მისმა გადაწყვეტამ უნდა გაარკვიოს „შუშანიკის წამების“ ადგილი როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ლიტერატურაში. სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯერ კიდევ სავესებით შესწავლილი არა ჩანს.

ავთოგრაფიული თხზულების გმირები უმთავრესად ცალმხრივნი არიან; დადებითი გმირები ყოველგვარი სიკეთით არიან აღსავსენი. უარყოფითნი პირიქით — ყოველგვარი ბოროტებით. ხასიათების განვითარება არა ჩანს. დადებითი გმირი თავიდან ბოლომდე

ერთნაირად კეთილია, უარყოფითი — ერთნაირად ბოროტი. შეიქმნა მთელი რიგი შაბლონებისა, შტამპებისა. მრავალი ტრაფარეტია სიუჟეტურ სიტუაციებში, მხატვრულ

ხერხებში და სხვ. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აგიოგრაფიული მწერლობის ერთ-სახიონად წარმოდგენა სწორი არ იქნება. ამასთანავე, აგიოგრაფიამ განიცადა მნიშვნელოვანი განვითარება. აღრინდელი აგიოგრაფია (იველისხმება ბიზანტიური აგიოგრაფია, როგორ ყველაზე ტიპური და რომელთანაც ყველაზე ახლო იდგა ქართული) ნაკლებად იყო შეზოქილი ზემოხსენებული შტამებით. აღრინდელი ბიზანტიური აგიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშები გვაოცებს თავისი თავის-

გამორჩევა თავისი გ.საკუთრებული ლიტერატურული ღირსებებით.

იგი საესებით რეალისტურად გადმოგვცემს ნამდვილ ამბავს, ადამიანების სულში ღრმა ჩაწვდომით გეხატავს მათ შორის ჭიდილს, მასში არცერთი მომენტი არაა ფსიქოლოგიურად გაუმართლებელი.

იაკობის გმირების ხასიათი იცვლება, ვითარდება ამ მოკლე მოთხრობის მანძილზე.

იაკობის გმირებისთვის დამახასიათებელია, რომ ისინი ცოცხალი ადამიანები არიან თა-



უფლებით, რეალისტური ელემენტებით, სივლით. შტამში და ტრაფარეტი განსაკუთრებით მრავლდება და მკვიდრდება VI საუკუნეიდან. ასე რომ, როგორც მიჩნეულია, აგიოგრაფიული ეპოსის განვითარება დაღმავალი გზით წავიდა. დღევანდელი მხატვრული თვალსაზრისით აღრინდელი აგიოგრაფიული თხზულებები უფრო საინტერესოა არიან.

„შუშანიკის წამება“ ქრონოლოგურადაც და ტიპოლოგურადაც სწორედ აღრინდელი აგიოგრაფიის ძეგლია. და, მაინც, ვფიქრობთ, რომ „შუშანიკის წამება“ მათ შორისაც კი

ვისი დადებითი მხარეებითა და ნაკლით. შუშანიკი, რომელიც წმინდანად არის წარმოდგენილი, როგორც ვნახეთ, ხასიათის გარკვეულ სისუსტეს—მერყეობას ამჟღავნებს. სიყვდილის წინ, ექვსი წლის თვითგვემისა და ამქვეყნიურ ვნებათა დათარგუნვის შემდეგ, შუშანიკი მოულოდნელად თითქოს რაღაც სინანულსაც კი გამოთქვამს ვარსკენის მიერ დაჩაგვრის გამო, ხოლო ქრისტიანული პატივის მაგივრად მის სიტყვებში ვარსკენის მიმართ მუქარაც კი ისმის. დაბოლოს, ის იხეუსამართლოდ და უხეშად მოექცევა თავისი მამლის, ჯოჯიკის ცოლს (სახეში შეაღწევენ

ღვინიან ჭიქას), რომ სრულიად მოულოდნელია არათუ წმინდანისაგან, არამედ ჩვეულებური მოკვდავისაგანაც კი. ის, რომ იაკობმა გაბედა ამის თქმა თავის დადებით გმირებზე, მის სიღიადეზე ლაპარაკობს. ასეთი გაბედულება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ჭეშმარიტად დიდი მწერალს.

ასევე საინტერესოა ნაჩვენები ვარსკენიც, შუშანიკის ანტიპოდი. წინააღმდეგ ტრადიციული აგიოგრაფიული მტარვალისა, ვარსკენს სახეებით აღამიანური თვისებებიცა

თვით „წამების“ ავტორის იაკობსაც, „შუშანიკის წამების“ ყოველ პერსონაჟს თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებს და ყოველი მათგანის მოქმედება ფსიქოლოგიურად საეხსებებით მოტივირებულია. ამასთან, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში, ეს მამოძრავებელი ძალები თვალნათლივ არა ჩანან, რის გამოც მათი გაგება სხვადასხვანაირად შეიძლება. ამიტომაც არის, რომ ამ პატარა მოთხრობის რადიკალურად განსხვავებული წაკითხვები არსებობს. რა თქმა უნდა, ესეც

ზ. ნიკარაძე



აქვს. მართალია, გააფთრებული და წონასწორობიდან გამოსული, იგი სასტიკად სცემს თავის მეუღლეს, მაგრამ დამცხრად* და გონს მოსული თითქოს იცოდებს მას, ცდილობს, შეირიგოს, ხანდახან ყურადღებასაც კი არ აქცევს მის გამომწვევ მოქმედებას. უფრო მეტიც — ჩვენ ვრწმუნდებით, რომ მისი სი-სასტიკე ზოგჯერ მოჩვენებითია, რადგან არავითარი შედეგი არ მოსდევს.


იაკობი ახერხებს ასევე ცოცხალ აღამიანებად წარმოვიდგინოს თავისი მოთხრობის მეორეხარისხოვანი პერსონაჟებიც კი — ჯოჯოკი, აფოცი, ვინმე სპარსი. ცხადად ეხედავთ

მხოლოდ ჭეშმარიტად დიდი ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშის თვისებაა.

ვარსკენისა და შუშანიკის დაპირისპირებას. უეჭველად, მეტად ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. ჩვენი აზრით, აქ მოთავარა პიროვნებათა შეჯახება, ხასიათების ჭიდილი. სარწმუნოების საკითხი მხოლოდ საშაბია ამ შეჯახებისა, მისი დამაჩქარებელი და გამამძლავებელი. ეს ორი, მკვეთრად გამოკეთილი, ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათი მაინც დეჯახებოდა ერთმანეთს, ვარსკენს ქრისტიანობა რომც არ უარეყო. ეს არის მხატვრული ნაწარმოების თავისთავადი ლოგიკა, ფაქტ-



ლ. ცუცქერიძე



ბის პარალელურად რომ წარმოიშობებოდა სტეპობს.

ცხადია, შუშანიკი მხოლოდ შეიღების აღზრდილია და საოჯახო საქმეებით გართული ქალი არ ყოფილა. ვარსკენის განდგომის გამო მას არა მარტო ოჯახი ენგრეოდა, არამედ განსაზღვრული პოლიტიკური ხასიათის საქმეც ელუპებოდა.

იაკობი დაჰილდობებულია დიდი პოეტური ნიჭით. შეუძლია სხვასაც მკაფიოდ დაანახოს, რასაც თვითონ ხედავს. ერთ-ორი სიტყვით შეუძლია გააცოცხლოს ამბავი, ხელშესახები გახადოს ადამიანი თუ ნივთი. მისი სიტყვა ყოველთვის ზუსტია, სწორედ იმას გამოხატავს, რისი თქმაც სურს ავტორს. იაკობი უღარესად ლაკონიურია, მის მოთხრობაში ვერაფერს ვნახავთ ზედმეტს. მისი ოსტატობა ამ მხრივ პირდაპირ ვასაოკრია. „შუშანიკის წამება“ ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი და, შეიძლება ითქვას, ერთი ამოსუნთქვითვე ეთხება.

თუმცა „შუშანიკის წამება“ ავთოგრაფიული ნაწარმოებია, მას აქვს მთელი რიგი ისეთი თვისებებისა, რომლებიც დამახასიათებელია ბევრად უფრო გვიანდელი მწერლობისთვის, ის ჰემზარიტი წინამორბედი კართულიტერატურაში მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენისა.

ავთოგრაფიული თხზულებები უმარავია, ასეულობითაა დაწერილი, მაგრამ „შუშანიკის წამების“ მსგავსი სულ რამდენიმე თუ ჩამოითვლება.

ჩვენთვის „შუშანიკის წამებას“ იმიტომაცა აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ იგი არის უძველესი ქართული საისტორიო ნარატიული წყარო, რომელმაც შემოგვინახა უღარესად საინტერესო ცნობები V ს. მეორე ნახევრის ქართლის ისტორიისათვის. ეს მეტად საინტერესო ეპოქა ჩვენი ქვეყნის წარსულში. სწორედ ამ დროს ხდება ქართლის ფეოდალიზაცია და, ამასთან ამ დროს მიმდინარეობს დიდი გამათავისუფლებელი ბრძოლა ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ დიდ ქართულ წიგნში აისახა ქართველი და სომეხი ხალხების ძველსძველი ურთიერთობათა და მეგობრობის მნიშვნელოვანი მომენციტ. „შუშანიკის წამება“ არა მარტო ჩვენამდე მოღწეული უძველესი ლიტერატურული ძეგლია, უძველესი საისტორიო წყაროცაა. მკითხველი მასში ნახავს მრავალ ცნობას არა მარტო პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური ისტორიისათვის, არამედ ქართული ეთნოგრაფიისათვის, თვით მედიცინის ისტორიისთვისაც კი.

ბუნებრივია, რომ „შუშანიკის წამების“ დაწერის ათასწუთასი წლისთავი ასეთ დიდ

ზეიმად გადაიქცა ჩვენთვის, ამასთანავე, მეტად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მისი აღნიშვნა საჭიროდ ჩასთვალა ისეთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო კულტურულმა ორგანომ, როგორცაა იუნესკო. ცხადია, ეს არის საერთოდ ქართული კულტურის, ქართუ-

ლი ლიტერატურის და, კერძოდ, მისი უმცირესი ლესი ძეგლის „შუშანიკის წამების“ მკაცრი აღიარება. ამავ დროს, უეჭველად, ეს არის დღევანდელი საქართველოს მრავალმხრივი კულტურული და სოციალური მიღწევების აღიარებაც.



ლ. მუქიბიძე



მოგარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის იუბილე

ღიმიტრი ალექსიძე

ქართული კულტურის კიდევ ერთი კერა, მოზარდ მაყურებელთა თეატრი ზეიმობს თავისი შემოქმედებითი ცხოვრების 50 წელს. მოზარდ მაყურებელთა თეატრი ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მანამდე კი კულტურის მსგავსი დაწესებულება არსად, არცერთ ქვეყანაში არ არსებობდა. მაგონდება ჩვენნი, ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ჩამოყალიბების წლები, მისი პირველი სპექტაკლები. სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც ოპერის თეატრში ვნახე ალექსანდრე თაყაიშვილის მიერ დადგმული „რობინ ჰუდი“ და მაშინვე ვიგრძენი, რომ თეატრს ნიჭიერი ხელმძღვანელი ჰყავს და დიდი მომავალი აქვს. ა. თაყაიშვილი იყო თეატრზე ფანტაზიურად შეყვარებული, მსახიობთა აღმზრდელი და დამფასებელი, ორიგინალურად, დროის შესაბამისად მოზაროვნე რეჟისორი, რომლის დედალს ქართული სასოფლოებო, კერძოდ კი მოზარდ მაყურებელთა თეატრი ვერასოდეს დაივიწყებს.

დღეს ჩვენ ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ მაყურებელზე, მის დამოკიდებულებაზე თეატრისადმი, მის ფსიქოლოგიაზე, მაგრამ როდის შედის ადამიანი პირველად თეატრში, როდის ხდება მისი ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება? რა თქმა უნდა, ბავშვობაში. მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებზე და ამ სპექტაკლებზე მიღებული შთაბეჭდილება განასაზღვრავს შემდეგ მის დამოკიდებულებას თეატრისადმი. ამიტომ მოზარდ მაყურებელთა თეატრს თავისი სპეციფიკის მიხედვით უზარმაზარი პასუხისმგებლობა აკისრია მოზარდის გემოვნების, მისი სულიერი და ინტელექტუალური მოთხოვნილებების აღზრდაში. ჩვენ ზუსტად ისეთი მაყურებელი გვეყოლება შემდეგ, როგორსაც მოზარდ მაყურებელთა თეატრი აღვიზრდის. ასეთ თეატრს უნდა ემსახურებოდნენ საუკეთესო დრამატურგები, რეჟისორები, მსახიობები. ერთხელ, იმ პერიოდში, როცა მოზარდ მაყურებელთა თეატრები ყალიბდებოდა, სტანისლავსკის ჰეიბეს, როგორც უნდა ვითამაშოთ ბავშვებისთვის, რაზე დიდმა რეჟისორმა უპასუხა, ისევე, როგორც მოზარდობისათვის, მაგრამ ბევრად უკეთო. ამით მან ხაზი გაუსვა იმ სიართულეს, იმ დიდ პასუხისმგებლობას, რაც მოზარდ მაყურებელთა თეატრს აკისრია. ბავშვის სული სათვით ინსტრუმენტია და მას უნდა მიუდგეთ ფაქიზად, გულწრფელად. არ შეიძლება ბავშვის შეცდომაში შეყვანა, მისი მოტყუება. მას უნდა ვუთხროთ სიმართლე, დიდი სიმართლე, რადგან თუ ერთხელ გაუტყდა ჩვენზე გული, თუ ერთხელ დაგვიტყდა არაბუნებრიობაში, არაგულწრფელობაში, შემდეგ მისი შემობრუნება მეტისმეტად ჭირს. ამიტომ მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები ისეთივე უმუალონი და გულწრფელები უნდა იყვნენ, როგორც მათი მაყურებელთა. ამ მხრივ ჩვენნი ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრი ქების ღირსია, მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენნი ბავშვებისათვის სწორი იდეური და ესთეტიკური აღზრდა მიეცა. და ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ამ თეატრში თავი მოიყარეს ისეთმა ცნობილმა რეჟისორებმა, როგორც იყვნენ და არიან ა. თაყაიშვილი, ს. ჭელიძე, ბ.

50

გამრეკელი, გ. დარისპანაშვილი, კ. სურმაგა; მსახიობები: თ. თვალაშვილი, გ. კუპრაშვილი, მ. ერგელი, ვ. არეშიძე, ი. ნინუა, ა. კაკატიშვილი, ნ. სირხილაძე, ა. ლენინაშვილი, დ. ცხაკაია, გ. დიხაძე, ნ. ხორავა, გ. ჯაჯანაშვილი და სხვები.

სხვათა შორის, აქვე მინდა განვაცხადო, რომ საქართველოს თეატრალურ სასოგადოებასთან შეიქმნა სპეციალური ბიბლიოთეკა „ბავშვები და თეატრი“, სადაც მოზარდი თაობა გაეცნობა, როგორც თავისი თეატრის, ასევე საერთოდ ქართული თეატრის ცხოვრებასა და ისტორიას.

რაც შეეხება თეატრის მომავალს, ჩემი აზრით, მოზარდ მაყურებელთა თეატრი აღზავლობის გზას ადგას, რაშიც კიდევ ერთხელ დავგარწმუნა მოსკოვში ჩატარებულმა წლიურადელმა გასტროლებმა. ასე სრული სახით თეატრი არასოდეს არ წარმდგარა უცხო მაყურებლის წინაშე, განსაკუთრებით ისეთი მომთხოვნი მაყურებლის წინაშე, როგორც მოსკოველი მაყურებელია. თეატრმა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში სუთი თუ ექვსი სპექტაკლი ჩაიტანა და თითოეულმა მათგანმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს აღინიშნა პრესაშიც და პირად საუბრებშიც. დამსწრე სასოგადოებას მართკ რეჟისორი ნამუშევრები და მსახიობთა თამაში კი არ მოეწონა, არამედ თეატრის რეჟერტივარში შეტანილი ქართული და კლასიკური პიესებიც. ერთი სიტყვით, ჩვენი მოზარდ მაყურებელთა თეატრი გამარჯვებით დაბრუნდა გასტროლებიდან. ჩვენ ახლაც ვლტებულობი წერილებს მოსკოვიდან, სადაც მაყურებლები აღტაცებით ლაპარაკობენ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებზე, აბა, რომელ მაყურებელს არ მოეწონება მიუზიკლი „მერი პოპინსი“, სადაც უნაკლოდ მგაღვანდება მსახიობთა სინთეზური ნიჭი სიმღერისა, ცეკვისა, მეტყველებისა, პლასტიკისა, რიტმისა, სადაც სიცოცხლე და ხალისი სუფევს. ამ სპექტაკლის წარმატებას დიდად შეუწყობ ხელი ჩვენი ცნობილი ბალეტკორიტრის ი. ზარეცკის მიერ დადგმულმა ცეკვებმა, რისთვისაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მას.

ერთადერთი პრეტენზია, რაც მე მოზარდ მაყურებელთა და საერთოდ ქართული თეატრის მიმართ მაქვს, ეს არის მეტყველების, სწორი ქართული ლაპარაკისა და სწორი სცენური მეტყველების გამოუმუშავება და დახვეწა. ქართველ ბავშვს სცენური მეტყველება პირვლად მოზარდ მაყურებელთა თეატრში ესმის და ეს გვაგადიდებულგაბედები სიფრთხილი გამოვიჩინოთ. ბავშვს ფაქიზი სმენა აქვს და ჩვენი ვაღლია მას გამოვუმუშავოთ სწორი, დახვეწილი სმენა, შევაჩვიოთ იგი აქტიურ, გამართულ მეტყველებას. ბავშვი ადვილად იმასსოვრებს იმას, რაც სცენიდან ესმის და როცა ჩვენ ვცოდავთ, ამით ბავშვის მეტყველებასაც ვამახინჯებთ. ერთი სიტყვით, მე მინდა მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები განსაკუთრებით კულტურულნი, პროფესიულად დაოსტატებულნი, ყოველ მხრივ სანაქებო შემოქმედნი იყვნენ, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც მოზარდ თაობას, ასევე მთელ ჩვენს ხალხს.

რა თქმა უნდა, მოზარდ მაყურებელთა თეატრში მომზადვლა ქართული პიესები, ქართული მხატვრული ნაწარმოებების საფუძველზე შემქნილი სპექტაკლები, მაგრამ ამ მხრივ ჩვენ მაინც დიდი გასაჭირი გვადგას. არა გვყავს იმდენი და ისეთი დრამატურგები, რომლებიც ეროვნული თეატრის მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ. ამ მიზრი განსაკუთრებით უჭირს მოზარდ მაყურებელთა თეატრს, რადგან პიესის დაწერა საერთოდ ძნელია, ხოლო მოზარდთათვის — კიდევ უფრო ძნელი. უნდა იცოდ ბავშვის ფსიქოლოგია. იცნობდე გარემოს, სადაც მას უხდება ცხოვრება და სხვა ბავშვებთან ურთიერთობა, მაგრამ მიუხედავად ამ სიმძნელებისა, ჩვენმა დრამატურგებმა მაინც უნდა მოაკიდონ ხელი საბავშვო პიესების წერას. ბოლო წლებში ჩვენ რამდენიმე კონკურსი გამოვაცხადეთ საბავშვო პიესებზე, მაგრამ სასურველი შედეგი ვერც ამ კონკურსებმა მოგვტანა. პიესები აღმოჩნდა მდარე, უხარისხო, გაუმართავი. ასე რომ, ეს პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია, რაც თეატრის განვითარებას დიდად უშლის ხელს.

ულოცავ ჩვენს საყვარელ თეატრს შემოქმედებითი ცხოვრების 50 წლისთავს, ვუსურვებ წარმატებას, დიდ შემოქმედებით სიხარულს და, რაც არსებითია, ახალ, კეთილმოწყობილ, თანამედროვე ტექნიკის ყველა საშუალებებით აღჭურვილ შენობაში გადასვლას.





ქიეზის ორომხლაათი წელი

მაყვალა ცხომარია

პრემიუმს გადმოცემა, რომ თბილისის მოზარდ
საყურებელთა თეატრის მიერ საკუთარი შენობის
სცენაზე ნათამაშებ პირველ სპექტაკლს ორად-
ორი ბიჭი დასწრებია. ახლა ხშირად მიხდება შეს-
ვლა ამ თეატრის დარბაზში და როცა ცნობისწა-
დილით შეპყრობილ ხუთას წყვილ თვალს ვხე-
დავ, ვფიქრობ, რა კეთილშობილურია ის შრომა,
რომელიც მათ თვალებს ალაგზნებს, მათ გულებს
გაათბობს, მათ გონებას ასაზრდოებს, ცოდნის
წყურვილს აღძვრავს და დიად მიხნებს წააგო-
ნებს.

ჩვენში ბავშვებისათვის საკუთარი თეატრის
დაარსების იდეა ეკუთვნოდა რესპუბლიკის დამ-
სახურებულ არტისტის ელო ანდრონიკაშვილს,
ხოლო პირველი მისვეურები დოდო ანთაძე, გრი-
გოლ შიქელაძე და გრიგოლ სულიაშვილი იყვნენ.
თუმცა, მათ მიერ მომზადებული ორივე სპექტა-
კლი სუსტი გამომდგარა, მაგრამ იმდენად მნი-
შეწილადანი ყოფილა, რამდენადაც, საბავშვო

თეატრის დაარსების სურვილი გაუძლიერებია.
თბილისის საბავშვო ქართულ თეატრს სათა-
ვეში ჩაუდგა მამინ უკვე ცნობილი კინოსა და
დრამის მსახიობი, სრულიად ახალგაზრდა ალუ-
ქსანდრე თაყაიშვილი. ამ საპასუხისწევრო და
საპატიო პოსტზე იგი დიდმა ქართველმა რეჟი-
სორმა კოტე მარჯანიშვილმა დაასახელა. მარჯა-
ნიშვილის ნდობამ თაყაიშვილს ფრცხვი შეასხა
და იგი სასწრაფოდ შეუდგა საორგანიზაციო
საქმიანობას — კადრები შეარჩია, რეპერტუარი
დაამტკიცა და სარეპეტიციო მოედანი იშოვა.

თეატრის ორგანიზში რთულია. იმისათვის,
რომ შეიქმნას აზრიანი, საინტერესო სანახაობა,
საკირობა დრამატურგის, რეჟისორის, მსახიობის,
მხატვრის, კომპოზიტორის ორგანულად დაკავ-
შირებული შრომა, რის ნაყოფსაც, ჩვეულებრივ,
სპექტაკლს ვუწოდებთ. იდურად და მხატვრულ-
ად სრულფასოვანი სპექტაკლი კი ის სპექტა-
კლია, რომელშიც ყველა ეს ელემენტი ჰარმონი-

ალექსანდრე თაყაიშვილი



გიორგი ფერული



სერგო ჰელიძე



ულადა თავმოყრილი. გარდა ამისა, საბავშვო თეატრი სხვა მიზანსაც ისახავს, — მან უნდა აღზარდოს განათლებული, კულტურული, შეკუნებული, პატიოსანი ადამიანი, ერთი სიტყვით, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი. აი, სწორედ ამ მოთხოვნილებებს თვალისწინებდნენ ჩვენში საბავშვო თეატრის მესყურებები, რომლებიც თავიდანვე ცდილობდნენ ისეთი რეპერტუარი შეექმნათ, რომელიც შესაძლებდა მყურებლების ესთეტიკურ აღზრდასაც და მათ სამჭოთა ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებასაც.

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოს თეატრში იყო დილის სპექტაკლები, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებდნენ ბავშვის ინტერესებს. ახლა საჭირო გახდა ამ ინტერესების გათვალისწინება.

ახლად ჩამოყალიბებულმა საბავშვო თეატრმა მუშაობა დაიწყო „რობინ ჰუდისა“ და „ფრიც ბაუერზე“. პირველი სპექტაკლი, რომელიც კოლექტივმა მყურებელს უჩვენა, იყო პოეტ კარლო კალაძის მიერ გადმოკეთებული „ფრიც ბაუერი“. პრემიერა შედგა 1928 წ. 11 ნოემბერს ოპერის თეატრის სცენაზე. მალე „რობინ ჰუდიც“ დაიდგა. სპექტაკლებმა ისე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, რომ თეატრმა საკუთარი შენობაც მიიღო და მოზარდ მყურებელთა სახელმწიფო თეატრის სახელიც დაიმიკვირა.

ამ პერიოდში დასწი ირიცხებოდნენ: გ. კუპრაშვილი, თ. თვალთაშვილი, მ. ერგელი, ე. ცისიოსთავი, მ. ჭორელი, ბ. გამრეკელი, ე. ბარბაქაძე, ნ. ერისთავი, ქ. ჩენგლაშვილი, ე. მახარაძე, შ. ტყემალაძე, ბ. გამრეკელი, გ. დარისპანაშვილი, მ. ჯაფარიძე, ა. გომელაური, გ. ჟორდანიას.

ნ. მიქაშაიძე, გ. ლომია, ი. გვინიძე, შ. მჭავანაძე, ე. კობელი, ნ. ილურიძე, გ. როსება, ბ. სვანი, ა. ყიასაშვილი.

თეატრს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ეროვნული თეატრის განვითარება დამოკიდებული იყო ორიგინალური დრამატურგიის განვითარებაზე და თუმცა ამ პერიოდში ქართული საბავშვო დრამატურგია არ არსებობდა, იგი პეტრუხაი იბრძოდა ასეთი დრამატურგიის შესაქმნელად.

პირველი ქართული საბავშვო პიესა, რომელიც თეატრის სცენაზე განხორციელდა, იყო ამავე თეატრის მსახიობის ვ. კობელის „გოგია“. აჟას მოყვა შ. დადიანის „ბოთე და კუსპარა“ და ა. კერესელიძის „ემიკაი“. დასახლებული პიესები არ წარმოადგენდნენ სრულფასოვან მხატვრულ ნაწარმოებს. თეატრის დაუცხრომელი ხელმძღვანელი ა. თაყაიშვილი თავისი დრამატურგიის ძებნას განაგრძობდა.

თეატრის პირველი დრამატურგები იყვნენ ს. მთვარაძე და გ. ნახუციანიშვილი, შემდეგ მათ მიემატათ ალ. კაჭკაჭიშვილი, გ. დარისპანაშვილი, კ. გოგიაშვილი, ქ. ქუჭუჭაშვილი, ა. აგლაძე.



პირველი კლასიკური ნაწარმოები, რომელიც 1934 წ. მოზარდ მყურებელთა ქართული თეატრის სცენაზე განხორციელდა, იყოს ს. მთვარაძის მიერ დ. ჭონჭაძის მოთხრობის მიხედვით შექმნილი პიესა „სურამის ციხე“.

ახლმა ცხოვრებამ, ახლმა ყოფამ ახალი თემები მოიტანა, ახალი პრობლემები დასვა. ისინი პასუსს ელოდნენ, თეატრს მათი ასახვა ეწადა და აი, მან ახალგაზრდა დრამატურგს ს. მთვარაძეს შეუკვეთა დ. ჭონჭაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ ინსცენირება. ეს დადგმა თეატრის პირველ საეტაპო სპექტაკლად იქცა, მან გამო-

ბორის გამრეკელი

კოტე სურამია

აქვინტი გამსახურდია






გუგა ნახუცრიშვილი



ტაშუვან ქუჩუკაშვილი



სიმონ მთვარაძე

ავლინა თეატრის პოზიცია — ყოფილიყო ცხოვრების მიერ დასმული აქტუალური პრობლემების ცენტრში და პასუხი გაეცა თანამედროვეობის საჭირობოტო საკითხებზე. აღნიშნული სპექტაკლი ოცი წელი შემორჩა სენას და ხუთასჯერ გათამაშდა. ეს სპექტაკლი გააფორმა ახალგაზრდა, ნიჭიერმა თეატრალურმა მხატვარმა პეტრე ოცხელმა.

„სურამის ციხის“ ჩვენებამ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სენაზე კლასიკური სიუჟეტების ჩვენების ტრადიცია დაამყვირა და ამ ციკლმა ფართოდ მოიკიდა ფეხი. დაიდაგა ნ. ლომოურის „ქაჯანა“, „ბაში-აჩუკი“ და „ხატარა კახი“ ა. წერეთლისა. ამას მოჰყვა რუსული და უცხოური კლასიკა — პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“, ალ. ოსტროვსკის „შემოსაღიანი ადგილი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, მოლიერას „სკაპენის ოინები“ და სხვ.

„რომეო და ჯულიეტას“ და „სკაპენის ოინების“ დადგმას ქართული თეატრალური საზოგადოებრიობა და თეატრალური კრიტიკა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ასეთი მნიშვნელოვანი დადგმების შედეგად მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად მიჩნეოდა.

თეატრი არ იფარგლებდა მხოლოდ კლასიკური რეპერტუარის ჩვენებით. სხვადასხვა წლებში იგი დაგმს მუშათა კლასის ბრძოლების ამსახველ პიესებს: გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ლადო კეცხოველს“, გ. ნახუცრიშვილის „ცეცხლის ხაზზე“, დ. თაქთაქიშვილის „ნენის შევარდნას“ და სხვ. „ცეცხლის ხაზზე“ საქართველოში კომკავშირის დაარსების ოცი წლისთავს მიეძღვნა და საკმაოდ დიდი წარმატებით სარგებლობდა ნორჩ მაყურებელთა შორის. ბევრი საინტერესო სპექტაკლი განხორციელდა სამოქა-

ლატო ომისა და პარტიზანული მოძრაობის თემაზე. დაიდაგა რევოლუციონერების ცხოვრებისა და გმირული ეპიზოდების ამსახველი სპექტაკლები. წარმოადგინეს საბჭოთა და სახლვარგარეის ბაგეშთა საჭმინაობის თემაზე შექნილი პიესები. მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარში შევიდა ზღაპრები, სამამულო ომის ამსახველი პიესები, რუსი და ლომე დრამატურგების ნაწარმოებები.

ზემოთ მოცისცნეით მსახიობები, რომლებიც თეატრის დასში პიხი დაარსების დროიდან ირიცხვოდნენ. ისინი ამ თეატრის ისტორიის განუყოფელი თანამგზავრები არიან. შემდეგში მათ თანდათანობით შეემატნენ: ნ. სირბილაძე, ვ. ნინუა, ალ. კაჭკაჭიშვილი, ა. ღვინიაშვილი, დ. ცხაკაია, გ. დეისაძე, ვ. არეშიძე, ნ. ზორაგა, ს. გამრეკელი, გ. აბაშიძე, ე. ურუშაძე, ნ. ჯაჯანაშვილი, ი. დონაური და სხვები.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის წინსვლა და განვითარება წარმოუდგენელია ამ თეატრის უნიჭიერესი მსახიობების გოგუცა კურაშვილის, თამარ თვალაშვილის, გიორგი დარისპანაშვილისა და ვახტანგ არაშვილის შემოქმედების გარეშე. თავიანთ ჰროფისიაზე ფანატიკურად შეყვარებულმა მსახიობებმა მოზარდ მაყურებელთა თეატრს მთელი სიცოცხლე შეაღიეს. გოგუცა კურაშვილი ქართული ხალხის საყვარელი მსახიობია. მას საკმაოდ კარგად იცნობენ რუსეთსა და მოძმე რესპუბლიკებში. ამის ნათელი დადასტურება, მსახიობის ფოსტა, რომელიც უამრავი სამადლობელო ბარათითაა სახეკარგა ხანია, რაც გოგუცა კურაშვილი დატოვა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სენა, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ ამ თეატრში დარჩა ახალი თაობა, რომელიც აგრძელებს შემოქმედის მიერ დანერგილ ტრადიციებს.

გოგუცა კუბრაშვილის სახელი განუყოფელია მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრისაგან. მსახიობმა, მთელ კოლექტივთან ერთად, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი ხელოვნების მშვენიერ ტაძრად აქცია და ჩვენი რესპუბლიკის წაყვანის თეატრების გვერდით დააყენა. ძნელია იმდენი სიყვარული და პატივისცემა მიიღო შენი ხალხისაგან, რამდენიც გოგუცა კუბრაშვილმა მოიპოვა. მან მოუტანა ჩვენს ბავშვებს ახალი ცხოვრების სიღამაზის, წიხი გმირული არსის შეგრძნებისა და შესწავლის დიდი სურვილი.

გოგუცა კუბრაშვილი პირველი პროფესიონალი საქართველოში ენქენიუ ტრაგედისტს (ბიჭუნები) ამბულუსი, ჩვენში მას წინაპარი არა ყოფილა. მან პირველმა შესძლო ენქენებთან თავისი მაყურებლისათვის ბიჭუნების შინაგანი სულიერი სამყარო, უმუალობა, თავისებურება და ამას აკეთებდა დიდი ოსტატობით.

მონდომებით დაიწყო მსახიობმა მუშაობა ალ. თაყაიშვილის სპექტაკლში, რომელიც მოზარდთათვის იყო განკუთვნილი. რა დასამალია, რომ სპექტაკლის წარმატება სწორედ გოგუცა კუბრაშვილის შესანიშნავმა თამაშმა განაპირობა. იგი თამაშობდა ჯიმის როლს ნატალია საციის პიესაში „ფრაქ ბაუერი“.

ოცდაათი წელი იღვწოდა გოგუცა კუბრაშვილი თავისი ხალხის სამსახურში. ოცდაათი წელი ეწეოდა მსახიობის მძიმე ჭაბანს, ეწეოდა თავდაუზოგავად, მთელი მონდომებითა და სიყვარულით.

მდიდარი და მრავალფეროვანია მსახიობის მიერ ნათამაშები როლები სია, თეატრის ისტორიაში განუწეოვრებელ სახეებად დარჩა მის მიერ შექმნილი ვახუშტის სახე გ. ნახუციროვილისა და ბ. გამრეკელის პიესაში „ნაცარქექია“, წუკა კ. ბუაჩიძის პიესაში „აურიე რგოლი“, გი-

ქორი ო. თუმანიანის „გიგორში“, სიმკა ვსევოლოძის პიესაში „მარნათი ბავშვობისა“, გი. ვ. კანდელაკის „ორ სპეცილისტიში“, ბუტუხოვი ს. მიხალკოვის პიესაში „შინ დაბრუნება მინდა“ და სხვა.

არანაკლებ ხანტერესო იყო მსახიობი, როცა იგი სცენაზე ქალების როლს ანსახიერებდა. გ. გუბრაშვილის გმირი ქალები ყოველთვის გამორჩეულდნენ სახის გახსნისათვის მოძებნილი ფერების მრავალსახეობით. აღსანიშნავია: მარინე ქ. ქუჩუკაშვილის პიესიდან „ზამთრის ზღაპარი“, ბეკი გ. მესხიშვილისა და ბაბალოვას პიესაში „ალმასის საბადოები“, ძიძა უ. შექაპირის „რომო და ჯულიეტაში“, კატარინა „ქირვეული ცოლის მორჯულებში“ და სხვ.

ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა მსახიობის ღვაწლი. 1940 წელს მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1955 წელს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

გოგუცა კუბრაშვილი არასოდეს არ შემოფარგლულა მხოლოდ სცენური ცხოვრებით. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბავშვთა მხატვრულ აღზრდას. მისი კონცერტები, მოგზაურობები პიონერთა ბანაკებში და საშუალო გამოსვლები ჩვენი წორჩი თაობის დიდ სიყვარულზე მიგვიტოთებს.

ერთად მოვიდინენ მოზარდთა თეატრში გოგუცა კუბრაშვილი და თამარ თვალაშვილი, და თითქმის ერთდროულად დაემშვიდობნენ თეატრს, მაგრამ ახლაც ხშირად ნახავთ ნაცნობი შენობისაკენ მიმავალ თამაშვერცხლილ მანდილოსანს. ეს რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ თვალაშვილია, რომელიც ხშირად მიდის თეატრში, რათა კვლავ იყემოს მის კედლებში მიღებული სიხარულის განცდა, გამოცდილი ოსტატის თვალთ შეაფასოს თეატრის ყოველი ახალი ნამუ-

შალვა გაჩეჩილაძე

თენგიზ მაღალაშვილი

თემურ ჩხეიძე





შეგარი, უმცროს კოლეგებს მიუთითოს და ასწავლოს.

თამარ თვალაშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოზარდი თაობის აღზრდასა და დავაჟაკებებს შეაღია. იგი თეატრის ისტორიაში დარჩა როგორც ნიჭიერი მსახიობი, რომელმაც უაღრესად ქალური კდემამოსილებით, პოეტური განცდით, სცენაზე წარმოსახული გმირის სულიერი სამყაროს თავისებური გახსნით მოზარდ თაობას ბევრი რამ შთააგონა და ასწავლა.

თ. თვალაშვილი განუმეორებელი ტალანტით თეატრში მოსვლის პირველი წლებიდანვე იქცა წამყვან ძალად. მან სამართლიანად დაიმკვიდრა ნიჭიერი შემოქმედის, საუკეთესო მეგობრისა და მოქალაქის რეპუტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ თ. თვალაშვილი ერთ-ერთი ბრწყინვალე შემსრულებელია შექსპირის გმირ ქალთა როლებისა. მის მიერ განხორციელებული ჯულიეტა სპექტაკლიდან „რომეო და ჯულიეტა“, ქართული შექსპირიანას ოქროს ფონდში შევიდა.

თ. თვალაშვილმა სცენური ნათლობა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მიიღო. აქ იგრძნო სცენის დიდი სიყვარული და ნუცა ჩხეიძესთან პარტნიორობამ საბოლოოდ დააკავშირა სცენას. თ. თვალაშვილითან ერთად მიწვეული იქნა ბავშვებისათვის გამიზნულ სპექტაკლში „ფრიც ბაუერში“ მონაწილეობის მისაღებად. აქ იგი ანსახიერებს ფრიცის როლს. ამ როლის თამაშის შემდეგ დაიწყო მსახიობის მოღვაწეობა მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში.

ორმოცი წლის მანძილზე ემსახურებოდა თამარ თვალაშვილი მოზარდი თაობის ესთეტიკური და კომუნიტური აღზრდის საქმეს. მდიდარი და მრავალფეროვანი გამოდგა მსახიობის შემოქმედებითი






«ფრიც ბაუერი». ფრან ბიუტნერი —
 შ. ერგნელი
 სცენა სპექტაკლიდან „ნაიარეგია“
 „ბაში-აშუი“. აბდულ შაჰილი — ნ. ზო-
 რავეა
 «უკანასკნელი ორიანი». კაკო — თ. თვა-
 ლიაშვილი, კიკო — გ. კუბრაშვილი
 «კიკიქე». კომისარი მელოცსკი — გ. ლა-
 რისანაშვილი (1951-54 წწ.).
 სცენა სპექტაკლიდან „კომპლუ“






სცენა სპექტაკლიდან „ორღანელი ქალაქული“



სცენა სპექტაკლიდან „მოკვეთილი“



სცენა სპექტაკლიდან „გალოლეო ვალოლი“. ეპისკოპოსი — ვ. არეშიძე

ბიოგრაფია. იგი თამაშობდა ბიჭებს, გოგონებს, ბებიებს, მებრძოლ ქალებს და სხვა. მას 17მ-მდე რილი აქვს განხორციელებული, რომლებიც გამოირჩეოდნენ წარმოსახვის ორიგინალური მანერით.

მსახიობის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ნამუშევრებად იქნა მიჩნეული მზია ს. მთვარაძის პიესაში „შირაქის გული“, რემი ბონდის პიესაში „გამომგონებლები“, ზურაბის ს. მთვარაძის „სურამის ციხეში“, ჭაჯანა კ. გოგობის „ჭაჯანაში“, ჯულიეტა შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“.

მთავრობამ და ხელისუფლებამ დააფასა თამარ თვალისმომხილვის მოღვაწეობა. 1970 წელს მას რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. მოზარდ მაყუბუნელთა სახელმწიფო ქართული თეატრი წარმოდგენილია რესპუბლიკის სახალხო არტისტის გიორგი დარისპანაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის გარეშე. გ. დარისპანაშვილის მოღვაწეობა თეატრის დაარსებისა და დაფუძვლების თანხვედრია, თეატრის სახის ჩამოყალიბებისა და მოზარდი თაობის აღზრდისათვის ბრძოლის თანაზიარია. იგი თეატრის ბიოგრაფიაში შევიდა, როგორც მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი.

გ. დარისპანაშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა სცენაზე შექმნილი სახეების ორიგინალური გადაწყვეტით. მისი პერსონაჟები გმირული შემართებისა და ჭაბუკური გზების ადამიანები იყვნენ. მის თამაშში მოჩანდა თავგანწირვა შეუპოვარი ადამიანებისა (ლალო კეცხოველი, პუგაროვი), რომელნიც ნათელი საქმისათვის იბრძოდნენ და მას შესწირეს თავიანთი სიცოცხლე.

გ. დარისპანაშვილი გამოირჩეოდა ნიჭითა და მომხიბლავი გარეგნობით, სწორი, გამართული მეტყველებით, სახის ბუნებრივი დეტალების მოზარდების უნარით. იგი თავისი სცენური გამიერების საშუალებით დაუოკებელი მებრძოლი ადამიანის თვისებებს ააშკარავებდა და ამით მოზარდ თაობა-

ში გმირობისა და თავგანწირვის სურვილს ბაღებ-
და.

1928 წლიდან გ. დარისპანაშვილი მოხარდ მა-
ყურებელთა ქართულ თეატრშია. იგი მონაწი-
ლეობს თეატრის პირველ სპექტაკლებში „ფრიც
ბაუერსა“ და „რობინ ჰუდში“. პრესა გ. დარის-
პანაშვილის გმირებს მოიხსენიებს, როგორც დიდი
ოსტატობითა და გემოვნებით ნათამაშე სახეებს.

ამ დღიდან მოყოლებული, გ. დარისპანაშვილი
თეატრის წამყვანი ძალა გახდა. თეატრის სცენა-
ზე გაატარა ორმოცი წელი და 100-მდე როლი
გაასახურა, რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო
ლადო კეცხოველი გ. ნახუციანიშვილის ამავე სა-
ხელწოდების პიეზიდან, დურმიშხანი ს. შთვარაძის
„სურამის ციხიდან“, ემელიანე პუგაჩოვი პუშკი-
ნის „ჰაიტიანის ქალიშვილიდან“, ლორენცი შე-
ქსპირის „რომეო და ჯულიეტადან“, ბიძინა ჩო-
ლოყაშვილი ა. წერეთლის „ბაშა-აჩუკიდან“, რო-
ბინ ჰუდი ზაიციის „რობინ ჰუდიდან“, შპრიცი
ნატალია საციის „ფრიც ბაუერიდან“. დიდი წარმა-
ტება ხედა მსახიობს ლადო კეცხოველის როლში.
წვეტი იმდენად დიდი იყო, რომ მსახიობს ავა-
ლციმოსმა ნ. კეცხოველმა მისთვის ნაწუქარ წი-
გნზე წაუწერა: „ლადოს როლის უბადლო შემს-
რულებელს“.

გ. დარისპანაშვილს 1943 წელს მიენიჭა რეს-
პუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო
1955 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის
საპატიო წოდება.

გ. დარისპანაშვილი არ იფარგლებოდა მხო-
ლოდ სცენური ცხოვრებით. იგი დრამატურგიაშიც
მუშაობდა და მრავალმხრივ საზოგადოებრივ სა-
მუშაოს ასრულებდა. დღესაც დაუშოვავად
ახმარს შემოქმედი თავის ენერჯის მოხარდი თა-
ობის აღზრდის საპატიო საქმეს.

1942 წელს თეატრმა ჩინებულად დადგა უ. შე-
ქსპირის „რომეო და ჯულიეტა“, რომის როლი
ბრწყინვალედ შეასრულა ვახტანგ არეშიძემ.

სამართლიანად უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღ-
ნიშნული სპექტაკლით დაიწყო თეატრის ისტო-
რიაში მეორე დიდი პერიოდი. მეორე პერიოდი
დაიწყო მსახიობ ვახტანგ არეშიძისთვისაც. სწო-
რად რომეოს როლის თამაშის შემდეგ გახდა მსა-
ხიობი თეატრისათვის ის ძალა, რომელსაც თეა-
ტრის დირექტორი და რეჟისორი გაბედულად ანდო-
ბდნენ წამყვან როლებს. ვახტანგ არეშიძის ნიჭის
მრავალპლანაიანობა საშუალებას აძლევდა განსა-
ხიერებინა დრამატული, ლირიული, კომიკური
როლები.

არანაკლებ საინტერესოა მსახიობის მიერ შექმ-
ნილი სურგო ორჯონიძის სახე, ხოლო ვახტანგ
არეშიძის მიერ განსახიერებული კიკვიძე, თეატ-
რის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ძვირფას ფონ-
დში შევიდა.

ვახტანგ არეშიძემ მოღვაწეობა პერიფერიის
თეატრებში დაიწყო. მას ვხვდებით ჭიათურის, სო-

კარგი თეატრი უკველთვის მო-
ხალისეენ ისრაფოს. იგი როგორც
ჩვენ მოზრდილებს, ასევე მოზ-
არდებს უნერგავს თვისებებს, რომლენ-
ბითაც დაიღვლებული უნდა იყოს
უკვლი დაჰაიანი: სიეთეს, პატიოსნე-
ხას, იდეალებს სიწმინდეს. ქართული
მოზარდ მუერებელთა სპექტაკლები
ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. მიუხე-
დავად ამისა, დარბაზის რეჟისორი და
სპექტაკლების გულბოლად მიღება
ცხადფოფოდა — სიკორი არა იყო პო-
ლიგლტი, რომ თეატრი გუვარდეს.

„სოციალისტკია პრავდა“, 1978 წ.
16 სექტემბერი, № 213.

... სპექტაკლში არ არის გმირები და
ხალხი, რაც მათ შეუქმნიდა კოლორი-
ტულ, მაგამ სორიულ ფონს. არის
მხოლოდ ხალხი, შემდგარი მრავალი და
სხვადასხვანაირი დამიანებისაგან. თე-
ატრისათვის თანხადა ძვირფასია ბრძე-
ნი ბურიაკიძეზე და ახალგაზრდა უმაწ-
ვლებიც, რომლებიც ჩვენს თვალწინ
ევაკადმებანი: ბრმა გოგონა ხატია (ო.
ლოლაშვილი) და მისი ერთგული რაინ-
დი სოფია (ა. მახარობლიშვილი), კვიე-
ანი ქალი ქეთო (ნ. ჩავახიშვილი) დახვე-
წილი, შთაგონებული სახის ნაკეთობით
და მზიარული, კეთილი და დონორი
სოფლის შერკილი ბეფანი (მ. ბოცია-
ძე). ამ სპექტაკლში მნიშვნელოვანია
ადამინათა ერთიანობა. ამ სოფლის
მკვიდრნი, მიუხედავად აჰოწურრავი
ქართული ტემპარანტიტო გამწვეული
უწინმეტელი კონფლიქტებისა, ცხოვ-
რობენ ნათესავებით, მათ უკვლავრი
ცივან ერთმანეთის შესახებ და ერთმან-
ეთის შორის იყოფენ ომის მძიმე წლე-
ბით გამწვეულ მუხუბრბასა და სიხა-
რულის ოფიათ წუთებს.

„სოვეტკია კულტურა“, 1978 წ.
15 სექტემბერი, № 74

ქართული მოზარდ მუერებელთა
თეატრი ენდობა თავის მუერებელს,
იმედი აქვს, რომ იგი სპექტაკლს აღიქ-
ვას არა მხოლოდ როგორც ჩვეულებ-
რივ გასართობს, არამედ ისეთ გასართ-
ობს, რომელიც გონებრავ და სული-
ერ დაძაბვას მოიხიფეს. თეატრის საუ-
კეთესო დაღვბებში ცხადად მუღავწე-
ბა რეისორული ჯროვნების თანაწე-
დროვე დაუდა და მსახიობთა დიდი შესა-
ძლებლობანი (თანაც ახალგაზრდა მსა-
ხიობების, რითაც, სამწუხაროდ, უკვ-
ლა მოზარდ მუერებელთა თეატრი
თავს ვერ მოიწონებს). ასეთი სპექტაკ-
ლების რიცხვს ეუთუნის დ. კლდიაშ-
ვილის „ქამუშაის გაჭირება“, ბ. ბრეხ-
ტის „სომონა მარამის სიჭრები“ და
სხვა.

„პრავდა“, 1978 წ. 2 ოქტომბერი № 275



სენა სექტალოდან „სიონა შაჰარის სიზმრები“

ხუმის, თელავის სახელმწიფო თეატრებში. აღნიშნულ თეატრებში გატარებული წლები მსახიობისათვის იყო საკუთარი შესაძლებლობების მოსინჯვისა და სცენური წრთობის წლები. სწორედ ამ წლებმა განსაზღვრა მსახიობის შემდგომი მუშაობის სტილი და მანერა.

1936 წლიდან მსახიობი თბილისში ბრუნდება და მუშაობას იწყებს მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. ამ დროისათვის აღნიშნული თეატრი ზრდადასრულებულ ორგანიზმს წარმოადგენდა და ვახტანგ არუშიძემაც ოსტატურად მოახერხა თეატრთან შესისხლხორცება. როდესაც მსახიობს ეკითხებიან, თუ რამ განსაზღვრა ამ თეატრში მისი მოხვლა, იგი აცხადებს: „მე მიყვარს ამ თეატრის გულწრფელი მაყურებელი. მისი ტაში, მისი გულის ძახილი მისი სულის ნაწილია. დარა არის იმაზე დიდი საქმე, ყურს უგდებდე ნორჩების გულის ძახილს“.

ალ. თაყაიშვილთან შეხვედრამ მსახიობი გაამდიდრა მანამდე ჯერ კიდევ მსახიობისათვის უცნობი სცენური საიდუმლოებებით. სწორედ ალ. თაყაიშვილისაგან ისწავლა მსახიობმა თუ როგორ უნდა ესაუბრებოდას მოზარდებს სცენიდან. მისი პირველი როლი ამ დებულების ნათელი დასაბუთება იყო. გივის როლში პიესიდან „შემობრუნებულ“ და იწყო მსახიობმა პირველი ურთიერთობა მოზარდ მაყურებელთა თეატრის მაყურებელთან.

ვახტანგ არუშიძეს ყოველთვის ახასიათებდა მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის გრძნობა. მდიდარი და მრავალფეროვანი მსახიობის რეპერტუარი. განუმეორებელ სახეებად დარჩა მის მიერ ნათამაშები კომედიე გ. ნახუცრიშვილის პიესიდან „კომბლე“, მეფე ს. მთვარაძის პიესიდან „სურამის ციხე“, კიკვიძე დარასელის პიესიდან „კიკვიძე“, რომოე შექსპირის პიესიდან „რომეო და ჯულიეტა“, სკაპენი მოლიერის „სკაპენის ოინებიდან“ და მრავალი სხვ.

მსახიობი სამართლიანად და დამსახურებულად ატარებს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო სახელს.

უაღრესად დიდი და საპატიოა ის საქმე, რომელიც დრამატურგებმა გასწიეს თეატრის ჩამოყალიბებისა და დეაგაკციების საქმეში. თეატრისა და გიორგი ნახუცრიშვილის, თეატრისა და სიმონ მთვარაძის სახელები ერთმანეთის პარალელურად მიემართებიან და უსამართლობა იქნება, რომ მათი დეაწლი და დამსახურება სათანადოდ არ მოვიხსენიოთ. მათი პიესები ათეული წლების მანძილზე ამწვენებდნენ თეატრის სარეპერტუარო აფიშებს. და თუ ეს ნაწარმოებები ყოველთვის ვერ იდგა სათანადო დონეზე, მათ იმდენი გააკეთეს, რომ სწორედ ეს დრამატურგები გახდნენ მიმართულებისა და ჩვენს დღევანდელი საბავშვო დრამატურგიისათვის ბიძგის მიმცემნი.

იმდროინდელი მაყურებლისათვის საყვარელ სპე-

სენა სექტალოდან „მერი პოპინსი“



ქტაკლებად იყო მიჩნეული სიმონ მთვარაძის პიესების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები „ჩვენც, ჩვენც“, „აურიე რგოლი“, „შირაქის გული“ და სხვა. „აურიე რგოლი“ იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ მას ხშირად თამაშობდნენ სკოლის თვითთქმელ დრამატულ კოლექტივებში. ს. მთვარაძის მიერ ინსცენირებული „სურამის ციხე“ თეატრის საეტაპო სპექტაკლი გახდა.

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის ყველაზე ამაგდარი დრამატურგია გიორგი ნახუცრიშვილი, რომელმაც მოზარდებისათვის რეჟისორ ბ. გამრეკელთან ერთად ქართული ფოლკლორის მასალაზე დაწერა პირველი პიესა „ნაცარქეჩია“, შემდეგ კი თეატრის რეპერტუარი გამამდიდრა რეჟისორის თემაზე შექმნილი მრავალი საინტერესო ნაწარმოებით („ლადი კეცხველი“, „ცეცხლის ხაზზე“, „სიტყბუკი ბელადისა“). დიდი ადგილი ეკავა თეატრის რეპერტურაში თანამედროვეობის თემაზე დაწერილ პიესებს, ზღაპრებს, თარგმანებს და ინსცენირებებს, რომელთა მსატერულ ღირსებებს თანდათანობით ზრდიდა და აღრმავებდა დრამატურგია.

გიორგი ნახუცრიშვილის მოთხრობები „მამამ გამომგზავნა“ და „სილვა ვასილიევა“ ჩვენს ახალგაზრდობის საყვარელი ნაწარმოებებია, მაგრამ მწერლის შემოქმედებაში ძირითადი ადგილი მაინც საბავშვო დრამატურგიას მიეკუთვნება. მწერალი საბავშვო დრამატურგიაში მოიყვანა მოზარდი თაობის დიდმა სიყვარულმა და ამ თაობის ესთეტიკური აღზრდისათვის ზრუნვის აუცილებლობის შევნიშება.

გიორგი ნახუცრიშვილი ერთ-ერთი პირველი დრამატურგი იყო, რომელიც გვერდით ამოუდგო მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს და მისი რეპერტუარი საინტერესო პიესებით დაამშვენა. და არა მარტო ბავშვების თეატრი, არ დარჩენილ რესპუბლიკაში არც ერთი თეატრი, რომელსაც ფართოდ არ გაეუღოს კარი მისი დრამატურგიისათვის. მისი პიესები გასცდა რესპუბლიკისა და კავშირის ფარგლებს და უცხოეთის თეატრების სცენებზეც ყოიზა სიცოცხლეს.

გიორგი ნახუცრიშვილი დანიტერესდა თანამედროვე ბავშვის სულიერი სამყაროს ჩვენებით და თეატრს ამ თემაზე საუკეთესო პიესა „აჩაკუნე“ შესთავაზა. ეს პიესა ბევრჯერ დაიდგა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სცენაზე ყოველთვის დიდი წარმატებით სარგებლობდა.

არც ინსცენირებას მორიდებია მწერალი. მის მიერ ინსცენირებული ი. ჭავჭავაძის „გლახის ნამობი“, ა. ყაზბეგის „ციციას“, კუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“, ვ. ჰიუგოს „კაკი, რომელიც იყინის“ — ასევე დიდი წარმატებით სარგებლობდა მოზარდთა შორის.

გ. ნახუცრიშვილი დღესაც დიდი შემართებითა და გატაკებით აგრძელებს საბავშვო დრამატურგიაში მუშაობას.

ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებში თითქმის არ გვხვდება ლიტერატურული და ცხოვრებისეული მასალის ადატაცია. მოზარდ მაყურებელს ესაუბრებინა როგორც ბავშვს, მას მიდენსავე პატვის სცემენ, რამდენაც საკუთარ ხელოვნებას და საკუთარ საქმეს.

„სოციალისტური კულტურა“, 1978 წ., 15 სექტემბერი, №74.

პირველი, რასაც ცოცხლად გამოგზავნა მოსკოველი მაყურებელი, დაკავშირებულია სპექტაკლების ეროვნული კოლორიტის, და არა იმდენად კოლორიტის, რამდენადაც ეროვნული ხასიათის წვდომისთან, თავისებურ მხატვრულ ხელწერასთან, ერის ისტორიასთან. სწორედ ესაა გაცხადებული სპექტაკლი „ქაშუშაძის გვირგვამი“, რომელიც დადგა ნიკოლოზ რტიციორმა შ. გაწერელმა, მხატვრულად გააფორმეს ბ. შავევაძემ და შ. იმერლიშვილმა. სპექტაკლს საფუძვლად დაედო დ. კლდიაშვილის ახვე სახელწოდების მოთხრობა. ჩვენ აქ არ შევძლებით ნაწარმოების დაწერისათვის ანალიზს, ურადლებას გავაზიარებთ მხოლოდ იმაზე, რომ იგი ვაკვირებს პოეტური რეალიზმის სიღრმით, რაც შეტყვევებს ქართულ ეროვნულ სცენის განვითარებას ხასიათზე. მოთხრობა რეალისტური ციამდელი ქართული სოფლის დუბჟირი ცხოვრებითაა გამსჭვალული და ეს ცხოვრება ხორცშესხულია ისეთი სცენური შინაარსით, რომ მაყურებელი ცოცხლად ერთიანობაში აღიქვამს მრავალმხრივად გამოხატულ საზოგადოებრივ (სინათლეს, ფერს, პლასტიკას, სუნსიას, რეალურ და სიმოლური ნიშნების სისტემას) და ცხოვრების უტყუარ დრამას, რომლის გახსნა ხდება ერთმანეთთან შერწყმული ინტელექტუალური ირინიისა და ნამდვილი ტივილის მემუფობით...

„სოციალისტური კულტურა“, 1978 წ., 11 ოქტომბერი.

ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებმა დავგანახეს თანამედროვე ქართული კულტურის თავისებურებანი, რასაც მოსკოველი მაყურებელი იცნობდა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლებით და კინორეჟისორების იოსელიანისა და აბულაძის ფილმებით. რტიციორ შ. გაწერელმა სპექტაკლებს ახასიათებს დახვეწილი, ხშირად სულში ჩაშლილი ფსიქოლოგია და თავისუფალი, თავმჯობუნებული ესთეტიკა, რაც გამსჭვალულია სულიერი ენერგიით და რაც



სცენა სპექტაკლიდან „განთიადი კი აქ წყნარი იცის“



სცენა სპექტაკლიდან „მე ვხედავ მზეს“

„შიშველი მეფე“. მეფე — რ. თეატრ-თილიძე



ვინ იყო მიზეზი იმ წარმატებებისა, რამაც დღევანდლამდე სახელოვნად მოიყვანა თეატრი? — რა თქმა უნდა, მთელი შემოქმედებითი კოლექტივი, მაგრამ თეატრის ცხოვრებაში მკვეთრად ისახება რეჟისორი, როგორც ერთ-ერთი წამყვანი კომპონენტი სპექტაკლის გამარჯვებისა.

წლების მანძილზე ალ. თაყაიშვილს გვერდით ედგა და მასთან ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა რეჟისორი, დრამატურგი და მსახიობი, აწ განსვენებული ბორის გამრეკელი. იგი იყო პირველი ქართული პიესის დამდგმელი ამ თეატრის სცენაზე და თანაავტორი პირველი პიესისა „ნაცარქეჩია“.

მრავალფეროვანი და ვრცელია რეჟისორთა სია, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ მოზარდ მასურებელთა ქართულ თეატრში. მათ საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს თეატრის ისტორიაში. სხვადასხვა დროს მუშაობდნენ გ. შურული და ა. ჩხარტიშვილი, ა. მიქელაძე და შ. კილოსანიძე, ლ. იოსელიანი და ნ. გოძიაშვილი, გ. სულიაშვილი და გ. სარჩიელიძე, ი. კაკულია და გ. ლალიძე, თ. ალექსიშვილი და თ. წყნოძე, ი. ნინუა, ს. ჭელიძე, კ. სურმავა და რ. ჭარხალაშვილი, ა. გამასხურდია, თ. მალალაშვილი, თ. ჩხეიძე და შ. გაწურელია. მათ მიერ დადგმული სპექტაკლები წარმართავდნენ თეატრის შემოქმედებით ცხოვრებას, ამშვენებდნენ რეპერტუარს.

მოზარდ მასურებელთა ქართულ თეატრში 50 წლის მანძილზე დადგმულია 237 სპექტაკლი.

თეატრის პირველი მხატვრები იყვნენ: მ. გოციონიძე, პ. ოცხელი, ე. ახვლედიანი, ხოლო მოგვიანებით ნ. ყაზბეგი, ს. გირსალიძე, ბ. ვულჩინსკი, დ. თავაძე, თ. აბაკელია, თ. სუმბათაშვილი, ნ. კილოსანიძე, ს. გაბაშვილი, ი. ასკურავა, დ. თაყაიშვილი, შ. შორჭოლაძე, ი. ხუროშვილი, ი. შტენბერგი, ფ. ლაპიაშვილი, რ. თარხან-მოურავი, ა. სლოვინსკი, პ. ჭონაძე, ი. ჩიკვაძე, თ. ლითანიშვილი, გ. ყიფიანი, ი. ინაშვილი, მ. მალა-

ზონია, ჯ. მირზაშვილი, ა. რამიშვილი, კ. ივან-
ტოვი, თ. გეწაძე, გ. კასრაძე, რ. კვიციანი, გ. მურ-
ვანიძე, ლ. მესხულა, გ. მესხიშვილი, გ. ფაჩუა-
შვილი, მ. შველიძე, ლ. მანიძე, თ. ნინუა, მ. და-
თუნაშვილი. კომპოზიტორები: ვ. შავერზაშვილი,
რ. გოგინაშვილი, ვ. კურტიდი, ა. მაჭავარიანი,
თ. ბარამიშვილი, ა. კერესელიძე, რ. ლალიძე,
კ. მეღვინეთ-უხუცესი, ა. ჩიმაკაძე, ა. ანდრიაშ-
ვილი, ა. შავერზაშვილი, თ. თაქაქიშვილი,
ტ. ბაქრაძე, პ. ნალბანდიშვილი, გ. ციციშვილი,
შ. ჯოჯუა, გ. ცაბაძე, ი. ბობოხიძე, ი. გეგეაძე,
ნ. ნასიძე, გ. ყანჩელი, მ. მირიანაშვილი, შ. მილო-
რავა, მ. დავითაშვილი, ნ. გიგაური, ნ. ვაწაძე,
ნ. გაბუნია, ვ. აზარაშვილი, დ. ტურიაშვილი,
თ. ბაკურაძე, ი. კეჭყაყაძე, ა. რაკვიანიშვილი, რ. კა-
ჟილოტი.

დიდი ხანია თეატრის მტკიცე შემოქმედებითი
უროთიერთობა აქვს მხატვრებთან ი. გვეგშიძესთან
და მ. ჭავჭავაძესთან, ქორეოგრაფ ი. ზარეცკის-
თან და ბოლო წლებში განხორციელებული სპექტაკ-
ლების წარმატება მათი ნიჭითა და ინდივიდუა-
ლური თავისებურებებითაც არის განპირობებუ-
ლი.

თეატრში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ლ. ძიგ-
რაშვილი, ე. სიხარულიძე, გ. სიხარულიძე, რ. ბა-
რამიძე, ც. ქიტიაშვილი, ი. ჟღენტე, დ. ძნელაძე,
ე. ჩაჩავა, ლ. ფერაძე, დ. ხულორდია, შ. ლორ-
თქიფანიძე, ლ. კოშკაძე, რ. ხუციშვილი და სხვ.
ამჟამად თეატრში ძველი თაობის მსახიობების
გვერდით საშუალო და ახალგაზრდა თაობის ბე-
ური მსახიობი მუშაობს: ნ. ცერცვაძე, თ. ბაღათუ-
რია, ვ. მექვაბიშვილი, ვ. მამუშვილი, თ. ფარცხა-
ლაძე, ვ. ივანიძე, ვ. გოზალიშვილი, ჯ. ჯანდიერი,
ლ. ჯაყელი, ბ. ხაჯავა, ნ. მაჭავარიანი, ნ. ჯავა-
ხიშვილი, შ. ქრისტესაშვილი. ტ. გითრაძე, ჯ.
ფილფანი, მ. გოგინაშვილი, მ. აბაშიძე, ი. მო-
ლოდინაშვილი, გ. მახათაძე, გ. ძნელაძე, ა. მახა-
როლოშვილი, ნ. პაატაშვილი, თ. გაბელია, ლ.
ფეფვაძე, მ. ბოცვაძე, მ. შარიქაძე, ლ. ლაზაშვი-
ლი, ა. ნუცუბიძე, ნ. ჩხაკიშვილი, ლ. ანათაძე,
ნ. კოპალეიშვილი, ნ. კერესელიძე, თ. ზარიშვი-
ლი, თ. ესიაშვილი, ა. შარმანაშვილი, ქ. შერვაში-
ძე, ნ. ბერაძე, ნ. გაგნიძე, გ. ცხვარიანაშვილი, ქ.
ლოლაშვილი, თ. შამათავა, ნ. ლორია, მ. ვაშა-
კიძე, დ. ჟღენტე, მ. მაჩაიძე, მ. აბაშიძე, ი. მახა-
რაძე.

თეატრის ახლანდელ წარმატებაში საკმაო
წვლილი მიუძღვის რეჟისორ თ. მალალაშვილს.
იგი ათი წელი ხელმძღვანელობდა თეატრს. მისი

ხშირად, პარადოქსალურ ასპექტებში
იხსენება. რეჟისორი გამაზივლებული
გრანდოზით აღიქვამს ცხოვრებისეულ
დრამატუზმს და ადამიანში ადამიანურ-
ის დამაბლებლის უყუღა ფორმას. ამავე
დროს, უყუღება რა დამაბლებული ადა-
მანის სულს, იგი არ ჩქარობს ვაწი-
როს ასეთი ადამიანი, პირქით, ცდი-
ლობს იპოვოს მასში ან ადამიანური
ღირსების ალდგენის უნარი ანდა იმედი
ამისა. შ. გაწურელია მყარად დგას ქარ-
თულ მიწაზე და რაცა ქმნის, იმთავით-
ვე ითვალისწინებს ქართული ხალხის
წინაშე მდგარ პრობლემებსა და მტვი-
ნეულ საკითხებს, მაგრამ მის ხელო-
ვნებას არ ახასიათებს ეროვნული სიჭრ-
ტე და დოკუმენტობა. სწორედ ამი-
ტომ მიმართავს იგი ხშირად ქართულ
დრამატურგებსა და ქართულ ლიტერა-
ტურას. მოსკოვშია მყოფებულმა
ორსულად შეფასა სპექტაკლები „ქა-
მუშაძის გაქირვება“ და „მე ვხვდავ
შეშეს“. ამავე დროს, ის პრობლემებიც
მიაჩვენა მოსკოველ მყურებელს, რა-
მდებრივ დამოუკიდებლობაშია მისი.
„სიმონა მამარის სიზმრები“.

„მოსკოვსკი კომპოზიტორი“, 1978 წ.
24 სექტემბერი, № 220.

ქართული ლიტერატურის კლასიკო-
ლის დ. კლდიაშვილის ინსცენირებულ
მოთხრობას მიხედვით შექმნილი სექ-
ტაკლი „ქამუშაძის გაქირვება“ ერისა
და იმავ დროს ქართული მოზარდ მა-
ყურებელთა თეატრის უყუღებ რეჟი-
სორული და უყუღებ აქტიორული სე-
ქტაკლია. სექტაკლია აზრსა და კოლო-
რიტს ანიჭებს ეროვნული ტრადიცი-
ებისადმი ერთგულება და საერთო კულ-
ტურული და სცენური დონე. როდესაც
მოხეტიალე დატაკები მეფურად მოაპო-
კებენ და ერთ-ერთი მათგანის მხარე
აქტიორული ოსტატობითაა გადამდ-
ებული წითელი მოსახსამი, ეს გადამდ-
ებება, თეატრალურ სიყუღებე კი არ
გვეჩვენება, არამედ ბუნებრივ არტი-
სტუზმს, რასაც ფესვები საუწყუნებში
სიღრმეში აქვს გადამდული.

„ნედლია“, 1978 წ. № 39.

სექტაკლი „ქამუშაძის გაქირვება“
გვაოცებს კონტრასტებით, რაც ვაწო-
ხატება სცენოგრაფიის საშუალებებს
არაჩვეულებრივი სიმწიფით და აქვს
გმირთა ხასიათების უაღრესად კოლორი-
ტული, ზოგჯერ გროტესკული აუციან-
ლი გადამდებულობა. თითოეული სცენა
იმდენად გამომავალია უწყრომანესი
იტეკლებით, იმდენად მდიდარია მსახი-
ობთა პლასტიკით, რომ ფერწერულ
ტილოებს გვაოცნებს. საერთოდ, სექ-
ტაკლი არაფრის დანაწევრების და



ხელმძღვანელობის დროს დაიდგა სპექტაკლები, რომლებშიც იგრძნობოდა პროფესიული კულტურა და საინტერესო რეჟისორული ძიებები: „სადა ხარ, სოფიკო“, ქ. ქუჩუკაშვილის „კონცია“, მთლიური „სკაპენის თიხები“, შილერის „ორელი ანელი ქალწული“, პ. ტრავერსის „ჭერი პოპინსი“.

1972 წელს თ. მაღალაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „სადა ხარ, სოფიკო“ რამდენიმეჯერ გადაიკა ტელევიზიით, მოეწყო დისკუბები და საჯარო განხილვები.

ამჟამად თეატრის მთავარი რეჟისორია შალვა გაწერელია. შალვა გაწერელია თეატრში 1958 წელს მოვიდა. მან ამ თეატრში გახაზორციელა ალ. თაბორიძის პიესა „დაკარგული დრო“. 1962 წლიდან იგი თეატრის დამდგმელი რეჟისორია, 1975 წლიდან — მთავარი რეჟისორი.

რეჟისორული მუშაობის გარდა, შალვა გაწერელია ეწევა პედაგოგიურ მუშაობას თეატრალურ ინსტიტუტში. მისი ხელმძღვანელობით მოძადადანი ორი ჯგუფი საბავშვო თეატრისათვის. პირველმა ჯგუფმა სადილომხო სპექტაკლად მოზარდის სცენაზე განახორციელა „ახა ფრანკის დღიური“ და თეატრს შემოჰმატა 1972 წელს, ხოლო მორეა ჯგუფი მოგვიანებით. ისინი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ სპექტაკლით „ქაშუშაძის გაჭირვება“. ორივე სპექტაკლის რეჟისორია შალვა გაწერელია.

ეს ორი ჯგუფი აქტიურად ჩაება შემოქმედებით ცხოვრებაში და იმ ძალად ექცა, რომელსაც ამჟამად დამყარებულია მიმდინარე რეპერტუარი.

შალვა გაწერელია დიდი მონაღმებითა და სკჰმის სიყვარულით ხელმძღვანელობს თეატრს. იგი თავის სპექტაკლებში ყოველთვის ცდილობს გულახდილი იყოს მაყურებელთან და არაფერი გააუბრადლოს. მისი საბავშვო თეატრი სკოლისაგან გამსხვავებულ საკითხებს აყენებს, მიუხედავად იმისა, რომ სკოლასაც და თეატრსაც ერთიდაიგივე ფუნქცია აკისრია.

თეატრს ბოლო ათწლეულში დიდი წარმატება მოუპოვა სპექტაკლებმა ა. ჩხაიძის „როცა მთავრდება ზაფხობა“, ქ. ქუჩუკაშვილის „კონციაში“, რ. მამულაშვილის „ძია ელიოზმა“, ვ. აქსიონოვის „კოლეგებმა“, დ. კლიაშვილის „დარისპანის გასაჭირმა“, „უბედურებამ“, „ქაშუშაძის გაჭირვებამ“, თ. მაღალაშვილის „სადა ხარ, სოფიკომ“, ა. ხმელიკის „ჯართმა“, ვ. დარასელის „დივიზია №16-მა“, ჰაკეტრის და გულდრის „ანა ფრანკის დღიურმა“, ვ.გა-ფშაველას „მოკვეთილმა“, ტრავერსის „მერი პოპინსმა“, ბრეტის „სიმონა მამარის სიზმარმა“, ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“ და სხვ.

ცალ-ცალკე განხილვის სურვილი არ გვახდება. აღსანიშნავია რეჟისორის ძიებებში და მსახიობ ჩაუესის ოსტატური თამაში... სპექტაკლი მთლიანად და დამყარებულია. მასში არ არის მოხაწუნე მორალი: სცენაზე წარმოდგენილია ცხოვრება, სადაც ბედნიერება და მწუხარება, სიყვდილი და დაბადები ერთმანეთის თანაწრობა. სპექტაკლი პარამონული იმითა, რომ უშაღდეს წნობრივ ფასეულობებს მაყურებელს ქუშმარტი სახით აწვდის, მთ არც ქვეის დამრგებლობას ანიჭებს და არც აუბრალოებს. ცნებები „სიყვარული“, „თანხმობა“, „ეთიკონომობილება“, „ერთმანეთისაღმი პატივისცემა“ ზოგჯერ გულისმამაუებლად გულუბრყვილოა, ზოგჯერ კი ამაღლებლად მარტვი, მაგრამ სპექტაკლის გმირებისათვის ყოველთვის ბუნებრივია.

„გონიოკ“, 1978 წ. ოქტომბერი, № 41.

მაყურებლისაღმი პატივისცემა გამოხატულია აგრეთვე პროფესიული დონითაც, სულერთია, რასაც არ უნდა ეხებოდეს ეს — გაწერელის ანალიტიკური რეჟისურას თუ პ. ტრავერსის მხიარულ მოუწილს „მერი პოპინსს“, რომელსაც დადა ნ. პატისკაძე მა, პირუთვნელად რომ ვიქვით, პირდაპირ აქაღლებს დარბაზს.

„სოვეტსკაია კულტურა“, 1978, 15 სექტემბერი, № 74.

ეს არის თავბრულმხვევი სპექტაკლი მსუბუქი რიტითა და ი. ზარციის მიერ დადგმული მოუქადობელი ცეკვებით, სადაც ყველა ასაკის მსახიობები უღარესად პლასტიკური, მუსიკალური არიან და დარბაზს მხიარული ენერგიით მსჰვალავენ.

„სოვეტსკაია კულტურა“, 1978 წ. 15 დეკემბერი, № 74.

ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რომელიც ანგაროს უწყის მთაუფლიტორიის მოთხოვნებებს და შესაძლებლობებს, ინარჩუნებს ხელნევის საერთო მნიშვნელობას. ჩვენს მიერ ნაწახი სპექტაკლები არა მარტო დრმა და მნიშვნელოვანია, არამედ გზა, რომელსაც თეატრი ადგას შ. გაწერელიას ხელმძღვანელობით, გააზრებული და შემოქმედებითი ტანჯვითა გაკავალული. და ეს გზა ჩვენ სწორი და პრესჰექტიული გვეჩვენება.

„მოსკოვსკი კომსომოლეც“, 1978 წ. № 220.



დავით კლდიაშვილის

საქყაროში

გუბაზ მებრელიძე

დავით კლდიაშვილის შემოქმედების საფუძველია ადამიანის სახის განვითარებულად წარმოდგენა, მისი ემოციების, აზრებისა და განცდების პლასტიკური გახსნა. დ. კლდიაშვილმა შენიშნა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები, იგრძნო ახალი ეპოქის მაკისცემა და ასახა ფსიქოლოგია ადამიანებისა, რომლებიც ცდილობენ ჩაებღაუჭონ ცხოვრების ყველაფერს წესს და ასე გაიტანონ ლელო. ეს საკითხები მწერალმა კონკრეტულ-ცხოვრებისეული მაკისციების ჩიხვდებით განაზოგადა და საერთო პრობლემებად აქცია.

რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო იზრდება ინტერესი დავით კლდიაშვილის კლასიკური მემკვიდრეობისადმი. მისმა შემოქმედებამ თავიდანვე მიიქცია სცენის მსცვეურთა ყურადღება და ეს ყურადღება ტრადიციად იქცა.

დავით კლდიაშვილი აშუქებს თანამედროვე ცხოვრების სოციალურ შინაარსს და მას განვითარებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სწორედ ეს გახდა საშუალება ადამიანური ხასიათებისა და მათი სულიერი სამყაროს წარმოჩენისა. აი, ასეთი თვისებების გამო პიესები „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“ მოხარდ მასურებებთა ქართულ სცენაზე მეორედ დაიგა, რადგან თეატრს მიაჩნია, რომ დ. კლდიაშვილის ნაწარმოებში ისეთი მასალაა, რაზეც აუცილებლად უნდა აღიზარდოს მოხარდი თობა. რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ ეს სპექტაკლი ათი წლის წინათ განახორციელა ამავე თეატრში, ხოლო დღეს მან სხვა კუთხით შეხედა პიესებს და განახლებულად აღადგინა ისინი. „დარისპანის გასაჭირში“ შეიცვალა ცალკეული სცენები (მაგალითად, პოლოვში სპექტაკლის მონაწილეონი გარკვეულ ფოტოგრაფიულ პოზაში სხედან, რაც ადრე არ იყო), მაგრამ სპექტაკლის არქიტექტონიკა იგივე დარჩა. სასცენო განათებით ყურადღება გამაზვილდა ვიზუალურ მხარეზე. ხაზი გაესვა გმირების შინაგან ბუნებას, როცა ისინი დრამატურგიულად ჩრდილში იმყოფებიან.

დგორაკია უწინდელთან შედარებით უფრო სადა გახდა, იმატა მუსიკალურმა დატვირთვამ და იგი სპექტაკლში შევიდა სასცენო ქმედების დროს წარმომოხილ პაუზებში.

თემურ ჩხეიძე იმ რეჟისორთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა შემოქმედების ცენტრში დგას ადამიანი თავისი ბედითა და ურთიერთობებით. თ. ჩხეიძე პიესაში იძებს ცხოვრებისეულ პერიპეტეკებს, განცდებისა და გრძნობების გამო-

ხატვის საშუალებებს. რეჟისორი ცდილობს ასახოს და შეძლებისდაგვარად ახსნას ადამიანის ქცევების მიზეზები.

თ. ჩხეიძის სპექტაკლები გამოხატავენ ადამიანთა ბრძოლას დაბოლოებათა წინააღმდეგ — პირადი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენებთან ამა თუ იმ მიზნის ძიანაწვევად.

ამ თვალსაზრისით დ. კლდიაშვილის შემოქმედებით და თ. ჩხეიძის რეჟისორული მრწამსი ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომაც, შემთხვევითი არაა, რომ რეჟისორი დაუბრუნდა მწერლის ცხოვრებისეული პოზიციების გარკვევას.

„დარისპანის გასაჭირი“ თითქმის ერთი ამოსუნთქვითა დადგმული. მოქმედება თავიდანვე ტემპში იწყება, რაც სპექტაკლს ბოლომდე რიტმულად გასდევს. წინა პლანზე წამოწვეულია დარისპანის (მსახიობი ხ. ცერცვაძე) სახე. მისი პიროველი გამოჩენა ხალისიანი და, ამავე დროს, თავშეკავებულია. თითქმის მას არავითარი ცხოვრებისეული პრობლემა არ აუჩუბებს. იგი შეტად სათნო და უწყიხარი ადამიანი ჩახს. მაგრამ, თანდათან, მოქმედების მსვლელობის დროს, მელანდედა მისი არსება. გმირის ხასიათი იცვლება იმ სცენაში, როცა დარისპანი შეიტკობს ხასიძის მოსვლას. აქ ნამდვილი ბრძოლა იმართება მასა და პელაგაის შორის, ორივეს ერთი მიზანი ამოძრავებს — ქალიშვილების გათხოვება. დარისპანი ცდილობს თავისი ქალიშვილი შეაძლიოს ხასიძის და ამ მომენტში ცხოველს ემსგავსება. იგი შზადა ყველა და ყველაფერი გაანადგურეს, რაც ხელს შეუშლის. რადიკალურად იცვლება თავიდანვე მოცემული ხასიათი. მასურებელი გრძნობს, რომ ჩვეულებრივ სიტუაციაში დარისპანი არ მოიქცეოდა ასე — ცხოვრებად გახადა იგი უმოპოველი, რადგან მას არავინ ანგარიში არ გაუწია.

დარისპანის ეს „არაბუნებრივი“ მდგომარეობა კვლავ რადიკალურად იცვლება, როცა ვიციებს საქმის ნამდვილ ვითარებას. იგი წელში ტყდება და აღარც ემშვიდობება ონისიმეს (მსახიობი გ. რევაზიშვილი), გაქცევებული დაპყრებს იატაკს და ღრმად ჩაფიქრდება. დარისპანის თავაზიანობა იცვლება უფრადლებობით, რაც დარისპანის ქცევისათვის დამახასიათებელი არაა. ნ. ცერცვაძე წელში მოხრილი რჩება. ნაღველის სახით და შემრიგებლური ტონით ემშვიდობება მართასა და პელაგაის, რომლებთანაც სამკვდრო-სასიცო-

ცხოვრობდა ჰქონდა გამართული. ბოლოს დარისპანი შლის ქოლგას. ამ დროს სცენაზე შუქი ქრება, მხოლოდ დარისპანი და კაროენა არიან განათებული, რაც გრძელი, მომქანცველი და გრძელ მარცხენებელია, რომელსაც დასასრული არ უჩანს. ქოლგის გამოდა დარისპანისათვის მომავალი იმედების გამოსის მიზნითმხატვლისა.

იქნას დარისპანივით აქტიური კაროენა. მართალია, ტექსტობრივი მასალა მცირეა, მაგრამ კაროენა სიჩუმითაც კი პროტესტს უხადებს დარისპანსაც და არსებულ საზოგადოებასაც. იგი ცდილობს გაერკვეს, ასე არ არია და გადასახვა ფერა ადამიანების. ნათლად ხვდავს როგორ იცვლება მამამისის რბილი ხასიათიც, მას უჩივდება და არ უნდა ასეთ ატმოსფეროში ცხოვრება, მაგრამ იძულებულია გაჩუმდეს, რადგან სხვა გამოსავალი ვერ პოულობს. მსახიობი ნ. ბერიძის თამაშში კი ეს მომენტები არ შეიმჩნევა. იგი როგორც გაჩნდის სცენაზე, ისევე ტრება. როლი არ განიცდის განვითარებას, — სრულიად სწორსაზოგადოებას. ნ. ბერიძის გმირს შეუქმებული სახე აქვს, იგი მორცხვი და თავდაბალია, მსახიობი თავის მოქმედებას სცენაზე უნდა ამართლებდეს გამომსახველობითი საშუალებებით, შინაგანი და გარეგანი მოქმედებით, რაც ნ. ბერიძის გმირში არ შეიმჩნევა.

საექტაკლოში გამოჩნეულად შემოდის ნატალია (მსახიობი გ. მახათაძე). მისი პირველი მოძრაობა გამოჩნისთანავე კაბის სწორებაა. აქედან უკვე ჩანს ნატალიას ხასიათი. მას ტექსტობრივი მასალა კაროენასთან ცოტა აქვს, მაგრამ გ. მახათაძე მოქმედებს. მისი დამოკიდებულება კაროენასადმი უშუალოა, იგი უფემოქმედით ასრულებს მართასა და დედამისის დარიგებებს, მაგრამ ნატალიაში იგრძნობა უტუნებობა, მას არა აქვს ის სიმძიარულე და სილაღე, რაც გასათხოვარ ქალიშვილს უნდა ჰქონდეს. სევდა დაუფლებია მის სულიერ სამყაროს. აღსანიშნავია ნატალიასა და კაროენას შებენდის სცენა მართას ოჯახში. ისინი ერთმანეთს თანაგრძობით ეცილებიან, რადგან ხედავენ, რომ ორივენი ერთ დღეში არიან. როცა კაროენას ხელიდან უვარდება ჭიქა, ნატალიას მომხდამი თი ფაქტი კი არ უხარია, არამედ აწუხებს. რეჟისორმა თ. ჩხეიძემ საინტერესოდ ათავსოვნიტა ნატალიასა და ოსიკოს ცეკვის სცენაც. ეს ცეკვა ნათლად ავლენს ამ ორი ადამიანის ინტერესებს. ორთავენი ცალ-ცალკე ცეკვავენ. ერთმანეთს არც კი უყურებენ, და ეს მათი ხასიათიდან გამომდინარეობს, ნატალიას ოსიკო, როგორც პირთვება და ადამიანი, არ აინტერესებს, მხოლოდ გათხოვება უნდა, რათა გაექცეს დედის გადაუთვებელ საყვედურებსა და წუწუნს.

ნატალია გრძობს, რომ „სიძე-პატარძლობანას“ თამაში ყალბი კომედიაა — მისი ღირსების შელახვაა. ამიტომაც პასუხობს პეღავიას: „ჩაებურდები, ბატონო, ჩაებურდები!“... ამ სიტყვებს მსახიობი ამბობს მთელი ენერჯითა და დამაბულობით. ეს იგრძნობს მისი ხასის გამომეტყველებამდე. იგი დაიბალა ასეთი ცხოვრებით, უჭირს საკუთარი თავისა და ნერვების დაღვება. ამიტომ ხსნას მართას სახლიდან გაქცევაში პოულობს. მაგრამ ეს გაქცევაც ზომ დროებითია.

— მეორე დღეზე შეიძლება იგივე სცენა განმეორდეს... ოსიკოს კი (მსახიობი ა. შარმანაშვილი) სხვა ინტერესები ამოძრავებს. იგი ცოლსა და ცხოვრების კარგ მგეობარს კი არ ეძებს, არამედ ჰქონებას — ვის რა აქვს და რამდენი.

ოსიკოს ირინიული ღიმილი არ სცილდება სახიდან — დასცინის ვარგში ყოფთა. იგი ბუნებრივად ცინიკოსი — ავადებულად უყურებს ზეობრივ ნორმებს. მისთვის ღიმილი ნი-

დაბია, რომელიც ფარავს მისი მიზნის არსს. ხოლო რეჟისორს შეატყობ, რომ არც ნატალიასა და არც კაროენას არცერთიანს ქონება არ გაჩანიათ, თავი დანიშნულად გამოაცხადა. იგი ბუნებრივ თაღლითა და მიზნის მისაღწევად არაფერს არ ერიდება. გმირის ასეთ სულიერ მდგომარეობას კარგად გადმოსცენს ა. შარმანაშვილი, რომელიც თეატრში ახალბედა მსახიობია, და მისი ეს ნამუშევარი სათანადოდ ყურადღებას იმსახურებს.

აღსანიშნავია, რომ როდესაც საექტაკლოს დასაწყისში დარისპანი და კაროენა მოდიან მართასთან, ოსიკო და ონიკო სურნის სიბრძნეში სხედან გრძელ ტახტზე ფოტოგრაფიულ პოზაში, თანაც ოსიკოს ერთი წამითაც არ სცილდება ონიკოს. მოქმედება ვითარდება და ისინი სცენიდან გადიან. როგორც დარისპანი დადის კარდაკარ ქალიშვილის გასათხოვებლად, ისე ონიკიმე და ოსიკო გადაიან ოჯახიდან ოჯახში. თითქოს და, ერთი ოჯახიდან წავიდნენ და სცენაზე კვლავ შემობრუნებისას უკვე სხვაგან იმყოფებიან. გმირების ასეთი რეჟისორული მოქმედება სცენაზე საინტერესო შთაბეჭდილებას ახდენს, უფრო ამდიდრებს ოსიკოსა და ონიკიმეს სახეებს, ხაზს უსვამს მათი ხასიათის მანკიერ მხარეებს.

ასევე საინტერესოა მართასა და პეღავიას მხატვრული სახეები. მსახიობები გ. ჯაფარიძე და ე. გელოვანი არ იშუტენ გამომსახველობითი საშუალებებს, რათა მაცურებელი დარარწმუნო და შეიყვანონ კლდიაშვილისთვის საყურადღო. მათი თამაში ხელს უწყობს საექტაკლოს მთლიანობაში აღქმას და პარტიციპირებას საკმაოდ ეზმარება. ამავე დროს, ისინი ახლოს დგანან ავტორისეულ ჩანაფიქრებთან, თლად გადმოსცემენ გმირთა ხასიათებსა და ფიქრებს.

ღრმა სოციალური და ადამიანური პრობლემები აისახა დრამა „უშუალებებისა“. ფარისევლობა, პირფერობა, ეგოიზმი, არაა, „საქმენი მასალა“, რომლის მოტივებზეც იშლება მოქმედება. „უშუალებების“ ღირსება ის არის, რომ მკითხველი მხოლოდ წარმოდგენილ კონკრეტულ გმირებს კი არ აღიქვამს, არამედ ზოგადად ათავსობიერებს ნაწარმოების დედაბაზს.

წით უფრო მკვეთრი და დამაბულობით აღსაყვ უნდა ყოფილიყვნენ გმირები სცენაზე. მაგრამ საექტაკლოში არ მოხდა ურთიერთობების ბოლომდე გამოვლინება. უფრო მეტი სიჩუსტე სჭირდებოდა მსახიობთა მიერ წარმოსახულ სახეთა ქცევების მოტივებისა. დააკლდათ შინაგანი ექსპრესიაც, მოქმედება უფრო ზერეულად და ინერტული ძალით ვითარდება. სუსტად ჩანს ძირითადი კონფლიქტი. ამ დღემში სრულიად ვერ გამოვლინდა თ. ჩხეიძის რეჟისორული თვალთახევა. ეს დრამა მსახიობისაგან მოითხოვს ყოველი ფრაზის აქტებს საინტერესო საექტაკლო, რამაც მაცურებელი არ ჩაფიქრა თავიანთ ქცევებსა და ურთიერთობებზე სხვების მიმართ და მან „უშუალებების“ აღიქვა, მხოლოდ როგორც სახასიათა.

თეატრის ცხოვრებამში მიზნებლოვანი ადგილი უკავია საექტაკლო „ქაქუშაძის გაქცევას“. აქვე კლდიაშვილის სამყარო ნათლად აწარმოვნილია. შენარჩუნებულია ავტორისეული კოლორიტა და ინდივიდუალობა, ამაში დიდი წვლილი რეჟისორ შალვა გაყურელისა მიუძღვის.

ყურადღებას იმსახურებს სპექტაკლის მხატვრული გაფორმება. მხატვრებმა მ. ჭკავაძემ და უ. იმერლიშვილმა მთლიანად გახსნეს ნაწარმოების არსი. სცენა ცარიელია — როგორც გმირების შინაგანი სამყარო და სახლ-კარი. სცენაზე არც დეკორაცია და არც რაიმე ბუტაფორია დგას. მხოლოდ ნარინჯისფერი ცარიელი კედლებია. მსახიობებს მოქმედების შესვლისას თვითონ გამოაქვთ აუცილებელი ნივთები და ეპიზოდის დამთავრების შემდეგ კვლავ გააქვთ. ასე იცხვება და იცვლება ეს ცარიელი სცენა გმირთა ურთიერთობებით.

სპექტაკლი იწყება სამი მათხოფრის გამოსვლით, რომლებიც მოწყალეების სათხოვნელად მიადგნენ ოტია ქაშუშაძის სახლს. ეკვირნე (მსახიობი ლ. ჯაყელი) უწვდის მათ მოწყალეებს და იწყებს სცენაზე მოქმედებას. ამის შემდეგ ეს სამი მათხოვარი არ სცილდება ოტიას. ბედისწერასაკითხ დაყვებიან მას. სადაც არ უნდა წაივდეს იგი, ისინივე აუცილებლად იქ გაჩნდებიან — სახლში, სოფლის კანცელარიაში, მის ქორწილში. როცა ყველანი წაეღენ, სცენის ერთ მხარეს ოტია (მსახიობი გ. ძნელაძე) და სონია (მსახიობი გ. მახათაძე),

თბა ერთი ხერხითაა განხორციელებული. ისინი საოცრად ზგანან ერთმანეთს. სცენის ბოლოში გმირები ზურგიდთ დაზისავენ ერთ მწკრივად ლაგდებიან, სამხიარულო სუფრაზე სავაენ და ცეკვავენ, ქელებში კი მხოლოდ საქმელ-სასმელს ეტანებიან. ქორწილშიც და ძეობაშიც ბეგლარ ჭინჭარაძე (მსახიობი ა. იოსელიანი) შეზარხოშებული ჯერ რევოლვერს ისვრის, ხალხს ყურადღებას მიიპყრობს, შემდეგ კი ყანწით ხელში სადღეგრძელოს წყარმოთქვამს. ბეგლარის ეს მოქმედება მის ერთფეროვნებაზე ლაპარაკობს. იგი ყველგან ასე იქცევა — გამომუშავებული რეფლექსებით ცხოვრობს. სუფრის სცენებში ხალხი თავისი სკამებით მოდის, შემდეგ ზოგი იღლიაში ამოიწრის, ზოგიც ხელით მიათრევს მას. ესეც კიდევ ერთი მიმანიშნებელი დეტალია მათი ყოფისა. მათთვის სულერთია, ქორწილია თუ ქელები, ოღონდაც სუფრასთან ისხდნენ, ყველგან ერთნარი ხალხით მიდიან. — ქცევებში, ურთიერთობებში ერთფეროვნება ჩანს. გაურკვეველია მათი ცხოვრებისეული დანიშნულება. ყველას ერთი მისწრაფება ამოძრავებს — რაც შეიძლება მეტ სუფრაზე მო-



სცენა სპექტაკლიდან „ქაშუშაძის ვაჭრებზე“

საპირისპირო მხარეს კი მათხოვრები დგანან და ერთმანეთს შეჰყურებენ. ეს ხდება ჩაბნელებულ სცენაზე, სადაც მხოლოდ მათი სახეებია განათებული. მიდიან ახლადლაქორწინებულები და მათხოვრებიც ჩრდილოვით მოქცებიან ფეხდაფეხ და შემდგომ სიბნელებში უჩინარდებიან. მეორე მოქმედებაც მათი გამოსვლით იწყება. ისინი ოტიას ეზოში დგანან, როცა ეკვირნე სონიას ეზოს ათვალეფრებიან და ცარიელი სცენის ერთი კუთხიდან მეორეში გადაჰყავს, რაც ნათლად მიგვანიშნებს ქაშუშაძეების სიღატაკეზე. ამასთანავე, ისინი ძირითადად ჩანან მასიურ სცენებში, სადაც სოფლებში იყრიან თაეს და ეს მათხოვრები მათი სიმბოლოცაა. მათხოვრობა გამეფებულია მთელს სოფელში და მასთან ერთად ოტიას ოჯახშიც.

საინტერესოაა გადაწყვეტილი სუფრის სცენებიც.

ოტიას ქორწილი, ომანის შვილის ქელები და ოტიას ძე-

ხედს. მხოლოდ ერთხელ გამოცოცხდებიან და აფუსფუსდებიან ისინი. ოტიაც გაკვირვებულია, თუ რატომ დარბან მისი ეზოს წინ ასე აფორიაქებული მეზობლები. შემდგომ ირკვევა, რომ ამ არეულობის მიზეზი სუფრასთანაა დაკავშირებული. მათ მხოლოდ ცხოველური ინსტინქტები ამოძრავებთ. აქ ადამიანობა, კაცთმოყვარეობა უკანა პლანზე იწევს. ამის მაგალითია ის ასევე, როცა გამხეველები ომანი (მსახიობი გ. ივანიძე) ხელვებით გალახავს უდანაშაულო მოხუც ეფრონის (მსახიობი ე. გელოვანი). ეს უღმობელი და სამინდელი ბრბო ეთიკურ ზნეობას მოკლებულია. მათ ქცევებში არ არის არც ერთი ნათელი წერტილი. ხალხს სძულს ერთმანეთი. მეზობელი მეზობელს ვერ იტანს, ხოლო შეხვედრისას ზრდილობიანი კილოთი და გაცინებული სახეებით უყურებენ ერთმანეთს, ფარისევლობა და ორპირობაც არ აკლიათ დანარჩენ უარყოფით თვისებებთან ერთად.

ყველაფერს ამას ნათლად ხედავს სონია (მსახიობი გ. მახათაძე), რის გამოც მთელი მეორე მოქმედების მსვლელობისას ჩაფიქრებულია. მისთვის აუტანელი ხდება ისეთ პირობებში ცხოვრება, სადაც ყველაფერი ადამიანური და ამაღლებული გათვლილია, სონიასათვის ასეთი ცხოვრება ჯოჯოხეთია. იგი ხედება, რომ მასაც ასეთი სულიერი გამოფიტვა და ადამიანური დეგრადირება ელის. ამიტომაც სცენაში, სადაც იგი დედამთილთან ერთად სოფელში სასაიროდ გამოდის და ეგვირინე ჩაებმება სამ სოფელელ ქალთან საუბარში, სონია განზე დგას, არ ითქვიფება მათში და შორიდან შესცქერის მეზობლების მოჩვენებით ყალბ ტკბილ მუსაიფს. ყოველივე ამას მსახიობი ღრმად განიცდის და სახიერად წარმოგვიდგენს გმირის შინაგან მდგომარეობას.

გმირთა სულიერი მდგომარეობის ამსახველი სცენა აგრეთვე ნიშნობა კინჰარაქების ოჯახში. სტუმრად მოსული ოტია (მსახიობი გ. ძნელაძე) და პორფირ ბიაშვილი (მსახიობი ნ. ბოცვაძე) სცენის ერთ მხარეს განლაგდებიან, საპირისპიროდ კი სონია და დედამისი პელაგია (მსახიობი ლ. ლაზიშვილი), შუაში მაგიდასთან ზის კინშურ კინჰარაძე (მსახიობი ა. იოსელიანი). მათ შორის დიალოგი ვერაფრით ვერ აუწყო. მარტოდ დარჩენილმა სონიამ და ოტიამაც თავი ვერ მოაბუქს უბრალო ურთიერთობის დამყარებას, რადგან ერთმანეთისაგან გაუცხოებული არიან, მათ არ აკავშირებთ რაიმე საერთო ინტერესები, არ აქვთ ურთიერთგაგება და მათი დაპირისპირება შემთხვევითი არ არის. ეს სცენა თავიდანვე გვანიშნებს, რომ ისინი არასდროს არ დგანან ერთ პოზიციაზე — მათ მსოფლმხედველობას შორის არსებული მანძილი არ შემოკლდება.

ამ სცენაში დასამახსოვრებელია ნ. ჩხივიშვილის ბიჭის გვიზოდური როლი. მსახიობი ზუსტად იყენებს გამომსახველობით საშუალებებს, ამართლებს გმირის ქცევების მიზეზებს, ნათლად იგრძნობა მოსამსახურე ბიჭის ბუნება.

მ. აბაშიძე ფუსუტას როლში საინტერესოა. იგი ყოველთვის ჩაბმულია მიმდინარე მოქმედებაში. მსახიობი იმდენად ფლობს სცენურ სიმართლეს, რომ გამახსოვრებს უბრალო სოფლის გოგონას. მისი თამაში მეტყველი და ემოციურია.

სპექტაკლი არ მთავრდება ავტორისეული ფინალით, არ ჩანს, რა გადაწყვეტილებას იღებს ოტია საბოლოოდ.

სპექტაკლის ბოლო სცენა ოტიას ბიძის, ლევან ქამუშაძის (ნსახიობი თ. ბალათურია) ოჯახში ხდება, სადაც იქნება ცოცხალი ადამიანის პანაშვიდის დამაჯერებელი სურათი. სცენის შუაში ზის მომაკვდავი ლ. ქამუშაძე, რომელსაც ორივე წხარის მეზობლები უსხედან. ამ ხალხს მხოლოდ ლევანის სიკვდილის წინ აგონდებათ მისდამი მიყენებული წყენა და ახლა ცდილობენ თავის მართლებასა და ოდესღაც დამგებული შეცდომის გასწორებას. ეს მათი თავისებური აღსაჩებაა. ისინი ერთმანეთის თანდასწრებით ლაპარაკობენ თავიანთ ნაკლოვანებებზე. ეს მათი ადამიანობის პანაშვიდს უფრო ჰგავს, ვიდრე ლევან ქამუშაძისას. ცხოვრებაში მას არაფრად აგდებდნენ, ანგარიშს არ უწყებდნენ, ხოლო სიკვდილის წინ კი პატივისცემით ეპყრობიან...


ამ ბოლო ხანს მოზარდ მაცურებელთა ქართულ თეატრში საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს. ზემოთ ხსენებული სპექტაკლები და მოგვიანებით დადგმული ბ. ბრეტის პიესა „სიმონა მამარის სიზმრები“ განსაზღვრავენ ამ თეატრის ორიგინალურ, თავისებურ ხელწერას, რაც, უთუოდ, თეატრის მთავარი რეჟისორის შალვა გაწერელიას დამსახურებაა.



50

ელგუჯა ამაშუკელი

სიმონ კინწურაშვილი



რძღმსმ ადამიანის დაბადებიდან
ორმოცდაათ წელს აღნიშნავენ, ხმა-
რობენ ხოლმე ეპითეტებს — „შუა
გზა“, „შუადღე“ და ა. შ. რაც არ
უნდა ლამაზად შეამკო ეს ასაკი, ერთი
ცხადია — ეს ანგარიშგების ასაკია.
ამ დღეს კაცი, ვინც და რა პროფე-
სიისაც არ უნდა იყოს იგი, ნებისთ
თუ უნებლიეთ გადახედავს განვილი
გზას, დაგროვილ ხელხვაებს და, სხვა
თუ არა, თავის თავს მანიც ჩააბა-
რებს ანგარიშს.

თუ ორმოცდაათწლიანმა მოასწრი
და ერისკაცობა დაიმსახურა, თარიღი
უფრო მნიშვნელოვანია — მას საიუ-
ბილო თარიღს უწოდებენ.
საქართველოს სსრ სახალხო მხატ-
ვარს ელგუჯა ამაშუკელს 50 წელი
შესუსრულდა.

20 წლის წინ კი, 1958 წელს,
ელგუჯა ამაშუკელი, მაშინ ახალგაზ-
რდა მოქანდაკე, ერთბაშად „გახს-
ნა“ ქართული ხელოვნებისათვის,
საერთოდ, საბჭოური ხელოვნებისათ-
ვის. ამას თითქოს უბიძგა ჩვენი რე-
პუბლიკის კულტურისათვის ორმა
მნიშვნელოვანმა მოვლენამ — 1958
წლის დასაწყისში ქართული ლიტე-

რატურისა და ხელოვნების დეკადამ
მოსკოვში და იმავე წლის ბოლო თვე-
ებში თბილისის დედაქალაქობის 1500
წლის დღესასწაულმა. მაშინ დიდმა
ერთოვნულმა, საზოგადოებრივმა აღ-
ტკინებამ ბევრ საშვილიშვილო სა-
ქმეს დაუდო სათავე, ბევრი რამ, ის-
ტორიულად მომზადებული, გამოამ-
ზეურა და დაამკვიდრა.

ელგუჯა ამაშუკელმა კი იმთავით-
ვე დაიკვივრა მკაფიოდ ინდივიდუ-
ალური, მრავალმხრივი, ნამდვილად
ერთოვლი ქართველი საბჭოთა ოს-
ტატის სახელი. მარტო ჩამოთვალა
კი ელგუჯას ნაწარმოებებისა, რომ-
ლებიც იმ წელს „დაიბადა“, ცნო-
ბილი გახდა ჩვენი ხალხისათვის, ბე-
ვრის მთქმელია.

მოსკოვში, სადეკადო გამოფენაზე
ინტერესი და მოწონება დაიმსახურა
მისმა სკულპტურამ „ბეტრე ზაგრა-
ტიონი“ (სადიპლომი ნამუშევარა,
1956 წ.)...

თბილისის 1500 წლისთავის ზე-
მის დღეებში დედაქალაქის ორ შე-
მოსასვლელთან — ჩრდილოეთიდან
(არქიტექტორი თ. კანდელაკი) და
სამხრეთიდან (არქიტექტორი ა. ბა-

ქრაძე) აღმართული ობელისკები მან
დეკორატიული ხასიათის რელიეფი-
ბით შეამკო...

რუსთაველის პროსპექტის დასაწყ-
ისში, ს. ჯანაშიას სახელობის სახე-
ლმწიფო მუზეუმის ყრუ კედელზე და-
მაგრდა მემორიალური ბრინჯაოს ბა-
რელიეფი (დიამეტრი 2,5 მ)... ჩამო-
ისხა რამდენიმე საიუბილო მედალი-
ონი და დამზადდა სამკერდე ნიმ-
შინი....

კომპაზირის ხევიანზე აღიმართა
ოცმეტრიანი სიმბოლური მოწონენტი
„ქართლის დედა“ (1958 წ. — ხე;
1963 წ. — ალუმინი) — მოქანდა-
კის ყველაზე აღიარებული ქმნილება,
რისთვისაც ავტორმა შოთა რუსთა-
ველის რესპუბლიკური სახელმწიფო
პრემია დაიმსახურა (1965 წ.)

და ბოლოს, გამარჯვება კონკურ-
სში, რომელიც პროფესიული დო-
ნით და მოქალაქეობრივი რეზონან-
სით დღესაც ინარჩუნებს ქართული
საბჭოთა მოწონენტიური სკულპტურისა
განვითარებში განსაკუთრებულ ად-
გილს — კონკურსის ვახტანგ გორგასა-
ლის ძეგლზე.

მაგონდება: მოსკოვიდან ჩამოვფლი.



ვახტანგ გორგასალა

საკონკრეტო მასალის გამოფენა რამდენიმე დღის გახსნილი იყო. გვეუსურე საქართველოს მხატვართა გალერეაში. დარბაზებში ცოტა იყიანაცნობი და არჩევანი „დაუსმარებლად“ გადავიკეთე... მეორე დღეს ბატონ გიორგი ჩუბინაშვილს ვკითხე აზრი. მან ჩვეული მორიდებით მიპასუხა: ალბათ, მაინც ეს... და იდაყვში მოხრილი ხელი აღმართა, ისე, როგორც ელგუჯა ამაშუკელისეულ ვახტანგ გორგასალს აქვს აღმართული. ამ ქუსტს, მხატვრის მიერ ასე ზუს-

ტად მიგნებულს, უმეტესობა მაშინ იყენებდა თავისი არჩევანის დასტურად. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კონკურსზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე პროფესიული და იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით მეტად საინტერესო პროექტი (მათ შუახებზე ვერაერ დაწერილა). მაგრამ ელგუჯა ამაშუკელის ვახტანგ გორგასალზე იმეტომ შეერდა არჩევანი (არქიტექტორები თ. კანდელაკი, დ. მორბეულაძე), რომ მასში იმდენი იყო ყველაზე მთავარი — იდეა იყო ხო-

რცმესხმული, მონუმენტული მეფე ბრძანებდა — ...რემი და ხალხის ნებით აქ, სწორედ აქ არის საჭირო იყოს საქართველოს დედაქალაქი...

რაც ჩამოთვალე, მგონი, ერთ კაცს (ზოგიერთ ერთ კაცს) მთელი ცხოვრების მანძილზე ეყოფოდა გამოსაჩინებლად და სატრამპიოდ. მაგრამ ასეთ კაცს ელგუჯა ამაშუკელი არ ერქმოდა...

რა აწრთობს და რა არ აქრთობს ტლანტს? ბუნებით ნაკარნახევი და შემდეგ ზუსტად არჩეული პროფესიონის რწმენა, სიყვარული და ერთგულება. და კიდევ, — შრომა უნდა იყოს ასევე ყოველდღიური თანამგზავრი კაცისა. სხვაგვარად ვერც შელოვანი და ვერც მოქალაქე ვერ ჩამოყალიბდება.

...ხუთი წლისამ დედა დახატა საცერავ მანქანასთან. ამის შემდეგ ფერადი ფანქრები და ქალაღლი მისი განუყრელი თანამგზავრი გახდა...

...ცამეტე წლის იყო, ქვიდან ბაბუას პორტრეტი რომ გამოაქანდაკა სოფლის სასაფლაოზე დასადგემლად. ...ცამეტე წლის იყო, ბევრს მოგზაურობდა საქართველოში... ეს იყო ბუნებისა და კაცის ნახვლევის სინთეზის, სამშობლოს აღქმის, ცნობისმოყვარეობისა და მიზანდასახულების პირველი გაკვეთილები...

...ღედა — პედაგოგი ქალი. მასთან დაკავშირებულია ლიტერატურის, მუსიკის, სიმღერის სიყვარულის გაღვივება (ელგუჯას შინახული აქვს მაგნიტოფონის ფირზე ჩაწერილი რომანსები დედის შესრულებით).

1947 წელს, სახერის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ფრწუნის განხრით. მაგრამ შემთხვევამ დააზუსტა მისი ნამდვილი მიწოდება, — გამოცდების წინ იაკობ ნიკოლაძემ ნახა ელგუჯას თიხიდან ნაქერე კომპოზიციები და გადაჭრით ურჩია სკულპტურულ ფაკულტეტზე შესვლა.

სწავლობდა ნიკოლოზ კანდელაკის კლასში. აკადემია დამთავრა 1954 წელს და იქვე იმალებდა კვალიფიკაციას ასპირანტურაში, ისევე ე. კან-



დელაკის ხელმძღვანელობით (1956-1959 წწ.).


ეს იყო წლები სერიოზული, მიზნდასახული სწავლისა, შრომისა, აკადემიური ანბანის შტუდირებისა, ოსტატობის დაუფლებისა, მოწოდების საბოლოო გარკვევისა, წლები იმ რაღაც განუმეორებელს, სხვი საგან განსხვავებულის ძიებისა, რომელსაც ნიჭისა და შრომის დუღაბი იძლევა და რომლისაგან საბოლოოდ იტყდება ნამდვილი ხელოვანი, ოსტატი.

ელგუჯა ამაშუკელის სახელოსნოში, შესასვლელთან დგას ჭაბუკის ფიგურა — „მოჭიდავე“, რომელიც მან სწავლის დროს, მისამე კურსზე გამოძეწა (1952 წ. ტონინიფული თაბაშირი).

ამ ნამუშევარში უკვე ჩანს ბევრი რამ მომავალი ელგუჯა ამაშუკელისა. დონიხში მოყრილი, ოდნავ ფეხებგანარჯენილი მამაკაცი მყარად, ამაყად და თან თავისუფლად დგას — პოზა ბუნებრივია, ამასთან მახვილი, იმპოზანტურცი კი. ლაკონიური კომპოზიციის სიმეტრიულობა ოდნავ დარღვეულია — ღონიერ კისერზე „დადგმული“ თავი „შეუმჩნევლად“ მიზრუნულია. სივრცეში იხატება დასრულებული, შეგვრული სილუეტი, რომელიც ყველა წერტილიდან ერთნაირად შთამბეჭდვად იკითხება. ათლექტის მკვრივად ნაძერწი, „აკადემიურად სწორად“ აგებული სხეულის ფორმები მატერიალურია და განზოგადებული, სახე ინდივიდუალურია, პორტრეტული, მაგრამ ასევე განზოგადებული...

ეს ფიგურა ისტორიულადაც საინტერესოა. თავის დროზე მან ბევრი უსამომავლობა მიიყვანა მის ავტორს — ფორმალისტობა, აკადემიური სწავლების ნორმებიდან გადახვევა დაწყაიმეს... ახლა? ახლა კი ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედების (საერთოდ ჩვენი ქართული საბჭოური სკულპტურის) დღევანდლობის ფონზე „მოჭიდავე“ ნამდვილად აკადემიურია, მაგრამ ამ სიტყვის არა სქოლასტური, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი გაგებით. ამის დასტურია ისიც, რომ „მოჭიდავემ“ წარმატებით მოიარა საკავშირო თუ უცხოური გამოფენები...

უკურთ ფიგურას და ნათლად ხე-



სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი (ფოთი)

დაე — ელგუჯა ამაშუკელი ამსტერდამის დენტობისდროინდელ ნამუშევარშიც მონუმენტალისტია.

„მონუმენტურობა — მეექვსე გერმანია“ — ეს ელგუჯა ამაშუკელის სიტყვებია.

ვინც კი ელგუჯა ამაშუკელის ნაწარმოებებს ნახავს, იქნება ეს სამეცრედ ნიშანი თუ მრავალმეტრიანი ბრინჯაოს ჭანდაკება, პირველთვისებად მათ მონუმენტურობას აღიარებს.

საწერ მაგიდაზე მიდევს თბილისის საიუბილეო ბრინჯაოს მედალიონი (ჩემთვის ძალზე ძვირფასი საგანი — ავტორის ნაწარმი).

„წულიმ გასწორებული“, ფრთბშემართული მიმინო შემომჯდარა მყარ საფუძველზე — კაცის ხელს მტკვანზე; ეს ცნობილი ლეგენდის გასსენება პლასტიკური ხერხით. თუ კომპოზიციას „გავაშიშვლებთ“, მივიღებთ მეტად მარტივ სქემას — წრის ქვედა, ერთი მესამედი ნაწილი მოხაზულია რკალით (ხელის მტკვანი), რომელშიც მახვილი კუთხით ჩასმულია სამკუთხედი (მიმინო), რომლის ზედა კუთხეები წრის ზედა ნაწილს ეხებინება. თავისუფალ არეებს ავსებს რკალურად განლაგებული სამი წარწერა „თბილისი“ (ასომთავრულით და მხედრულით), „1500“.

ნასატე, ხაზი ლაკონიურია, სილუეტი მარტივი, თითქოს ერთი მონახაზით შექმნილი — ემბლემურად ნათელი, დასამახსოვრებელი, ერთი ფრთხით მრავლის მოქმელი, აფორაზმული.

მაგრამ ამ სიმეტრიულ, შეწონასწორებულ კომპოზიციასი იგრძნობა შინაგანი პლასტიკური პოტენციალი — თითქოს მას ბოლომდის არ უთქვამს სათქმელი. მართლაც, გავიდა ხანი და ელგუჯა ამაშუკელმა ჩაიფიქრა მონუმენტური კომპოზიციცა — „თბილისის დაარსება“ (ესკიზი. ტონინიფული თაბაშირი). მისი აღმართვა მოქანდაკეს განზრახული აქვს თაბორის მთის ერთ-ერთ ბოლო გორაკზე, ძველი თბილისის სამხრეთ სასლავრის თავზე. იგი ცის ფონზე წაიკითხება. ასე გახდა მედალიონის მარტივი კომპოზიციცა, სათანადო ნიუანსირებით, მონუმენტური სივრცითი კომპოზიციის საფუძველი.

ამიტომ არის, ალბათ, რომ მოქან-



სამამულო ომი დაღუპულ გმირთა მემორიალი.
ესკიზი (ტყეხელი)

დაკის მიერ შექმნილი ძეგლები სიმბოლოებად, ემბლემებად ქვეყლა— „ქართვის დედის“, „ვახტანგ გორგასალის“, „ვეფხისტყაოსნის“ და სხვათა ანფასური თუ პროფილური სილუეტები ამშვენებენ სამკერდე ნიშნებს, წიგნებს და ა. შ. დასტკერი ამ ემბლემებს და გრძობ მათ სივრცეში. ისინი მატერიული, მონუმენტური არიან. ამაში საიდუმლოება ელგუჯასეული მეექვსე გრძობისა — თითქმის ერთი მონასხითი შექმნილი სილუეტური გახსნა იდეა, იგრძინო ფორმა მომავალი მონუმენტისა.

ახალი, განზოგადებული თემებით, სიმბოლოებით, პოეტურიებული ხე-ტაფორებით მოვიდა იგი ქართულ ხელოვნებაში (4, გვ. 303). მონუმენტურ ხელოვნებას, ალბათ, ასეთი კატეგორიებით აზროვნება უფრო მიესადაგება. მაგრამ კონკრეტულად რომელი თემები აღდგევენ თუ იზიდავენ მოქანდაკეს? ეს საინტერესოა მისი მსოფლმხედველობის წარმოსადგენად. როგორ ხდება ამ თემების ხორ-

ცშესხმა? ეს საინტერესოა მისი ოსტატობის დასადგენად.

პირველსავე დიდ ჩანაფიქრში — „ქართვის დედა“ სავსებით გამოთქვანდა მისი მსოფლმხედველობითი კრეატივი: კიბნის სამშობლოს, მისი წარსულის განზოგადება, მშობლიური პოეზიის (ხალხურისა და კლასიკურის), თქმულებებისა თუ ისტორიის „გალეყვასა“ ქვასა და ლითონში.

მაგრამ რა შორსაა მისი კომპოზიციები სტილიზაციისაგან! ვერსად ვერ ნახავთ ძველის გადმომღერების ნიშანწყალს. ყველგან თანამედროვე კაცის, თანამედროვე ხელოვანის მიერ თანამედროვე პლასტიკის ერთი ნათქვამი ამბავია; ზოგჯერ ფორმით აღქმისათვის ძველად მისახვედრი, უჩვეულო, მაგრამ გულისათვის ყოველთვის გასაკვირი, ახლობელი.

გაიხსენით ვერა მუხინას სიტყვები: ჭეშმარიტი მონუმენტალიზმი წარმოდგენილია ხალხის პროგრესული იდეებთან სიახლოვის გარეშე და

იგი ყოველთვის იყო ხალხის იდეების ანარეკლი.

მოქანდაკისთვის არ არსებობს იდეა, თემა თავისთავად, გამოშვებული, პლაკატური. ის სიღრმედან, არსიდან მოდის, დღევანდელიდან ისტორიულ საფუძველს უკმნის, მარადიულ თემადა აქცევს.

„ქართვის დედა“, პირველყოფილისა, დედაა, ქალი, — ყველგან ყველა ქვეყანაში საწყისი, ფუძე ცხოვრებისა და სამშობლოს; აქ კიდევ იგი ქართველი ქალია, რომელსაც მყარად უჭირავს ისტორიის ქარცეცხლში გამოტარებული ორი ყველაზე დამახასიათებელი ეროვნული ატრიბუტი — საბრძოლო ხმალი და სამოყვრო თასი.

„რევოლუცია“ ძალაა, მიწიერი ძალა, რომელსაც ვერაფერი დააკავებს. მე იგი მაგონებს ნაბიჯებს ალექსანდრე ბლოკის ერთ-ერთი თორმეტთავანისა:

«... И идут без имени святого
Все двенадцать — вдале.
Ко всему готовы,
Ничего не жаль...»

და შემდეგ:

«И вьюга пылит им в очи
Дни в ночи
Напролет...
Вперед, вперед,
Рабочий народ!»

სამამულო ომი, მისი გმირებს გახსენება პოეტურ ასოციაციებს იწვევს:

ზეტაფონში — ეს ვაჟას არწივია, დატრლი, მაგრამ უკვდავი...

ფოთში — შეძრწუნებული, მწუხარებაში გაქვავებული ქალი ობლისკია, მთელი კოლხეთის დედა...

ტყეხელში — ყველა ქართველი ვაჟკაცის გმირობის სიმბოლოა: ხალხური შედგენილი — ვეფხისტყაოსნის ტოლი კაცის შერკინების ბალადა...

ქართვი — გორის ციხის ძირში, ქართველ გმირს ხმლითა და ვახო შუმბართულს, რუსთაველისეული ლომი გაუხდენია. იგი ელგუჯასათვის ასოცირდება გალაკტიონის ლექსთან:

მედგრად გრძობამ წინ რომ გაიწიოს
შეგრძალვის რისი, მუშინის რისი —
ამ ნაწრევეზთან მშობლიურ სიოს,
მარად ვუპოვნი უკნობელ მაისს..



შორეული ასოციაცია? შეიძლება, მაგრამ იგი ამტკიცებს, რა ღრმა, ძირეული ნიადაგიდან იზადებიან ელგუჯა ამაშუკელის მონუმენტური სახეები.

კვლავ და კვლავ უბრუნდება იგი ქართული მიწის, მისი ბარაქის სურათებს, ქართველი კაცის, ამ მიწის პატრონისა და ბარაქის მოწყვეის სახეს. ასე იზადება კომპოზიციები: „კახეთი“, „ქართული ვაზი“ — (ორივე საქინი. ტონირებული თაბაშირი), და გაგონდება ბიზნი:

ვაჟო, შვილითი ნახარდო...

კონკრეტული პიროვნებების სახეები ისევ ზოგადდებიან, მათი სულიური საწყაროს ცოდნადან და გაგებიდან იზადებიან:

მისი ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართლის ბედზე ფიქრის, განსჯისა და ფილოსოფიური აზროვნების პოეტია —

ვაჟე ტაძარი შესაფარო, უდაბნოდ მდგარი;

მეუ ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი...

ნიკო ფიროსმანს, მუხლმოდრეკილს, სამშობლოსათვის თავისი მიაშიტი, წმინდა ხელოვნების სიმბოლი — ასევე მიაშიტი, წმინდა კრავი მოურთმევი...

აი, ელგუჯას სამყარო — მშობლიური მიწა და ხალხი, მისი ხსტორია, მისი დიდი შვილები — ხალხისათვის მუდამ საჭირო „მუდმივი“ თემები.

როდესაც ამ სახეებს უყურებ ამაშუკელისეული ინტერპრეტაციით, რწმუნდები—მათ არ გააჩნიათ ვიწრო გაგებით ეროვნული, კუთხური თეისებები. ამიტომაც — ზოგადკაცობრიული, ჰუმანური, პროგრესული იდეებით დატვირთული ეს ღრმად ეროვნული სახეები თანამედროვე გულარდობისა.

მაგრამ ყოველივე ზემოთ ნათქვამი, ხელოვანისათვის მხოლოდ ამბავია, ახლობელი და კარგად ნათქვამი სიუჟეტი, მომავალი ნაწარმოებას დედაარსი — ერთი მხარე შემოქმედებისა. ხოლო ხორცშესხმა?

აქ იწყება ოსტატ-მონუმენტალისტის ხელოვნება — ამბავი მხატვრული ხერხებით „გვიამოს“ და დგე-

ვარწმუნოს თავისი „ენის“, პლასტიკური ენის სიმართლემი.

ელგუჯა ამაშუკელი მხატვრული იდეის კონკრეტისაცის უკვე ესაზუსში ახდენს. აქ იხატება მისი წყაყენი პლასტიკური იდეა, მომავალი კომპოზიციის მთავარი ძარღვი.

მთავარ თავისებურებად მისი კომპოზიციებისა მე მიმანია უმაფრესი ლაკონიურობა — ერთი შეხედვასა საჭირო მათ აღსაქმელად, ერთი ფრსხით არის მათში ნათქვამი სათქმელი.

აქ არ შეიძლება არ გავისხნოთ მეგვიდრეობა, პირველ რიგში, ქართული ისტორიული მონუმენტური ხუროთმოძღვრება. ლაპიდარობა, ფორმის უადრესი რაფინირება, ტექტონიკური წყობის ლოგიკა და სიმკვირე — ასეთია ჯვარი თუ სვეტოცხოველი, სამწვერისი თუ სამთავისი, თბილისის მეტეხი... მათ ვერც ვერაფერს დაუმატებ და ვერ მოაკლებ.

განგებ ვახსენე სხვადასხვა ძეგლები — ამით დასტურდება ქართული ეროვნული ხელოვნების მემკვიდრეობითი ხასიათი. უტყუარია, რომ ქართულ ძეგლებში ეძებდა და პოულობდა ელგუჯა ქართველი კაცის პლასტიკურ ბუნებას. ბევრჯერ გაუსხნებია — სვეტიცხოველს ვაკეთავდა, როდესაც ვახტანგ გორგასალის მონუმენტზე ვმუშაობდი.

ელგუჯა ამაშუკელის ნაწარმოებში ყოველი ნაწილი, დეტალი, ყოველი ფორმა ცალ-ცალკე აღიქმება, ცალკე ვახსენებ; მაგრამ ამ ცალკეული ნაწილების, ფორმების კონსტრუქციული ჩონჩხი, ტექტონიკური საფუძველი ერთიანია, ერთ საბოლოო ზგამოცანას, „ზეფორმას“ და-მორჩილებული. ამით არის მიღწეული მონუმენტისათვის ასე საჭირო განზოგადება და თვით მონუმენტალობაც. ამით არის მიღწეული მისი მონუმენტების მოცულობითი ხსავ-

სამაპულო ოში დაღუბულ გმირთა მემორიალი. ესკიზი (გორცი).





სე, მატერიალობა, სივრცობითობა, ან ერთი ხელოვნებათმცოდნის სწორი განსაზღვრით — „არტიკტურულობა“ (6, გვ. 34). ისევ უკან გავიხედოთ — ქართული არტიკტურა ხომ სკულპტურული და მონუმენტურია.

რადგან მემკვიდრეობითობა, ეროვნული ხასიათი ვახსენე, ხაზი უნდა გაესვას ელგუჯას შემოქმედებაში კიდევ ორ დამახასიათებელ მომენტს: დეკორატიულობას და ფერის გრძობას. ჭეშმარიტებაა — ერთიც და მეორეც დამახასიათებელი და სპეციფიკურია ძველი ქართული ხელოვნებათმცოდნის.

მისი ძეგლების დეკორატიულობა, დეკორატიული მორთულობა თვალში ხაცხვი არ არის, ვინაიდან აქ დეკორატიულობა ფიგურის (ისე როგორც ძველი ეპოქის ქართულ ხუროთმოძღვრებაში ტაძრის კედლის) შინაგანი

არსებითი ტექტონიკური წყობის ხაზგასმას და გამოვლენას ემსახურება და არა „მდიდრულად“ მორთვა-მოკაზმვას. დეკორატიულია არა მარტო რიტმი ცალკეული დეტალებისა თუ მთლიანად ფიგურისა (ფიგურებისა), არამედ თვით მანერა ქანდაკების ზედაპირის ფაქტურისა. მათი უმეტესობა დამუშავებულია ორიგინალური მანერით — მიჯრით მიწყობილი ფოლკსესური, წრიული ნაქერ-წით (მათ ელგუჯა მარჯვენა ხელის ცერით „აწეებს“ ნატურალური ზომის მოდელზედაც კი. სტეკს არ ხმარობს — ხელით უკეთ ვაკალიბებ, კვრძნობ ფორმასო. ახლა წარმოიდგინეთ რა ენერჯის დახარჯვა უხდება მას).

ეს „ნაქერწი“ ხან მიყვება ფორმის წყობას, ხან აძლიერებს სასურველ ხაზს, ხან კი კონტრასტს ქმნა გულუვად დამუშავებულ ზედაპირთან.

ფორმისანი. ესკიზი



იგი ცხოველბატულს, ხორცეული მკვრის ხდის მოცულობას. „ნაქერწი“ თითქოს საწყისი მასშტაბია, პირველი ავორდი ფორმის წყობისა და მონუმენტის დეკორატიულობისა.

ელგუჯა ამაშუკელი მონუმენტზე კონკურსის ჩატარების ერთ-ერთ პირველ წინაპირობად მიიჩნევს მოთხოვნას — ესკიზი, მოდელი წარმოდგენილ იქნეს იმ ფერში, როგორც აქვე ჩაფიქრებული ავტორს მისი ნატურაში განხორციელება (1, 3).

მასლის ფერი, ელგუჯასეული გაგებით, კონკრეტულ ადგილს და მონუმენტის იდეურ მხარეს უნდა იყოს მისადაგებული.

ამიტომ არის: წითელი ქართული აგურიდან, „მიწური“ მასალიდან ნაგები „კახეთი“ (ესკიზი. თაბაშირი);

მტკვრის კლდოვანი ქარაფებიდან ამოზრდილი „ვახტანგ გორგასალის“ პიედესტალი რუხი გრანიტის, ცხენოსანი მფის ფიგურა კი ბრინჯაოსი; ქალაქზე გადმომდგარი „ქართველის დედა“ სანთელივით ანთებული...

კოლხეთის ხასხასა მწვანის, ლურჯი ცისა და ზღვის ფონზე ქართველ მესღეაურთა მემორიალი — ყალფზე შემდგარი სამი „ტალღა“ თეორად ქათქათებს (ბეტონი, მარმარილოს ფაქტურა)...

ელგუჯა ამაშუკელის მონუმენტები სიმეტრიის პრინციპზეა აგებული. ისინი, ერთი შესვლივით, სტატიკური, გარინდებული არიან. ამით აღწევს მოქანდაკე შინაგან დაძაბულობას, პოტენციას, შეშარტებას. მაგრამ ეს არ არის კანონიზირებულ მკვდარი სიმეტრია. ეს უფრო სიმეტრიული წონასწორობაა, რომლის საშუალებით მიღწეულია კომპოზიციის მონუმენტურობა, სიდიადე. ამასთან მხატვარი თუმცა არ არღვევს სიმეტრიას (წონასწორობას), მაგრამ შეუმჩნევლად მნახველისაკენ ხსნი მყარად „ჩაკეტილ“ კომპოზიციასაც კი.

ეს მიღწეულია — ხან ზუსტად მონახული ფესხით („ვახტანგ გორგასალი“);

ხან ტაქტიკით მოწოდებული სიმბოლოით („ქართველის დედა“ — ხმალი და თასი; „კოლხეთის დედა“ — ხმალ-ჯვარი და დაფნის რტო; „კა-



ხეთი“ — ლინის თასი; „ფიროსმანი“ — კრავი და ა. შ.);

ხან კონტრასტი („იდილია“ — „მიძიმე“ ცხენი და მასზე ამხედრებულ კაპეროვანი ქალი; „ბერიკა“ — ისევ „მიძიმე“, სტატეკური ცხენი და მასზე — მხიარული ბერიკა);

ხან კი ამას აღწევს უბრალოდ — თავის გადახრთი ან დახრთი...

და ყოველთვის მონუმენტის მთელი კომპოზიციური წყობის, მთავარი ღერძის მიმართებით.

სიმეტრიულობა ელგუჯას მონუმენტებისა არც მათ სუფთა ფორმალობას გულისხმობს. პირიქით, ისინი საოცრად მოცულობითი, „მრავალფასადიანები“ არიან.

მოქანდაკე განგებ, გამიზნულად არღვევს ფიგურის ანატომიურ წყობას (ადამიანი იქნება ეს თუ ცხოველი), მოძრაობის ბუნებრიობას (ყველაზე დამახასიათებელია „რეკლუკია“). მისთვის მთავარია განზომილების ძირეული — მხატვრული თემა, იდეა ნაწარმოებისა; გამოჩინის ის, რისთვისაც მომარჯვა პლასტიკის ენა, რათა „მოეცოლა“, ეწვევებოდა მხაზველისათვის აწმაღ და გეგონიერი და წაკითხული ლეგენდისტორია, განცდილი სიყვარული, ტივილი თუ არდავიწყება...

სარა ვალერიუსი აღნიშნავს, რომ ელგუჯა ამაშუკელის „...აზროვნება ყოველთვის მონუმენტურია, სახეები მხატვრულად განზოგადებული, თუმცა სპეციფიკურად არცგოლი ძერწვის სხვადასხვა ჟანრში“ (5; 2, გვ. 43).

შე შევეცადე აღმეჩინა ზოგიერთი იმ ხერხიდან, რომელსაც ელგუჯა ამაშუკელი იყენებს თავისი მონუმენტური, განზოგადებული აზროვნების დასამკვიდრებლად. „მუშაობის კვალის“ მოსასპობად. ეს ხერხები ყოველ ნამდვილ შემოქმედს, ოსტატს თავისი საკუთარი, შერჩეული აქვს. ასე აქვს ელგუჯასაც. ეს ანაქტის მის ნაწარმოებს ინდივიდუალობას, განუმეორებლობას. ამ ხერხების მომარჯვებით ქმნის იგი იმ კომპოზიციებს, რომლებიც შეიძლება ვინმეს ბოლომდის არ მოსწონდეს (ვერ გაიგოს) პლასტიკური ფორმის უჩვეულობის გამო, მაგრამ გულგრილს არავის ტოვებს, რადგან მასში მიგნებულია ის სიმართლე, რომელიც ხე-



ნიკოლოზ ბარათაშვილი

ლა განხორციელებულ ნაწარმოებზე... და რამხელა ამბავია: ერთმა კაცმა, ერთმა ელგუჯა ამაშუკელმა მოუტანო ამოდება ქალაქ თვალში საცემი და აუცილებელი“ (2, გვ. 33).

მერე საიდან მოვიდა კაცი, რომელმაც თაყვა და მოუმატა ვიდევ ამოდენა ქალაქს, ამდენ ქალაქებს „თვალში საცემი და აუცილებელი“!

ჩემს მიერ დასაწყისი ში ნახე: ნებორი მოვლენა — ქართული ლატურატურისა და ხელოვნების დეკადა და თბილისის 1500 წლისათვის, იყო მხოლოდ მიზეზი, რომელმაც საქვეყნოდ გამოამჟღავნა ელგუჯა ამაშუკელის ტალანტი. მაგრამ ის არც შემოვლენა ნიდაგზე მოსულა და არც მართო ყოფილა, თორემ ნაყოფსაც ვერ მოიმიკადა.

ოციანი წლების მეორე ნახევარში, თითქმის პირველად საბჭოთა კავშირში, აქ საქართველოში, მცხეთასთან, ზაპესის კავშალთან საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა მონუმენტური სკულპტურის განვითარებას. როგორც სარა ვალერიუსი ამბობს, ივანე შადრის მიერ ამ გარემოსათვის შექმნილი ვ. ი. ლენინის მონუმენტი იყო „პოლარული აღმოჩენა“, „...აღმართული სიფერობიერი გაქანებით და მოულოდნელი „ლოკალურობით“...

სამი ათეული წლის მანძილზე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ორი გამოჩენილი მოქანდაკის — იაკობ ნიკოლაძისა და ნიკოლოზ კანდელაკის მოღვაწეობამ შეუქმნა მყარი საფუძველი ქართული საბჭოთა პლასტიკის განვითარებას.

ორი ხელოვანი ორი სხვადასხვა შემოქმედებითი მიმართულებისა იყო. ნიკოლაძე მშვიდი, ძენწი სილუეტით, შექმნილით გამოვლენილი ორი მიმდებარებით ქმნიდა თავის თბილ, მიმზიდველ, ფსიქოლოგიურ კომპოზიციებს. კანდელაკი მოცულობით ფორმას მკაცრად, არქიტექტურულურად ავება, სივრცეში მკაფიოდ, ლაკონურად მოსაზული სილუეტით ქმნიდა ენერგიულ, ვაჟაკურ პორტრეტებს. ეს იყო ორი ჭეშმარიტი მხატვრის შემოქმედებითი დავა. მაგრამ მათ აწრთიანებდათ რეალისტური ხედა და ქართული ხელოვნებისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი პოეტურობა, ლირიზმი,

ლოვანთან ერთად გამღერებს ან გარინდებს.

სწორედ ეს არის მთავარი — ოსტატის მიერ მოსპობილია „კვადლი მუშაობისა“ და ჩვენ წინაშეა მონუმენტები პოეტური, ლირიკული, რომლებსაც ახლავთ ინტიმი (არა გამარჯული გაგებით) და სიბოძ. ამასთან მათი მონუმენტურობა არ არის კაზიონური, კერადა მოვლენილი. ელგუჯას სახეები ამბავს დინჯად და ზუსტად, ამაღლვევება, ადამიანური ტემპრით მოგვიფხობენ, გვარწმუნებენ.

ამიტომ თავისუფლად შეიძლება გავაგრცხლოთ ლენინის ლებანიძის მიერ „ქართლის დედაზე“ ნათქვამი სიტყვები ელგუჯა ამაშუკელის ყვე-

სიტობო, ფორმის რაფინირება, დეკორატიულობა.

უკვე საბჭოთა წლებში, აკადემიაში აღზრდილი ქართველი მოქანდაკეები (ს. კაკაბაძე, კ. მერაბიშვილი, ვ. თოფურაძე, შ. მიქაბაძე, ი. თორთოპრიძე, თ. ასათიანი და სხვ.) ცდილობენ მოთხოვნების შესაბამისად გააზრდონ და განახორციელონ მონუმენტური ამოცანები. მაგრამ, სამწუხაროდ, შადრის (და არა მარტო შადრის) ტრადიციები საბჭოთა ხელოვნებაში იმ დროს მივიწყებული იყო. ელგუჯა, როგორც ვოჭვი, ნიკოლოზ კანდელაკის მოწაფეა, მისი შემოქმედებითი კრედოს მიმდევარი. ცხადია — პლასტიკური გადაწყვეტის კანდელაკისეული ხერხები უფრო მიესადაგებოდა მონუმენტურობის ამოშკელისეულ ამოცანებს, დროის ამოცანებს.

50-იანი წლების დასაწყისში ფართო ქალაქმშენებლობითმა გარდაქმნებმა ახალი ამოცანები დააყენა მონუმენტური ქანდაკების წინაშე. მომწიფდა ნიადაგი ქანდაკებისა და დეკორატიული ხელოვნების დარგების დამკვიდრებისათვის ქალაქში, ჩრჩხელებში, მოედნებზე, სივრცეში. არქიტექტურაში ე. წ. „ზედმეტობის“ — ცრუ დეკორატიულობის, პომპეუსრობის, ძველი ფორმებისა და დეტალების ბრმად გამოყენების და ა. შ. წინააღმდეგ გალაშქრებამ ახლებურად დააყენა არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა დარგების სინთეზის საკითხები.

საჭირო გახდა მოქანდაკეების, მხატვრების მჭიდრო კონტაქტები არქიტექტორებთან. უკვე მოხდა დებულება, თვისობრივად ძვრამ არ დააყუენა — მოვიდა ახალი თაობა ქართველი საბჭოთა მოქანდაკეებისა, რომლებმაც მეტ-ნაკლებად იტვირთეს და გადაწყვიტეს საქართველოში მონუმენტური ხელოვნების განვითარების პიონერთა როლი (გ. კობახიძე, თ. ლვინიაშვილი, ე. კაკაბაძე, მ. ბერძენიშვილი, ა. გორგაძე, ი. და გ. ოჩიაურები; ცოტა მოგვიანებით მ. მერაბიშვილი, ჯ. მიქაბაძე, გ. კალაძე და სხვ.).

ელგუჯა ამოშკელი იყო ერთ-ერთი პირველი, თუ პირველი არა, რომელმაც ყველაზე ადრე და ყველაზე სრულად გამოამჟღავნა მონუმენტალის-


ტის თვისებები და 50-იანი წლების მეორე ნახევარში ქართველ ხალხს მთელი ხმით დელაპარაკა პლასტიკის ენით, ფართო დიაპაზონით, მატერიალიზებული იდეებით, გასაგები სამოლოგებით, პატრიოტული ენით.

გავისენით კიდევ ერთი მოთხოვნა, რომლის გათვალისწინება აუცილებლად მიაჩნია ელგუჯა ამოშკელს კონკურსის პირობებში — საჭიროა ზუსტად მითითება ადგილისა, სადაც უნდა აღიმართოს მონუმენ-

აკონკრეტებს, ხეწაფს სტიკას.

„მეექვსე გრძნობა“ კარნახობს მას მოედანზე თუ ქუჩაზე, გაშლილ სივრცეში გამოსვლის ადგილს და დროს; ეს „გრძნობა“ კარნახობს იდეური ჩანაფიქრისათვის საჭირო გამომსახველობის ფორმას, კომპოზიციას, სრულუტეს, აბსოლუტურ ზომას თუ შეფარდებით მასშტაბს, ე. ი., როგორ „დაიპყროს“, „მოთოკოს“ სივრცე.

„ქართლის დედა“ მთელ ქალაქ-



ივანე ჯავახიშვილი

ტი (1). აქცე ჩანს, რომ იგი არა მარტო მოქანდაკეა, რომელიც მონუმენტურ ამოცანებზე მუშაობს, არამედ, პირველყოფისა, მონუმენტალისტი, რომელიც კონკრეტული სივრცის კატეგორიებით მსჯელობს; მზად იდგას კი არ უსადაგებს ადგილს, არამედ ადგილიდან გამომდინარე

„ავსებს“ — მისი თბილისკური, სტატიკური კომპოზიცია შორეული და ახლო წერტილებიდან ერთიანად მახვილია და გამომსახველი.

„ვახტანგ გორგასალი“ ქალაქის გრძობივი ღერძის გადატეხის ადგილზე და ამიტომ მთელი კომპოზიცია ხაზს უსვამს, აფიქსირებს ამ გადატეხას — მონუმენტის მთავარი ღერ-



მი განივ აბზაცს ქმნის ძველი ქალაქის მიმართულებით; არალი იკურნება, თითქოს ივსება, ინტიმური ხდება.

დაღუპულ მუზღავურთა მემორიალში ხმელეთიდან „აბოზრდლი“, გაქვავებულ სამი თვითი ტალღა (15, 13 და 8 მ) „იფარას“ ტაბუკის ფიგურას (3.5 მ), რომელიც კვარცხლბეკზე (4 მ) შედგებულა. შექმნილია პოეტური, ლირიკული განწყობის სედიანი მიკრო სივრცე; მთელი კომპოზიცია, მასშტაბით და მოკულობითი პლასტიკით, ბატონობს ყოვლთვის დაბლობისა და ზღვას სივრცეებზე...

მონუმენტურობა ელგუჯას მიერ ყოველთვის სწორად არის გაგებულა. ეს არ არის მხოლოდ სიდიდე, გრანდიოზულობა. ეს არის მონახვა სწორი შეფარდებისა კონკრეტული გარემოცვის, სივრცისა და კონკრეტულ პლასტიკის ობიექტისა, როდესაც ხდება ურთიერთ დამორჩილება, უფრო სწორად, შესისხლბორცება ამ ორი მხარისა.

ეს არ არის გატაცება გაბარიტებით, აბსოლუტური ზომით, არამედ მომარჯვება მასშტაბურობისა (ამ მხნების ჭეშმარიტი, არსებითი გაგებით), როცა სივრცე, გარემო და მასში შემავალი კომპონენტები (ძველი, არსებული და ახალი) პარმონულ ერთმანებაში არიან, როცა ისინი ერთმანეთს ავსებენ და ხაზს უსვამენ.

ამდნად, ელგუჯა ამაშუკელისათვის მონუმენტური ქანდაკება სივრცის მხატვრული ორგანიზების ერთ-ერთი საშუალებაა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე არქიტექტურა. მისა მონუმენტურობისათვის ხშირად სწორედ არქიტექტურა, მთლიანად ქალაქია კვარცხლბეკი ან ფონი.

ალბათ, ამიტომაც, მის სახელოსნოში ყოფნის დროს ჩავიწერე: საოცარია — ყოველი მისი ესკიზი, დიდი თუ პატარა, გარემოს, სივრცეს იბნოს.

ფართოა გეოგრაფია ელგუჯა ამაშუკელის მიერ შექმნილი, ნატურაში განხორციელებული ქმნილებებისა. თბილისში — „ქართლის დედა“, „გახტანე გორგასალი“, „ფიროსმანინი“ (არქიტექტორი ნ. მგალობლიშვილი), რაფიელ — ენისთავის ძველი

(არქიტექტორი ვ. მირიანაშვილი), მეტროპოლიტენის სადგურის „შოთა რუსთაველის მოედანი“ (არქიტექტორები თ. კალანდარიშვილი, ი. ცხომელიძე) შესასვლელის თავზე ბარელიეფი და მიწისქვეშა ვესტიბიულში (არქიტექტორი ჯ. კანელიანი) ქედურები, ი. ჯავახიშვილის პორტრეტული სკულპტურა თბილისის საფ. უნივერსიტეტის საექტო დარბაზის ფოიემი, უნივერსიტეტის ბაღში სამამულო ომში დაღუპულ უნივერსიტეტელთა ძეგლი-ობელისკი (არქიტექტორი ა. ჯობიძე); ზემოთ ნახსენები მონუმენტები ფოიემი, ზესტაფონში (ორივე ძეგლის არქიტექტორია ვ. დავითია)... შექმნა ავღანეთის განთავისუფლების მემორიალი, ბულგარეთის ურთულე გმირის ასპარუხის მონუმენტის პროექტები.

ახლა იდგმება მონუმენტები: სამამულო ომში დაღუპულ გმირთა ხსოვნისა გორში, ტყებულში, დაღუპულ ქართველ მუზღავურთა — ფოიემი (სამივეს არქიტექტორია ვ. დავითია). აფორმებს მეტროპოლიტენის სადგურის „აკაკი წერეთლის პროსპექტი“ (არქიტექტორები ვ. აბრამიშვილი, დ. მორხედაძე) ვესტიბიულს. განზრახულია მისი სკულპტურული კომპოზიცია დაადგას უნგრეთის ერთ-ერთი ქალაქში.

ვრცელია ელგუჯა ამაშუკელის ყოველდღიური შემოქმედებითი გეგმები, უფრო სწორად, ყოველდღიური შემოქმედებითი შრომა. საოცრად მრავალმხრივია მისი მოღვაწეობა წიგნისა და დაზღურ გრაფიკაში, მედალიონურ ხელოვნებაში, აბსტრაგირებულ სკულპტურული ფორმების შექმნაში. მოქანდაკე თვლის, რომ გრაფიკულ-ფერწერულ ნამუშევრებზე (შექმნილი აქვს რამდენიმე მეტად საინტერესო ციკლი) შემოხმება მას უმსუბუქესი ქანდაკების სიმბიომეს — აქ ვისვენებო. მაგრამ ეს დასვენება ხომ ისევ შრომაა. აბსტრაქტული ფერწერულ-პლასტიკური ვარიაციები თუ ვიტაისა და საბერძნეთში მოგზაურობის ჩანახატების (კალამი, ფლომასტრი) მხატვრული განზოგადება იმავე თემებზე (ფილომასტერი, აკვარელის ტონი) მისთვის ისევ და ისევ მონუმენტურ-პლასტიკური არის ძიება, საფუძველი წმინდა დეკორატიულ-მონუმენტური გა-

ნზოვადებული ფორმების შექმნისათვის.

ცოლკ ალსანიშნავია ელგუჯა ამაშუკელის ნაბეჭდი სტატეები, შრომები, გამოცემები, ჩანაწერები. მათში გამოთქმული მოსაზრებები მონუმენტურ სკულპტურის არსის, არქიტექტურისა და სკულპტურის სინთეზის, ქალაქის, კერძოდ, თბილისის თავისებურებების, თანამედროვე ხელოვნებაში ერთგული ფორმის შესახებ მრავალმხრივი არის საინტერესო და ანგარიშგასაწევი. როცა კახთხულობ ამ შრომებს, უსმენ ელგუჯას, თქვენს წინაშე იხსნება, გასაგები ხდება მოქანდაკის შემოქმედებითა ლაბორატორია. იგი არაფერს გიშალავთ. იშვიათად შეგხვდებით შემოქმედი, რომელიც ასე ნათლად შედადეს და ნათლად ხსნიდეს მის წინაშე წამოჭრილ იდეურ-მხატვრულ და წმინდა პროფესიულ ამოცანებს. მისთვის თითქოს ისიც კი ვასაგებია, თუ რატომ არის ზოგიერთი რამ გაუგებარი. ეს ანალიტიკური აზროვნების უნარი გამაგრებულია მრავალმხრივი, დრმა განათლებით (ალბათ, ამიტომ ერთ-ერთმა საკავშირო გამოცემებში მას ახალგაზრდობისათვის წიგნის დაწერა დაუკავთა თავისი პროფესიული კრედიტის შესახებ).

ასე შემოქმედებით შრომაში, ერის ხსნიით და ჭირით, მოქალაქობრივი ინტერესებით ცხოვრობს ელგუჯა ამაშუკელი.

და აღიარებაც, ხალხის სიყვარული მივიდა.

ღაღად გუდაშვილმა განაცხადა: „განხორციელდა ჩემი დიდი ხნის ოცნება — მონახულ იქნა ქართული საბჭოთა სკულპტურის სახე, მისი ერთგული ფორმა...“

მე ძალზე მისარია, რომ მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი არის ახალი ქართული მონუმენტური სკულპტურის ერთ-ერთი დამაარსებელი...“

ნ. ვორონოვი (მოსკოვი) წერს: „ამაშუკელის შემოქმედებაში ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალოდ ტალანტთან. ეს რაღაც უფრო მეტია და მი-

* სიტყვიდან, რომელსაც მას უნდა წაეხსნა ვახტანგ გორგასალის ძეგლის განახლება; შეუძლოდ იყო და ტექსტით გამოავლანა (ინახება ე. ამაშუკელთან).

სი შემოქმედების ნაშენელობა სცადდება ქართული კულტურის ჩარჩოებს. ეს ახალი მიმართულება ჩვენ მონუმენტურ ხელოვნებაში, ან და, შეიძლება, მუხინასეული მიმართუბის აღორძინებაა...“ (6, გვ. 48—49)

ლ. ვენვეი (ბულგარეთი) აღნიშნავს:

„საბჭოთა მონუმენტური ქანდაკების უკანასკნელი წლების მიღწევები მტკიცედ უკავშირდება ქართული მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის სახელს, რომელმაც შექმნა ბევრა მნიშვნელოვანი ნაწარმოები. მისი წარმატებაც მსოფლიო კონკურსში (ხანა ასპარუხის ძეგლის პროექტზე სოფიაში, ს. კ.) ბუნებრივი იყო. ლაკონიური აზროვნება, თანამედროვე ხედვა, მაღალი ოსტატობა მისი შემოქმედების დამახასიათებელი თვისებებია...“

მოქანდაკეს შემოქმედებითი კავშირი, მეგობრული ურთიერთობა აქვს საბჭოეთის და უცხოეთის მრავალ წამყვან შემოქმედთან. მის შესახებ ბევრი იწერება საბჭოურ და უცხოურ პრესაში.

მრავლისმთქმელია ერთი ბულგარელი ახალგაზრდა მოქანდაკის პირადი წერილი ელგუჯასადმი:

„მე 27 წლისა ვარ. უკვე მივიღე მონაწილეობა რამდენიმე გამოფენაში. ძალიან მომწონს კავკასიის ხალხთა თვითმყოფადი და ორიგინალური შემოქმედება. კერძოდ, საქართველოს მონუმენტური ხელოვნება. მე ვიცნობ თქვენს შემოქმედებას და მოქანდაკეთა შორის საუკეთესოდ მიმანინხართ. ამიტომ, თუ ეს შესაძლებელია, მინდა ვიყო თქვენი შეგირდი, ვიმუშაო თქვენს გვერდით... შევცდები ვიყო ღირსეული მოწოდებურთ წერილს თქვენი შემოქმედებით შთაგონებული დობრინ ანგელოვ დობრინ“.

როდესაც ელგუჯა ამაშუკელს, მასინ სულ ახალგაზრდას, ერთ-ერთ პირველს, დიდ ქართველ მოღვაწეებთან — ირაკლი აბაშიძესთან, ლდი გუდიაშვილთან და კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად, შოთა რუსთაველის პრემია მიანიჭეს, ვახტანგ ბერიძემ ასეთი სიტყვები დაწერა:

„ელგუჯა ამაშუკელს ჯერ შორი გზა აქვს გასავლელი. ჩვენი ეროვნული პოეტის სახელობის პრემია დიდი ჯილდოდ არის, მაგრამ დიდი „ტივრითი“. ვუსურვებ ელგუჯა ამაშუკელს ამ ტვირთის სასახელოდ ზიდვას...“ (2, გვ. 39).

აკი იტივრთა და კიდიც ზიდავს ჩვეინდა სასახელოდ!...

მითითებული ლიტერატურა:

1. ელგუჯა ამაშუკელი, დედაქალაქის საკუთარი იერი, ვახ. პლიტარატურული საქართველო, 16. VIII. 1968.

2. ავტორთა ჯგუფი, ელგუჯა ამაშუკელი. სერია — რუსთაველის მემორიალი, ლავრიატა, თბ., 1966.

XIX ს. დამდევს იერუსალიმში ცხოვრობს ქართული სიძველეთით დადა-დაინტერესებულ ვინმე ოკრიბოლი ბერი ლავერტი. მას თავისი დაკვირვებანი, მართალია, თხზულებად არ უქცევია, მაგრამ ბერი გი იმუშავა, რაც ჩანს მისეული მინაწერებიდან 1155 წ. სვიანქსარზე. იქ ნათქვამია: „... ყველგან ქვები და წერილები აცხადებს ჩვენს ქვეყნის განიხილვას და თუ ვის გაუკუყვებია და ხარჯი უქნია. და ვინც ამ ჯვარის მონასტრში (მთხველთ) „გოლგოთას სვიანქსარი“ აქ არის და დასაწყის თავში იხილეთ და ნახეთ თუ ვისთა გოლგოთა და აქა ჯვარის მონასტრში მხედრული მწერილი „მოსახსენებელი სახელები“ განიხილეთ დოსიეთოზ პატრიარქის დროს და მით სცნობთ ამა წმინდა ალავის ამბავს...“

აზრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ ის მიდგომა ნვითიერი ძეგლებისადმი, რაც ტიპოვდ გაბაშვილის „მომოსვლაში“ გვაქვს, არ არის მარტოოდნე მისი მიღწევა, იგი ნიშნულია მისი ეპოქისათვის და განსაზღვრულია ქართული კულტურის მეცნიერული პატრიოტურ-რომანტიკული ორიენტაციით. მაგრამ არნაკლებ მნიშვნელოვანი ჩანს ისიც, რომ ამ-პირველ მიდგომა გვაქვს, როგორც ცნობილია, XIX ს. სიძველეთმცოდნეობაშიც. ცხადია, რომ XVIII ს. და XIX ს. აღმამათა დამოკიდებულება ძველი საქართველოსა და მისი კულტურისადმი იგივეობრივი ვერ იქნებოდა. განსხვავებულად იყო შეფერილი მათი რომანტიკოზი. XVII-XVIII სს. მთავარი იყო ეროვნული მეობს შემეცნება, რაც თავისებური თვითდამკვიდრებას საშუალებაა. ამ პერიოდის მიღვაწენი დაუძებნ წარსულში დიდ აღამაინებას და დიდ მოვლენებს, რათა დაადგინონ ქართველების დავწლი, შუაფასონ — და განადღობს! — იგი სხვა ერებისათამაშ შუპირისპირებით, ქართველობის ვისთანაც გნებათ შედარებით ტოლ-და სრულფასოვნებას დაამტკიცონ. ასე, მეფე არჩილი ალექსანდრე მაკედონელთან, დავით და სლომონ დიდარეალთა მეფეებთან, შაჰ აბასთანა და პეტრე დიდთან ერბად შეაქება დავით აღმაშენებელს, გიორგი III და თამარ მეფეს („მეფეთა საქულები და სამხილებელი“); ანტონ I „წყობილისეკვაობა“-ში საქართველოს ისტორიისა და კულტურის მიღვაწეთ სამყაროს ბიბლიური ისტორიის ფონზე გვიხატავს, შესაძლოა, არსადაც მომენტრი ისე პირდაპირ გამოითქვით. როგორც გრეკოდოლოგიქელის (ვახუშტიშვილის) შესიხულ ქვეყნად წამებულის საგლობელში, სადაც კიშნორგაფი ამბობს: „აღიარებ შენ, ყოველთა უპირატეს მოწამეთა შორის, მკნეთ დედოფალი, რამეთუ ხარ შენ სასოება ყოველთა ქართველთა და კახთა სრულიად ერისა და შენდა მიმართ დიდებასა შესწირვენი“.¹⁹ კახთა წამებულ დედოფალი, XVIII ს.-ის გარეჯული ბერის წარმოდგენით, აზრიგად, ისეთგვარი სულიერი დიებულებითა, რომლითაც ქართველობის შეუძლია დაუპირის-



პირებს მთელს საქრისტიანოს და დამიკვიდროს კიდევ უპირატესობა.

XIX ს. მდგომარეობა საგრძნობლად სხვაა. წარსული, ერთი მხრივ, უდავო ღირებულება და მინერალი — თვით ერეკლე II-ის შუობის ჩათვლითაც კი; მეორე მხრივ კი, იგი ინდუნად შორეულად განიჭდება, რომ ხდება კვლევით და დაკვირვებით სავსე. მაგრამ რაც უმეტესად დამოკიდებულების ნივთიერ ძველბაში, იგი არსებითად იგივე რჩება. XIX ს. და XX ს. დამდეგის მცენიერნი — პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანიანი, ე. თაყაიშვილი თუ ნ. მარი ნაგებობაში, მხატვრობაში ხელნაწერში უმეტესკად ისტორიის ძეგლს, საისტორიო მასალას, საისტორიო წყაროს ხედავენ.

XIX ს. ქართული საისტორიო მცენიერებისა და, კერძოდ, სიძველეთმცოდნეობის განვითარებას არტუტ მცირე აზგი დასდევს რუსმა თუ ევროპელმა მეცნიერებმა — მ. ბროსემ, პ. უაჩოვამ, მ. პავლინოვმა და სხვებმა. ამ სწავლეულთა პირველ ყოვლისა კი აკად. მარი ბროსემ, შემოიტანეს საქართველოს ისტორიის კვლევაში მეტი სიმკაცრე, გაამდიდრეს იგი ევროპული მეცნიერების მიღწევებით. მაგრამ ამასთანავე ისინი, როგორც ვიცით, ქართულ სიძველეებს არქეოგრაფიის, ისტორიის თვალსაზრისით უღვებდნენ და ეს წამოჭრის საკითხს მათი ნამუშავეების მიმართებასა ქართულ ისტორიო-გეოგრაფიასთან და უფრო ფართოდაც, ქართულ კულტურასთან. მეცნიერების ყველა უახლესი საშუალებით აღჭურვილი, ისინი ამ მხრივ, უთუოდ დაწინაურებულნი იყვნენ ქართველ მეცნიერთაგან შედარებით. ვერაინ დაუკარგავს უცხოელ მეცნიერთა მ უზარმაზარ ღვაწლს და ვერც ვინ დაეყურებინს ქართველობას მის დავიწყებას. გაიხსენოთ თუნდაც, როგორ შეიყვარეს საქართველოში აკად. მ. ბროსე, რომლისთვისაც ქ. მამაცაშვილი ძეგლის აღმართებას მოიხმობდა და რომლის შესახებ, ილია ჭავჭავაძის წინადადებით, დავრქვა ტვილისის ერთ ქაქას. იგი ქართველებმა გიორგი წერეთლის პირით — „გულთ ქართველობა“ — თავის თანამემამულედაც შერაცხება²⁰. ანდა გაიხსენოთ, რომ ახლადდასაგებებულმა ტვილისის უნივერსიტეტმა ივ. ჯავახიშვილისა და პ. მელიქიშვილის წარდგენით (15 III 1918 წ.) თავის საპატიო წევრად აირჩია აკად. ნიკოლოზ კონდაკოვი — ხელოვნების ისტორიის საერთოდ და, კერძოდ, ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლაში დამასხურების გამო.²¹

ოღონდ არც ის უნდა დავგავიწყდეს, რომ მ. ბროსე თავის მასწავლებლად თვლიდა თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელიც არა მარტო ევროპულს ყაიძის პირველი ქართველი მეცნიერია, არამედ დავით რექტორის, ანტონ I ნამოშვაფარის მოწაფეც და, ამდენად, XVIII ს. ქართულ კულტურულ ტრადიციასა აღზრდილი. და ისიცაა აღსანიშნავი, რომ თეიმურაზის ნაწერების სიაში სიძველეთმცოდნეობითი მასალის ნაშრომებიც მოიქმნება.²² საქვის ნამდვილი ვითარების წარმოსადგენად მეტად საყურადღებოა 1838 წ. 14/IV პლ. იოსელიანის წერილი მ. ბროსესადმი. ვინ. იოსელიანი წერს: „განვლო უწოდებოდა საუკუნეთა, და გონებათა განიღვიძიეს დასაბამად ამა დიდისა ეპოქისა; ვიტყვი პირუთენელად გამოჩნდი თქვენ... მრავალჯერ მსუროდა აღწერა რამეხასა საქუნებელად და დასამტკიცებლად, რომელს ერცა ქართულთა არა დარჩენილ არს უძრავად დროსა საზოგადოებასა მსწავლათა განუფილებსა... გარნა შიში, რათა არა უფროს საცინელ ვექმნე მეცნათა ევროპისათა, მაყენებდა მე ესრეთსა განზრახვისაგან.

ან ყოველსავე ქართულსა აქუს მოვალეობა, რათა ძალსხმეულად თვისისა შეეწოდეს საზოგადოსა ზრუნებასა აღდგენისმარტო დაიკუმშოს სიტყვიერებისა და მწერლობისა... ჩუენისა“.

თუმცა პ. იოსელიანი მწერლობაზე საუბრობს, მაგრამ რაკი დადამწერცა და ადრესატიც იმავ დროს სიძველეთმცოდნეიც იყვნენ, ნათქვამი შეიძლება ამ სფეროზედაც გაავრცელოდ. მ. ბროსეს უშუაბოდ, უთუოდ, სამაგალითოსა პ. იოსელიანისათვის; ქართული კულტურის მიმართ უცხოელის, შორეული მოწინავე ქვეყნის მეცნიერის დაინტერესება შეგულისხმებს და წაახალისებს ქართველ მკვლევარს. მაგრამ თავად სურვილი თავისი სამშობლოს ძველი კულტურის შესწავლისა, მისდამი ღრმა ინტერესი, მას საკუთარი აქვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პლ. იოსელიანი პეტერბურგს იმავ თეიმურაზ ბატონიშვილის თაზამი ტრიალდავად (იხვევ როგორც დ. ჩუენის მიხედვით). თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოტანილი XVII-XVIII სს. მასალას, ძნელი არ იქნება ამ ინტერესის სათაზის მიგნებაც — ესაა წინამორბედი პერიოდის ქართული კულტურის სინამდვილე. დაბეჯითებით უნდა ითქვას—მასაცა და სხვა ქართველ მეცნიერთაც ბევრი რამ შეეძლიათ და უნდა ესწავლათ ევროპული და რუსი კოლეგებისაგან. ზემოთაც გამომჩნდა, რომ XVIII ს. საქართველოში არ ჩამოყალიბებულა — და ვერც ჩამოყალიბდებოდა! — სიძველეთმცოდნეობა, ვითარცა გამოვეყენოთ სახის შიწნე სამეცნიერო დარგი. მაგრამ ის, რაც ჩვენ დავგანახა წერილობითი თუ სახვითი ძეგლების კანტილად, მეტად თუ არა, არანაკლებ ძვირფასია — ქართულ კულტურაში მოიპოვებოდა ის განცდა წარსულისა, ის მიმართება ისტორიისა და მის ნაშთადმი, ის ფსიქოლოგიური გარემო, ურომლისდაც ვერ განვითარდებოდა ეს მეცნიერება. მეტიც, თუმც დაუხვეწავად, მაგრამ ქართველი სწავლელები მის ხერხებას და მეთოდებსაც ფლობდნენ (წარწერების შესწავლა—მოკითხვა და მისთანან). ასე რომ, XIX ს. პირველ ნახევარშივე ქართველი მკვლევარი არსებითად სხვას არაფერს აკეთებდნენ (ჩვენ ამამად არ გვანიჭებებსა შეგვფათა შეუადრდნითი ღირსება). ვიდრე XIX-XX სს. მიჯნის დღის მეცნიერები: თავისი საჭიროებისათვის იმარჯვებდნენ ევროპული მეცნიერების მიღწევებს. ასე რომ არა, მ. ბროსესა და სხვებსაც შეეძლოთ როგორსაც გნებავთ მალად დონეზე აყვავათ ქართველობათა, ხოლო ქართველთათვის მათი ნაწერებიცა და თვით არსებობაც უთუოდ შეუმჩნეველი დარჩებოდა.

ერთგულად სიძველეებით დაინტერესება არც XIX ს. შემოიგარებოდა სწავალულ-მკვლევართა ვიწრო წრით. ივერის დასამარებული დიდების კაემნიან, გულისმომწყველელ გახსენებდა, გარდასულ დროთა ვითარების მცნობელად და მატანად ევლიანთან ძველი ნაშთები რომანტიკოს მკვანებს. გრ. ირემელიანი, შენატარის რა, თითქმის თეიმურაზ I-თან შეხმიანებით, „თამარ მეფის სახეს ბეთანის ეკლესიაში“ იტყვის:

მე, ვერ სოფელთ,
დაუღობლოთ,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლოდ?
დღებდა ჩუენი,
ცად სხვამომფიქვი,
ნეთუ ესდა ვაკვს, ვხედავო რასაცა?
დაკრებულსა,
გზა-შუაგულსა,
უღაბურს ტუეში ტპაარს დარღვეულს,
სად ხაზე მეფის,



დიდს თამარის.

სხანს ძველს კედელზე გამოხატულად...
(„თამარის სახე ბელოზის ეკლესიაში“)

იგივე გონობას ალპარაკობს მის მოგვარე ვახტანგ ორბელიანს, როდესაც იგი მიმართავს თავის სამკვიდრო დმანისს:

„მაგრამ ეს ციხე, შენს ვრცელს ქველზე მორტყმული გარე,
„მაგრამ ეს კოპი, ეგ ტაძარი და მამათ აბრ,
რომელ მაგარნი და ამაყნი, დღეს არაღვალსნი.
ჩემთ მამა-პაპათ ისტორიის წმინდა რვეულნი?“
(საქვე დმანისი)

ყურადსაღებია განახლებულ საკითხზე ქართული კულტურის დიდი მოტირანხუსისა და მისი ღირსების თავდადებული დამცველის ილია ჭავჭავაძის აზრი. 1889 წ. ილიამ დაწერა ნარკვევების წყება საერთო სახელწოდებით „აი ისტორია“. ამ წერილებში იგი მისთვის ჩვეული სიმკაცრით ეკამათება ივანე ჯავახიანს, რომელმაც თავის ნაწერებში განაქტა ქართველი ერის ისტორიული წარსული. სხვათა შორის, თამარ მეფის სახეზე იგი იმასაც ამბობდა, უმარავი თანხა დახარჯა ეკლესია-მონასტრების აღშენებასო. ივ. ჯავახიანის საპასუხოდ ილია წერდა: „თუ ესეა, მაშ ადამიანს ჯერ უნდა ჩამოართვათ ის ნიშან-წყალი ადამიანობისა, რომელიც იწვევს — თავისის სულის წყურვილი ასე თუ ისე სასოგარდო რამეში ხელოვნებით რაიმთ გამოთქვას, გამოსახოს, გულიდან გარეთ გამოიტანოს. განა ძველმა სარწმუნოებამ ძველის ბერძენებისა არ შეაქმნა იგი მათი ხელოვნება, რომელიც დღესაც ქვეყანას აკვირვებს და სახელს ბერძნისას ჰყენს მთელს ქვეყნიერებაზე? იცნე, რა თქმა უნდა, ჩვენს ხუროთმოძღვრებას ამისთანა საქვერო მნიშვნელობას არ ვაძლევთ, მხოლოდ ვამბობთ, რომ ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით — წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ რომ სათავად წარმატებისა ეს წყურვილია და სხვა არა-რა.“

ილიას ხელნაწერში ორი მხარეა დასახელებული. კერ. ერთი, იგი ლაპარაკობს ხუროთმოძღვრებაზე თავისთავად. ცალკე აღებულზე, როგორც ადამიანთა საქმიანობის განსაკუთრებული ასპარეზზე. ხუროთმოძღვრება მას გააზრებულ აქვს ქართველთა სულიერი ცხოვრების კვლად, ერის შემოქმედების ისტორიულ ფორმად. მაგრამ ისიცაა გულისხმასაკოფი, რომ ქართული ხუროთმოძღვრება არ არის „სასოგად მნიშვნელოვანი“, მასში ისახება ერთ ცხოვრების ერთი ასის, „სულიერი წყურვილი“, ოდეს „როდეს იყო ასეთი“ და ერის გულისთქმა ამ სახით გამოისახებოდა. ასე რომ, ილიასთვისაც ხელოვნების ძველი ერთგვარი მამოძრავებელი, თუმცა კი წარსულის სულიერი ცხოვრებისა, მაგრამ მანაც საბუთი, ე. ი. პირველ რიგში ისტორიული ღირებულების მქონე რამ.

იგივე აზრია გამოთქმული ალ. ნანიშვილის წერილშიც, რომელიც 1883 წ. 6/XI „ივერიის“ მოწინავედ დაიხატა. იგი მიუყოფდა თანამემამულეთ უპატივობს და დიასახლე ძველი მონასტრები და ეკლესიები, ძველი ხელნაწერი წიგნები და ნივთები, რომელთა მიხედვით „შესაძლოა ჩვენის წარსულის ცხოვრების სასი.თისა და თვისების წარმოდგენა და შესწავლა“. შემთხვევითი, საფიქრებელია, არც ეს არის, რომ XIX ს. მიწურულიდან სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა — არქეოგრაფიული მიღობის ფარგლებში — თავად ძველის აღწერას, მის შესწავლად-ფიქსაციას. ეს საუკეთესოდ ჩანს დ. ბაქრაძის და ე. თაყაიშვილის ნაწერებში.²³

კიდევ ერთი შემობრუნება მოხდა ქართული ხელოვნების

ძველებისადმი დამოკიდებულებაში 1910-ან წლებში. 1913 წ. აპრილში ივ. ჯავახიშვილმა მიწერა წერილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგანმომცემლო რედაქციას. იგი აუცილებლად თვალდა საკითხველის გზამკვლევის შედგენას. მასში შესატან ცნობათა შორის, წერს ივ. ჯავახიშვილი, უნდა იყოს ჩამოთვლილი „ყველა ადგილი და ნაშთები, რომელნიც ან წარსულის ცხოვრების და ხელოვნების ძველად უნდა ჩათვალოს ან თანამედროვე ცხოვრებისა და მრეწველობის დამახასიათებელია“. ცვლილება ნათელია — თუ ილია ჭავჭავაძისთვისაც კი ქართული ხელოვნების ძველი წარსული ცხოვრების ძველი იყო უთავიდად, ისტორიისი ივანე ჯავახიშვილი მასში ცხოვრებისა და ხელოვნების ძველს ხედავს. რაღა თქმა უნდა, ძველი აქვს და მუდამ რჩება ისტორიულს, რჩება წარსულის მოამბედ, მაგრამ ახლა მისი ახალი მხარე გამოჩნდა, ძველი როგორც მხატვრული შემოქმედების საყოფი. რომ ასეთი გაგება ივ. ჯავახიშვილის სიტყვებისა ტენდენციური არ არის, ამაში გულწრფელად ერთი წოთი გვიან, 1916 წ. 14/VIII ქართული ხელოვნათა საზოგადოების გამგებობისადმი მიწერილი მოხსენება, რომელშიც ივ. ჯავახიშვილი მსჯელობს ძველი საქართველოს მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში საზოგადოების მონაწილეობასა და როლზე. ლაპარაკობს რა ძველთა ისტორიული თვალსაზრისით შესწავლის საჭიროებაზე, ივ. ჯავახიშვილი იმასაც ამბობს, რომ „ქართული ხელოვნების ძველი ძეგლების“ შეგროვებადამუშავება ახალი ქართული ხელოვნების განვითარების ერთ გზათაგანია. აქ პირდაპირა გამოთქმული აზრი, რომ ძველი ძეგლები ქართული ხელოვნებისა — ნიშნობლივია თვით გამოთქმის ფორმაც; იგი „ძველ ხელოვნებას“ კი არ ამბობს, არამედ „ხელოვნების ძველ ძეგლებს!“ — არა მარტო ქართველობის ისტორიული თავდადასავლის ანარქელია, არამედ ცოცხალი ხელოვნებაც, ხელოვნება, რომელსაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა აწინდელი ხელოვნების წინსვლისთვისაც.

ეს რომ მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის პირადად შეხებულა არა ყოფილა, ამის საჩვენებლად იმის გახსენებაც კმარა, რომ მისი მოხსენების ერთ-ერთი საბაბი იყო საზოგადოების მიერ ასლების გადმოსაღებად ნაზატყვეს მივლენილი მხატვართა ჯგუფის შემოხდა. მაგრამ ჩვენ სხვა საბუთიც გავგაჩინა: იმავე 1915 წ. დ. კაკაბაძე, აყალიბებს რა თავის მრწამსს, ერთ-ერთ მუხლში ამბობს: საჭიროა განცნობა ხელოვნების ნაშთებისა, რათა შეიგონ რაში გამოისახებოდა წინათ „მხატვრული“ ლაპარაკობს, მაგრამ მისთვის ეს არა ისტორიის ნაშთებია, არამედ ადრე არსებული ხელოვნებისა, არა საისტორიო ცნობათა წყარო, არამედ ცოცხალი შემოქმედის გამოვლენა.

ამ ფაქტებთან შეპირისპირებით ერთსა და იმავე დროს ვასაზრდავც და უცვლილებელ-კანონზომიერადაც ვჩვენებთ, რომ სწორედ 1915-16 წწ. გამოქვეყნდა პირველი ნაშრომები, სადაც ქართული ხელოვნების ნიშნუში სპეციფიკურ-სახელოვნებრივად აღიქმული კვლევის ობიექტად იქცა — გ. ჩუბინაშვილის წერილები საბრძანისა და ბოლნის-ჭავჭავაძის კვლევის შესახებ. მთელ რიგ საისტორიო დარგებლად განტოტვილ სიძველეთმცოდნეობასთან ერთად, ნივთიერ ძეგლებს ამიერიდან



მის მონაპოვარზე დაფუძნებული ქართული ხელოვნების ისტორიაც სწავარს. ყოველივე ის, რაც აქამდე პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ისტორიის მაილუსტრირებულ და შემავსებელ მასალად ითვლებოდა — ნაგებობანი, წიგნები, მცირე ხელოვნების ძეგლები, — მას აქეთ შეისწავლება ვითარცა ხელოვნების ნაწარმოები. გადაუბარებლად შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო ქართულ სიძველეთა გაცნობიერების ახალი — თუმცა ყოველივე წინამორბედიდან გამოძინანურ — ეტაპი.

რა თქმა უნდა, კულტურის ისტორიზმით გაჯერება, რამაც წარმოშვა ჩვენში სიძველეთმცოდნეობა, არ არის სპეციფიკურად ქართული მოვლენა, მას ყველა კულტურული ერის ისტორია იცნობს, მაგრამ მისი პრინციპული მნიშვნელობა უნდა იყოს, რომ ქართული სიძველეთმცოდნეობა, რომლის განვითარება იყო და არის ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების წინამძებნის საწინდარი, ეროვნულ კულტურულ ნიადაგზეა წარმოშობილი.

სიძველეთმცოდნეობის საფუძველზე ჩამოყალიბდა, როგორც ითქვას, ქართული ხელოვნების ისტორია, უმრწემესი ჰეროვლოლოგიური დისციპლინა. და ამიტომაც ქართული ხელოვნების ისტორიკოსის თვალთახედვით ეს მტკიცება შეიძლება შემდეგნაირადაც იქნეს გასხნილი: ქართული ხელოვნების ისტორია მრავალსაუკუნოვანი, ღრმად ფესვგადგმული ეროვნული ტრადიციის ნაყოფია, მისი შინაგანი ევოლუციის კანონზომიერი შედეგი, მისი გაჩენა განუყრელადაა დაკავშირებული იმ კულტურულ მოძრაობასთან, რომელიც ჯერ კიდევ გვიანი შუასაუკუნეების ხანაში ჩაისახა და, აშდვდაც, იგი ძირებით შუა საუკუნეების კულტურულ სამყაროსაც სწევდა. ანდა, თუ ადვილს შევეუწყალებთ წინადადებებს გ. ჩუბინაშვილის ერთ ცნობილ გამოთქვებში: ჩამოყალიბება ამ მნიშვნეობისა თუმც მარტივი და იოლი არა ყოფილა, მაგრამ ბუნებრივიც იყო და კანონზომიერიც.

და ბოლოს, თუ შესაწყნარებელია ყოველივე შემოთქმული, შემოდარწილი პროცესი წარმოგვიდგება კიდევ ერთ დადასტურებად იმისა, რომ ქართული კულტურა მთლიანი, ორგანულად განვითარებადი ორგანიზმია; რომ მიუხედავად მის ცხოვრებაში მრავალი მკვეთრი ტუბილისა და შემობრუნებისა, მიუხედავად მის თავზე დატვიხილ ათასგვარი უბედურებისა, ქართულმა არმა შესძლო შევანარუნებინა თავისი სულიერი ცხოვრების არსებითი ერთიანობა.

შენიშვნები:

1 იხ. ტიშოვ გაბაშვილი, მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაერთო ელ. მეტრეველმა, თბ. 1956; ქვემოთ როგორც ტიშოვსეული ტექსტი, ასევე გამოშვების მოსაზრებანიც ამ წიგნიდანაა მოტიანილი.

2 გამოწავლისა ჭიოსის წმ. ვიტორის ეკლესიაში გამოქანდაკებულ ანგელოსთა მოხსენიება, მაგრამ აქ, ეტყობა, ქანდაკებას შეუჩვეველი მართლმადიდებელი მღვდელმთავრის გაოცება ასახულია.

3 სხვა რიგისაა ცნობა ალექსი კომნენისისგან ხატის შეწერილობა — იგი ტიშოვს ეკსპიროვება, რათა ახსნას, როგორ აღმოჩნდა კონსტანტინოპოლური რელიქვია ათონის მთაზე;

4 ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 281.

5 იხ. ნ. ბერაქნიშვილი, საქართველოს ისტორიის საიტიკური წიგნები საქართველოს ისტორიის საიტიკები ტ. III, თბ. 1966, გვ. 320—322.

6 იხ. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, I, თბ., 1954.

7 იხ. მ. ქავთარია, „დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა“, თბ., 1965, მისივე, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან. XVII-XVIII სს., თბ., 1977.

8 რ. სირაძე, ქართული ესოტეკური აზრის ისტორიიდან, თბ. 1978, გვ. 296.

9 Т. Б. Вирсаладзе, Росписи, Иерусалимского крестного монастыря и портрет Шота Руставели, Тб., 1978.

10 იქვე, გვ. 53.

11 ამ დროისათვის ასეთი „ნახატი“ ისტორიის სხვა შავალიტების მოკლედ შეიძლება. 1678-88 წწ. იხატება (ე. ბერაქის აზრით პირველად) ქართლის მოქვეყის სცენები მცხეთის სეციტიკოსლის „სვეტზე“ (ე. ბერაძე, მცხეთის კათედრალის „სვეტიცხოველი“ და ქართლის მოქვეყის სიძველები მის დრესკეში, ავად. ს. ჯანაშის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV ს. თბ. 1948, გვ. 163-164). 1708 წ. იმამ-ყული-ხანისგან განახლებულ „ნინოწმინდის“ სიველ დატრავის მინიატურები ცხეთის ბაგრატიონთა — ლევან მუფთავან მოყოლებული — წარმოამდგენლათა სახეებით, რომელთაგან რამ უწყალობებოათ ნინოწმინდის საყდრისათვის (ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქ. ისტორიისათვის, თ. I, თბ. 1914, გვ. 1-10, ტ. II);

12 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. VI, თბ., 1973, გვ. 292.

13 ქ. გრიგოლია, დს. ნაწრ. გვ. 166;

14 ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1957 წ. გვ. 359;

15 „მიმოსტლა ანუ მგზავრობა იონა რუსის მიტროპოლიტისა“, ტფ. 1852, გვ. 32;

16 ე. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაერთო ელ. მეტრეველმა, თბ. 1967.

17 იოანე ბატონიშვილი, აკლმასობა, ტ. II, თბ. 1948.

18 ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, ავად. ს. ჯანაშის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV ს. 1948, გვ. 39-40.

19 მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, გვ. 163.

20 Ш. А. Хантадзе, Академик Мари Брюссе и европейское и русское грузиноведение, Тб., 1970, стр. 9, 190 — 191;

21 რ. მეტრეველი, კვალი განათლებული, თბ., 1975, გვ. 164-165.

22 გ. შირაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი 1, თბ. 1972, გ. 162-163.

23 გ. ჩუბინაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ხელოვნების რენესანსი, კრებულში: ავად. ექვთიმე თაყაიშვილი, თბ. 1966, მისივე Д. Баградзе как археолог. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სტრია. 1973, № 1.

ქართული

კინომოღვაწეანი

ამირკაკაპასიის

რესპუბლიკების

კინოსტუდიაში

ალექსანდრე გვერცაძე

ძარმულ კინოხელოვნებაში სომეხ და აზერბაიჯანულ კინომოღვაწეთა სამსახური, ხოლო სომხურ და აზერბაიჯანულ ფილმებში ქართველთა მონაწილეობა ამ ხალხთა მეგობრობის ნათელი დადასტურებაა.

ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა ამირკაკაპასიის რესპუბლიკების კინოხელოვნებას ცნობილი რეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ამო ბეკ-ნაზაროვი. საქართველოში ამო ბეკ-ნაზაროვმა გადაიღო „მამის მკვლელობა“, „ნათელა“ და „დაკარგული საუნჯე“, სომხეთში: „ზარე“, „ზანგეზური“ და „დავით-ბეგი“, ხოლო აზერბაიჯანში „სევილი“ და „საბუხი“. ამ ფილმებში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მსახიობები. 1921 წელს ა. ბეკ-ნაზაროვი სათავეში ჩაუდგა საქართველოს განათლების სახალხო კინოსექციას. სომხეთში გადასვლამდე იყო „სახკინრეჟისი“ დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

ამირკაკაპასიის ხალხთა მეგობრობასა და მათ მიერ მიღწეულ შრომით წარმატებებზე მოგვიტყვობენ დოკუმენტური ფილმები: „ამირკაკაპასიის ხალხთა ფიცი“, „ფიცი სამშობლოს“, „მეგობრობის კვარტალი“, „ჩვენი ამირკაკაპასია“, „დროსა და საკუთარ თავზე“ და სხვა, რომლებიც ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა კინემატოგრაფისტებმა გადაიღეს.

„თბილისთან ტიპილი მოგონებები მაკავშირებს. აქ დაირწა ჩემი შემოქმედების აკვანი. 1942 წელს თბილისში გადავიღე ჩემი სადიპლომო ნამუშევარი „ვაგიფი“. თურქატორმა ფ. ვისოცკიმ და მხატვარმა ლ. მამალაძემ დღი დახმარება გამიწიეს. ამიტომ თბილისს ჩემს მეორე მშობლიურ ქალაქად ვთვლი“, — ასე წერდა გაზეთ „თბილისში“ (15 აპრილი 1967 წ.) აზერბაიჯანის სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი ჰ. კიდებელი.

აღსანიშნავია, რომ პირველი კინოგადაღებები ერევანში 1910 წელს ქართველმა თურქატორმა ა. დიდმელოვმა განახორციელა. 1910-1911 წლებში მან გადაიღო დოკუმენტური ფილმები: „სომეხთა კათალიკოსის მათეოს II დაკრძალვა ეჩმიადინში“, „სომეხთა კათალიკოსის კურთხევა ეჩმიადინში“ და კიდევ რამდენიმე სიუჟეტი.

სომეხ და ქართველ ხელოვანთა მეგობრობის კიდევ ერთი დადასტურებაა ლადო მესხივილისა და ამო ბეკ-ნაზაროვის შემოქმედებითი თანამშრომლობა. 1916-1918 წლებში ისინი მონაწილეობდნენ კინოსაქციონერო საზოგადოება „ბიო-ფილმის“ მიერ გადაღებულ ფილმებში: „ემერალი კუვკიდან“, „გამოუვალი მდგომარეობა“, „ცხოვრების მუდმივი ზდაპირი“, „საღამოს მსხვერპლი“, „მგზნებარე ვნებათა ადამიანები“, „მამამოხე სული“, „სევედიანი ცეკვა და ამოება“, „ემშაკი სეერცი“, „ასე იყო, მაგრამ აღარ განმეორდება“, „მტაცებელი“, „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“, „მარგალიტის გვირგვინი“, „დანგრეული ტაძარი“ და სხვა.

სომეხ და ქართველ კოლმუწუნეთა მეგობრობაზე მოგვითხრობს 1955 წელს გადაღებული ორნაწილიანი ფერადი დოკუმენტური ფილმი „ურღვევი მეგობრობა“, რომელიც გადაღებულია საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში (დამდგმელი რეჟისორი—მ. ხომერტი, თარგმანი—ლ. არ-ზუმანოვი). ფილმს საფუძვლად უდევს 1937 წლიდან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ოქტომბრიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანისა და მახარაძის რაიონის სოფელ შატანების ლენინის სახელობის კოლმუწუნეთა შრომითი მეგობრობა.

სუმეათელ და რუსთაველ მეტაღურგთა მეგობრობაზე მოგვიხსრობს დოკუმენტური ფილმი „მეგობრობის ფოლადი“, რომელიც 1959 წელს რ. ჭიკურელის რეჟისორობით გადაიღეს ოპერატორებმა თ. მერქვიანიშვილმა და ვ. კურანიამ.

სომხეთის კინემატოგრაფიის ჩასაგება და განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ კინოსთან. 1924 წელს ერევანში სომხური მხატვრული ფილმების შექმნა განიზრახეს. სურათის დასადგმელად მიიწვიეს საქართველოს „სახკინმრეწვის“ დირექტორი და რეჟისორი ა. ბეკ-ნაზაროვი, რომელიც იმხანად „ნათელას“ იღებდა. საინტერესოა, რომ პირველი სომხური მხატვრული ფილმი „ნამუსი“ ა. ბეკ-ნაზაროვმა ქართველ კინემატოგრაფისტებთან ერთად შექმნა საქართველოს „სახკინმრეწვის“ ტექნიკურ ბაზაზე.

ფილმი „ნამუსი“ სომხური ლიტერატურის კლასიკოსის ა. შირვანზადეს რომანის მეორე ეკრანიზაცია იყო. პირველად ეს ნაწარმოები 1918 წელს ი. პერესტიანინმა გადაიღო. ფილმში მონაწილეობდნენ ჩვენი თანამემამულენიც ე. და ვ. ცხელაძეები. 1925 წელს სომხეთი კინემატოგრაფისტები კვლავ მიუბრუნდნენ ამ თემას. ა. ბეკ-ნაზაროვის ფილმში ნოვატორულადაა შესრულებული მონტაჟი, მაღალია სამსახიბო შესრულების დონეც.

ფილმის მხატვრები იყვნენ ვ. სიღამონ-ერისთავი და მ. სურგულაძე, მასში მონაწილეობდნენ ქართველი მსახიობები: ზ. ბერიანიანი. ა. ჟორჯოლიანი, ე. ბილანიშვილი, მ. ქავთარაძე და სხვები.

ა. ბეკ-ნაზაროვის ფილმში „სარე“ მონაწილეობდა ქართველი მსახიობი ზაქარია (შაქრო) გურამიშვილი.

1927 წელს ა. შირვანზადეს ნაწარმოების მიხედვით ა. ბეკ-ნაზაროვმა დაწერა სცენარი „ავი სული“. დამდგმელ რეჟისორად და მთავარი როლის შემსრულებლად თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი მიხეილ გელოვანი მიიწვიეს. ფილმმა ორიგინალური რეჟისორული მიგნებებით მიიქცია ყურადღება.

მომდევნო წელს „არმენკინოსა“ და „აზოოს-კინოს“ მიერ გადაღებული იქნა ერთობლივი მხატვრული ფილმი „სახლს ელკანზე“ (რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი), რომელიც ასახავდა ბაქოელ პროლეტარიატის რევოლუციურ გამოსვლებს სტალიპინის რეაქციის წლებში. გრიშორი იყო გიორგი ფარისაშვილი. საინტერესოა გერანული სახე შექმნა დიმიტრი ყიფიანმა, რის გამოც მას მომდევნო წლებშიც ხშირად იწვევდნენ სომხურ ფილმებში.

1929 წელს „არმენკინოს“ მოწვევით რეჟისორ-

მა ივანე პერესტიანინმა, თავისივე სცენარით გადაიღო ისტორიულ-რევოლუციური ფილმი „სამალუ“ („ხიდი უფსკრულზე“). ფილმში ნაჩვენებია ბოლშევიკების ბრძოლა დამნაშავეებთან, თეორეტიკული ფილმისა და უსტოელი ოკუპანტებისაგან სომხეთის განთავისუფლებისათვის.

ფილმ „ნამუსი“ შემდეგ „სახკინმრეწვის“ მთავარ მხატვრის ვლადიმირ სიღამონ-ერისთავის მეორეჯერ მოუხდა „არმენკინოში“ სომხე კინემატოგრაფისტებთან შეხვედრა. 1934-1935 წლებში მან იქ ს. საფარიანთან ერთად მხატვრულად გააფორმა პირველი სომხური მხატვრული ფილმი „პეპო“, რომლის სცენარი (გ. სუნდუკიანის კლასიკური პიესის მიხედვით) და დადგმა ეკუთვნის ა. ბეკ-ნაზაროვს.

ფილმი ძირითადად თბილისში — მეტეხის ციხეში, აგლაბარში, ორთაქალასა და სხვა ძველ უბნებშია გადაღებული.

ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად. იგი ეროვნული ხელოვნების ჭეშმარიტ დღესასწაულად იქცა. ფილმს დიდი გამოხმაურება ჰქონდა პრესაში. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ დამდგმელ მხატვრის ვ. სიღამონ-ერისთავის ნამუშევარს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა ფილმის წარმატებაში.

ა. ბეკ-ნაზაროვისა და ვ. სიღამონ-ერისთავის შემოქმედებით თანამშრომლობით შეიქმნა ფილმები: „სურამის ციხე“, „მამის მკვლელობა“, „დაკარგული საუკუნე“, „ნათელა“, „ნამუსი“.

1956 წელს რეჟისორმა არტამ აი-არტიანინმა გადაიღო ფილმი „პატიოსნებისათვის“, რომელიც სომხური ლიტერატურის კლასიკოსის ა. შირვანზადეს ამავე სახელწოდების დრამის ეკრანიზაციაა წარმოადგენდა.

ფილმში როსალიას როლის შემსრულებლად მიწვეული იყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მარინე თბილელი.

მომდევნო წელს მ. თბილელი კვლავ მიიწვიეს სომხმა კინემატოგრაფისტებმა. ფილმში „დედის გული“ (რეჟისორი გ. მელიქ-აგაიანი) მან გიარის როლი შესრულა, ხოლო 1961 წელს მიიღო მონაწილეობა რეჟისორ ე. კარამიანის ფილმში „თომარტი თანამეზარია“.

სომხეთის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით ა. ბეკ-ნაზაროვის სახელობის კინოსტუდია „არმენფილმში“ რეჟისორმა ი. ერსიკიანმა გადაიღო ფერადი მხატვრული ფილმი „სათაბალა“, რომელსაც გ. სუნდუკიანის ამავე სახელწოდების ცნობილი პიესა დაედო საფუძვლად.

ფილმში ერთ-ერთი მთავარი როლის (მაჭანკალ ხამფერას) შემსრულებლად კვლავ მარინე თბილელი მიიწვიეს.

ფილმში საინტერესო ეპიზოდური სახეები შექმნეს ქართველმა მსახიობებმა ი. ხვირიამ ნ. ჩხეიძემ, ე. ვერულაშვილმა, მ. გემეჭკორმა, ა. კუპრაშვილმა, ვ. კიკაბიძემ, ქ. მარაღიშვილმა, უ. ვლიაშვილმა, თ. ლომიძემ, ლ. სოსამშვილმა. ფილმში მონაწილეობდნენ აგრეთვე გ. თალაკვაძე, ვ. ჩიტეშვილი, ვ. დინდუაშვილი, გ. მუხუნაშვილი და სხვები.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს მიეძღვნა ფილმი „პირადად ცნობილია“ (რეჟ. ს. კვეორქიანი, ე. ჭარბიანი). რომელშიც ცნობილი რევოლუციონერის კამოს მოღვაწეობის ერთი ფაქტია ასახული. ფილმში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ერევნისა და თბილისის თეატრების მსახიობები. ქართველ მსახიობთაგან როლებს ასრულებდნენ: სტალინი — ანდრო კობალაძე, მედეა — მედეა ჩახავა, გივი — ვახტანგ ფირცხალავა, მედეუქნე — წყალობა — აკაკი კვანტალიანი, პოლიციელი — კოტე დაუშვილი, მენშევიკი ჩხეიძე — შერაბ გემეჭკორი, ყარაჩოხელები და კამოს მეგობრები — სპარტაკ ხატიაშვილი, კახი კავსაძე, ალექსანდრე ბეგალიშვილი, ნოდარ პეტრიაშვილი, ოთარ კობტონაშვილი, ლევან ფილფანი, ეპიზოდებში — ლუბა ადამია, ალექსანდრე გომელაური, ვალენტინ დონდუაშვილი, ერასტი ბილანიშვილი და სხვა.

ფილმის გადაღება მიმდინარეობდა სომხეთსა და საქართველოში. კომმინიჩრებულ გადაღებათა მხატვარი იყო რუსთისლავ ვაშაძე, ხოლო კომინიჩრებულ გადაღებათა ოპერატორი — ბორის ბურავლიოვი, რომლებიც აგრეთვე კინოსტუდია „ქართული ფილმიდან“ მოიწვიეს.

ს. კვეორქიანისა და ე. ჭარბიანის მომდევნო ფილმში „საგანგებო დავალება“, რომელიც კვლავ კამოს ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნებოდა, მონაწილეობენ ქართველი მსახიობები. ნიკო ვანთაძის როლს ასრულებს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ტრინიტან ყველაიძე, ზაურბეგს — კოტე დაუშვილი, პარლამენტის დეპუტატს — აკაკი სვანიძე.

1974 წელს ცვრანზე გამოვიდა ტრილოგიის მესამე ნაწილი „კამოს უკანასკნელი გმირობა“.

ამჟერად ფილმისათვის სცენარი დაწერეს გიორგი კაპრალოვმა და სიმონ თუმანიშვილმა. ფილმის დამდგმელი რეჟისორი სსრკ სახალხო არტისტ ს. კვეორქიანი ერთად იყო სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. მელიქი-ავაქიანი. ფილმში გ. ტონუშვიან, ა. ფალკოვიჩთან, ი. სავინთან, თ. ვანიანთან, ბ. ნერესისანთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველი მსახიობებიც: ბადრი კობახიძე (მაკონი), გურამ სადარაძე (ელჩი), გივი ჯაჯანიძე (ელჩის თანმხლები), გიორგი მუხუნაშვილი (გადამყიდველი), ლავრენტი კოშაძე (მოქალაქე) და სხვები.

სომეხ კინემატოგრაფისტთა ფილმებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ აკაკი კვანტალიანი („ბატონი ჟაკი და სხვები“, „პირადად ცნობილია“), ზურაბ ლაფერაძე („სამკუთხედი“), ლია

ელვაია („მეზღი საროანები“), გივი თოხაძე („ქაოსი“) და სხვ.

თბილისში მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული მრავალი წლის მანძილზე მოქმედებდა საცამაოდ მძლავრი აზრთბიჯანული დრამატული წრე, რომელიც შემდეგ პროფესიულ თეატრად გარდაიქმნა. ბაქში ქართული წარმოდგენების



კადრი ფილმიდან „26 კომისარია“. მუშის ცალი — ვ. ანჯაფარიძე



კადრი ფილმიდან „სალამურის ხე“. საალი — ლ. ელიავა

ჩვენება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო. აღსანიშნავია, რომ 1894 — 1936 წლებში ბაქოს ქართულ თეატრში 200-ზე მეტი სახელწოდების პიესა დაიდვა, რომელთაგან 120 ქართველ მწერლებს ეკუთვნოდა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბაქოს ქართული თეატრის სცენაზე აიდგეს ფეხი ქართული თეატრის მსახიობებმა: მ. გელოვანმა, ა. ჟორჯოლიან-

მა, ვ. ჯიქიამ, ა. ჭუმბურიძემ, გ. პავლიაშვილმა, გ. მატარაძემ და სხვებმა.

თეატრალურმა ურთიერთობამ ერთგვარად ნიადავი მოაზარდა აზერბაიჯანელ და ქართველ კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი თანამშრომლობისაკენ.

ქართული ეროვნული კინემატოგრაფიის დაბადება ბაქოში იწყება. 1908-10 წლებში ცნობილმა ქართველმა ოპერატორმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ვასილ ამაშუკელმა ბაქოში გადაიღო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა გასეირნება ქალაქის პარკში“, „მუშაობა ნავთის ტბურღილებთან“, „ღუნების პოლკის აღლუმი“, ი. რამიშვილის სტამბის მუშაობა“, „ბაქოს ბაზრის ტიპები“, „ქვანახშირის ზიდვა აქლემებით“, „გემის შემოსვლა ნაფსადგურში“, „გემის გადმოტვირთვა“, „ნავთის გადასხმა ტუმბოებით“ და სხვა.

მხატვრული ფილმები „სხვადასხვა ნაპირზე“ და „პაჯი ყარა“ გადაღებულია აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ფილმებზე გრიმიორად მუშაობდა გიორგი ლაზარეს ძე ფარისაშვილი. იგი 30 წელზე მეტხანს ერთგულად და კეთილინდობიერად ემსახურებოდა აზერბაიჯანის კინემატოგრაფიის განვითარების საქმეს. გ. ფარისაშვილი აზერბაიჯანის კინოს ერთ-ერთი პირველი მხატვარ-გრიმიორია, რომელმაც შემდეგი ახალგაზრდობას გადასცა თავისი გამოცდილება. 1928 წელს გ. ფარისაშვილმა კურუკ-ხანის როლი შეასრულა ლ. მურის ფილმში „გილიანის ქალიშვილი“.

1929 წელს აზერბაიჯანელი მწერლის ჯ. ჯაბარლის პიესა „სევილის“ მიხედვით ა. ბუკ-ნაზაროვმა ამავე სახელწოდების ფილმი გადაიღო. ფილმის რეჟისორის თანაშემწე იყო ნიკოლოზ თარხანოვი. ფილმში ედილეს როლს ასრულებდა ამჟამად საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბელა ბელეცკაია, რომელიც წლების განმავლობაში თბილისის ა. ვრთიფოდოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. ფილმში მონაწილეობდა აგრეთვე ა. ბეზირგანიშვილი, რომელიც ედილეს შეყვარებულის ალი-ბეგის როლს ასრულებდა.

1930 წელს რეჟისორ მ. მიქაელოვის მიერ გადაღებული ფილმი „ლიატიფი“, კოლმუხრანოვის შექმნისათვის აზერბაიჯანის სოფლის მონასტრობის ბრძოლაზე მოგვითხრობდა. მასთან კულაჯ ჰაჯი-სამედის მთავარი როლი შეასრულა ა. ბეზირგანიშვილმა. ამ როლის შემდეგ ა. ბეზირგანიშვილს ხშირად იწვევდნენ აზერბაიჯანულ ფილმებში.

აღსანიშნავია, რომ ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნიკოლოზ სანიშვილმა რეჟისორული მოღვაწეობა ბაქოში დაიწყო. აქ მან 1931 წელს გადაიღო



კადრი ფილმიდან „პირადად ცნობილია“
მეღვა — მ. ჩახავა, კამო — გ. ტონუნცი

კადრი ფილმიდან „ხაბაბალა“. ავეტიკა
— ი. ხეჩია



დოკუმენტური ფილმი „ნავთობის ხუთწლეულის ბოლშევიკები“.

1932 წელს ნიკოლოზ შენგელაიამ კინოსტუდია „აზერკინოში“ გადაიღო ისტორიულ-რევოლუციური ფილმი „26 კომისარი“ (სცენარის ავტორები ა. რეჟენსკი, ნ. შენგელაია და ა. ანერაგოვი). ფილმი მონაწილეობდნენ ვერიკო ანჯაფარიძე (მუშის ცოლი), კონსტანტინე ანდრონიკაშვილი (დამწყაობა მეთაური), მიხეილ აბესაძე (მაუსურისტი), ილია შამფორია, ზაალ ტერშიშვილი და სხვები.

26 კომისარზე ფილმის გადაღებას ადრეც აპირებდნენ ქართველი და აზერბაიჯანელი კინმატოგრაფისტები, რაზეც მეტყველებს 1925-1930 წლების პრესა.

ნ. შენგელაის ფილმი გამოირჩეოდა რეჟისორული გამოუმჯობესებით. დინამიური კადრების სიმრავლით, ნოვატორული ძიებით. ფილმის ირგვლივ გაცხველებული დისკუსია გაჩაღდა დისპუტების მონაწილენი ქება-დიდებას ასხამდნენ ფილმს. თითქმის ყველა გახვდამა გამოაქვეყნა ამ ფილმზე რეცენზია. გახვდამა „კინოში“ კი ნის განხილვას რამდენიმე ნომერი მიუძღვნა.

1938 წელს რეჟისორმა ვ. ტურინმა გადაიღო ისტორიულ-რევოლუციური ფილმი „ბაქოელები“. ფილმი ქართველი რევოლუციონერის ვასოს როლის ასრულებდა სსრკ სახალხო არტისტი ვასო ჯიძიაშვილი. ფილმი მოგვითხრობს რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი პროლეტარიატის ბრძოლასზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის პირველი რევოლუციის დროს.

დიდი სამამულო ომის დასაწყისში ეკრანებზე გამოვიდა ბიოგრაფიული ფილმი „სახუნი“, რომელიც ასახავდა მე-19 საუკუნის გამოჩენილი აზერბაიჯანელი განმანათლებელ-დემოკრატის, ფილოსოფოსის, დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის მირზა ფატალი ახუნდოვის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

მ. რაფილის სცენარით. ფილმი გადაიღო ა. ბეკ-ნაზაროვმა და ოპერატორმა დ. ფელდმანმა. მხატვარ-რეჟისორი იყო გ. ფარისაშვილი (ა. სამეფლიანთან ერთად). ფილმი აზერბაიჯანელ მსახიობებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველი მსახიობებიც. თავადების ორბელიანისა და აბოეთიანის როლებს ასრულებდნენ ლევან ხოტივარი და კონსტანტინე ბიზინაშვილი.

ფილმი „შეიძლება თუ არა აპატოვი?“ (რეჟისორი რ. ტახბასიძე, 1959) საბჭოთა მილიციის ინსტლის სამართლის ძიების თანამშრომელთა რთულ მუშაობაზე მოგვითხრობს. ფილმი მონაწილეობდა სსრკ სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე.

1960 წელს ეკრანებზე გამოვიდა პირველი აზერბაიჯანული ფერადი ფართოეკრანიანი მხატვრული ფილმი „ქორ-ოლი“. ფილმის სცენარი ზალხური ეპოსის მიხედვით დაწერა აზერბაიჯანელმა მწერალმა ს. რახმანმა, ხელი დამდგმველი რეჟისორია გ. სეიდ-ზაად. აზერბაიჯანელ

მსახიობებთან ერთად ფილმი მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები გ. თოხაძე (გურჯ-ოლი) და დ. ყიფიანი (ჯაფარ ხანი).

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და მისი კომპარტიის 40 წლისთავის აღსანიშნავად „აზერბაიჯანფილმი“ მ. ჰუსეინის სცენარით რეჟისორმა ა. ყულიევა გადაიღო ისტორიულ-რევოლუციური ფილმი „დილა“. ფილმის ოპერატორი იყო დ. ფელდმანი. მონაწილეობდნენ გ. ჭიხონელიძე (ბაირამი), ა. კობალაძე (კობა), მ. ლაღანიძე (ჯაფარიძე) და სხვები.

ნიჭიერი მოცეკვავის მამკულ ესამაბევის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება მხატვრული ფილმი „მე ვიცეკვებ“, რომელიც ეკრანებზე 1963 წელს გამოვიდა.

ფილმი ცეკვების დადგმაში მონაწილეობდნენ ქართველი ბალეტისტიკური გულბათ დავითაშვილი და ქორეოგრაფი ჯანი ბაგრატიონი.

ქალის მთავარი როლის — დაგმარას სახის შექმნისათვის ლეილა აბაშიძეს ჩენჩეთი-ინგუშეთის ასს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

1965 წელს „აზერბაიჯანფილმის“ კოლექტივმა „მოსფილმთან“ ერთად კვლავ გადაიღო მხატვრული ფილმი ბაქის კომისრებზე.

ფილმი მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელი, სომეხი, ქართველი, დაღესტნელი, ლატვიელი, უკრაინელი, რუსი, უზბეკი მსახიობები.

1970 წელს დადგმულ ფილმ-ოპერა „სევილში“ მთავარი ვოკალური პარტია შესრულა ქართველმა მომღერალმა მ. ქანარშვილმა, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ფილმის წარმატება.

„აზერბაიჯანფილმის“ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცნობილი ქართველი მსახიობი ლია ელიავა („დადუქიშვილი მტკვარი“, „ათასმერთე გასტროლი“, „სალაურის ხმა“).

ამიერკავკასიის რესპუბლიკების კინოზოლოგიაში შემოქმედებითი კონტაქტი კვლავაც გრძელდება. თბილისი, ბაქისა და ერევნის კინოსტუდიები ჩამბული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ხშირად იმართება ამ სტუდიების მიერ გამოშვებული ფილმების ფესტივალები, კვირეულები, ტარდება ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კონფერენციები, მუხედრები, რომლებიც პროფესიულ მიღწევათა დემონსტრირებისა და გამოცდილების გაზიარებისათვის ერთად ხაღვთა მფობრობის, მასების ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს ემსახურება.



მღვონეები და ფიქრები

ბაბაი ვასაძე

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ 1974 წელს (№№: 4—12) გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ვასაძის „მოგონებებისა და ფიქრების“ პირველი წიგნი, რომელიც შემდგომ ცალკე წიგნად გამოვიდა.

ჟურნალის ამ ნომრიდან ვიწყებთ „მოგონებებისა და ფიქრების“ მეორე ნაწილის ბეჭდვას. იგი მოიცავს პერიოდს 1935 წლიდან 1955 წლამდე, როდესაც აკაკი ვასაძე რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო.

ეს ნაწილი დაამუშავა და დასაბუღდა მოამზადა მწერალმა ა. გ. ვასაძემ ტიპტი იბეძემა შემოკლებით.

ახალ ეტაპზე

30-მდე წლები ეს ის პერიოდი გახლავთ, როდესაც საბჭოთა კავშირში საერთოდ ხელოვნება და, კერძოდ, თეატრალური ხელოვნება დიდ „მიწისძვრებს“ განიცდიდა; როგორც თეატრების შიდა ძვრები, ასევე თეატრებზე გარედან შემოქმედი ძალები აყენებდნენ საკითხს არსებულ მხატვრულ მიმართულებებში შესწორებების შეტანისა და უკვე შექმნილ ფასეულობათა გადაფასებისა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც უკრაინული თეატრის ერთ-ერთი დიდი ნოვატორი და ფუქიმდებელი ლეს კურგასი ხელმძღვანელობიდან გადაყენებული იქნა; როდესაც „თეატრალური ოქტომბრის“ მედროშედ წოდებული, თეატრალური ხელოვნების ისეთი რეფორმატორი, როგორც ვსევოლოდ მეიერჰოლდი გახლდათ, თავის პოზიციებიდან უკან იხედავდა, თანამედროვე სეატვაპო სპექტაკლებს

უწინდებურად ვეღარ ჰქმნიდა და თავის დრამატურგებსაც ჰკარგავდა; როდესაც ვახტანგოვმა კრიტიკის შემოტევისა და სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნებს ბრწყინვალე პასუხი გასცა „ვეგორ ბულიოვიჩი“; როდესაც კამერულმა თეატრმა ვიმენესკის „ოპტიმისტური ტრაგედისა“ სცენური განხორციელებით ახალი სიტყვა თქვა. სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნებს შესანიშნავად შეუწყო თავისი შემოქმედებითი მაჯისცემა სამხატვრო თეატრმა ა. კონენიჩუკის „პლატონ კრეჩეტის“ დადგმით. ამ პერიოდში სამხატვრო თეატრის მესამე თაობამ ხმელიოვისა და დობრონრაგოვის მეთაურობით, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ თავისი ბრწყინვალე დადგმებით, ლევ ტოლსტოის „ადღომისა“ და „ანა კარენინას“ ინსცენირებით, მრავალი ახალი მხატვრული საშუალება აღმოაჩინეს ადამიანის ბუნების, ადამიანურ ხასიათთა ფსიქოლოგიური გადმოცემის საქმეში. ამასთანავე, ამ ურთუ-



„შემოღობის აზნაურები“. დარისპანი—
ა. ვასაძე (1936 წ.)

ლესი ნაწარმოებების ბრწყინვალე ინსცენირებებით, სამხატვრო თეატრმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დრამატურგიასთან ერთად, პროზაც და პოეზიაც შეიძლება მაღალ დონეზე იქნას გამოყენებული სცენურ ტილოთა შესაქმნელად.

მე ღრმად მაფიქრებდა ის ამბავი, თუ როგორ უნდა წარმართულიყო რუსთაველის თეატრის, საბჭოთა კავშირის მოწინავე თეატრთა უკვე პირველ რიგში ჩამდგარი თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება. რუსთაველის თეატრისაგან პირდაპირ მითითდნენ სოციალისტური რეალიზმის მყარ გზაზე „დინჯად და დაბეჯითებით დადგომას“. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, იმ საზღაპრო წარმატების შემდეგ (1930-1933 წლებში) თეატრმა ღირსშესანიშნავი ვერაფერი შექმნა და, ისიც ვიცოდი, რომ საზოგადოებას არც დიდი იმედი ჰქონდა იმისა, ახალი ხელმძღვანელობა თეატრს ამ „შეჩერების“ მდგომარეობიდან თუ გამოიყვანდა. რაც შეეხება მთავრობას, მისგან სრული მხარდაჭერა გვექონდა, ოღონდ, გარკვეული ჩარჩოების, მათი მითითებების დაცვის ფარგლებში.

პირადად ჩემს წინაშე, როგორც რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელის წინაშე შემდეგი ძირითადი და ზოგადი სასიათის ამოცანები წამოიჭრა: 1. თეატრს შეენარჩუნებინა და განეხილათ გმირულ-რომანტიკული სული და მისწრაფება სასცენო შემოქმედებაში; 2. აღმოეფხვრა უკვე დრომოჭმუ-

ლი და მხოლოდ ზიანის მომტანი კორპორაციული და „კასტური“ დამოკიდებულება სხვა თეატრებთან; 3. როგორმე აღმედგინა დასში (ამ დროისათვის დაკარგული), საქმისადმი თავდადება, გამარჯვებისადმი მისწრაფება და საკუთარი ძალის რწმენა; 4. რაც შეიძლება მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი დამემყარებინა მწერლობასთან; 5. თვალი არ აგვერიდებინა კრიტიკისათვის და, ამასთანავე საქმისადმი შემოქმედებითად კრიტიკული სული თვით თეატრის შიგნით დაგვემკვიდრებინა (არა ქილიკი, არამედ მითითება; არა დაგმობა, არამედ რჩევა); 6. არა მარტო სარეჟისორო კოლეგიაში, არამედ მის გარშემოც დამკვიდრებულიყო ერთსულოვნება, ერთმანეთის ნდობა და პატივისცემა, კოლეგიალური დამოკიდებულება.

მთავრობისგან ჩვენ მოვითხოვეთ შემდეგი უფლებები: სანდრო ახმეტელის მომხრენი და თვით ახმეტელი, თუ იგი თანახმა იქნებოდა, დაგვეტოვებინა თეატრში; (ნაწილობრივ ეს კიდევ ავასრულეთ; რაც შეეხება ახმეტელს — იგი მისკოვში გადავიდა სამუშაოდ). ამას გარდა, მოვითხოვეთ, რუსთაველის თეატრის სახელგანთქმული წარმოდგენები: „ანზორი“, „ლამარა“, „ყაჩაღები“, „რდევცა“ შეგვტანა მოქმედ რეპერტუარში.

რაც შეეხება ნაწარმოებებს, რომელთა სცენური განხორ-

ციკლებაც განვიზრახეთ: ეს იყო ს. კორნიჩიუკის „პლატონ კრეტი“ (უკვე ქართულად თარგმნილი, მაგრამ მთელი წლის მანძილზე „მუდ-კვე“ ამოდებულ) „შემოდგომის აზნაურები“ სერგო კლდიაშვილისა, რომლის დადგმასაც ს. ახმეტელი დიდი ხანი აპირებდა და ოცნებობდა (ბერიკა-ნობის სცენების შეტანით, ქართული ნიღბების ამოქმედებით სცენაზე) და ს. შანშიაშვილის „არენა“, რომელსაც ჯერ კიდევ ახმეტელის დროს და შემდგომაც, ავტორთან ერთად, დიდ ხანს ვამუშავებდი პირადად მე, რადგან ეს პიესა რუსთაველის თეატრის რეპერტუარისთვის, იმ პერიოდში, აუცილებლად საჭირო მხატვრულ ნაწარმოებად მივიჩნეე მისი სოციალური ფერადობისა და მებრძოლი სულისკვეთების გამო.

„პლატონ კრეტის“ დადგმა სარეჟისორო კოლეგიამ დაავალა შ. აღსაბაძეს, დეკორაციული გაფორმება მხატვარ სერგო ქობულაძეს, ხოლო მუსიკალური გაფორმება კომპოზიტორ იონა ტუსკიას. შოთა აღსაბაძემ წარმოგვიდგინა როლებების ასეთი განაწილება: პლატონ კრეტი — აკაკი ხორავა, ბერესტი — აკაკი ვასაძე, კრეტის დედა — ნინო დავითაშვილი, ლიდა — თამარ ბაქრაძე, ბუბლიკი — ემანუელ აფხაიძე და სხვები. მისი მოთხოვნა დაავამტკიცეთ და დასი მუშაობას შეუდგა.

თავიდანვე კარგი პირი უჩანდა შ. აღსაბაძის მუშაობას. მან გადაწყვიტა რეალისტურად დაესაბა სცენაზე პიესის გმირთა ყოველდღიური ცხოვრება, მათი ბრძოლა არსებული სინამდვილის გარდაქმნისათვის, მათი ადამიანური ურთიერთ-დამოკიდებულებები. დამდგმელმა ჩვენგან მოითხოვა ფსიქო-

ლოგიური ჩაღრმავება მხატვრული სახეების არსში, რათა ნაწარმოების იდეა გმირთა შინაგანი ცხოვრებით ყოფილად გამოვლენილი. იგი მოითხოვდა ჩვენგან — სასცენო ქმედების რიტმი და პლასტიკა პერსონაჟთა შინაგანი ცხოვრების შესაბამისად აგვეწყო, ხოლო გმირულ-რომანტიკული სული შინააღმდეგობისა სწორედ ამ შინაგანი ცხოვრებიდან ყოფილიყო ამომუშებულნი. მსახიობიც, მხატვარიც, კომპოზიტორიცა და დამდგმელიც ერთნაირად დიდის მონდომებით ვმუშაობდით სპექტაკლის შესაქმენლად.

განსაკუთრებით მიტაცებდა ბერესტის იმ სცენის შესრულება, როდესაც მე (ბერესტი) ჩემს „აღსარებას“, ჩემს წარსულს გულწრფელად ვიტყვი და პლატონ კრეტს წამოვუწყებდი უკრანულ სიმღერას: „რევება ი სტოგენე დნიპრ შიროკი, სერდლიტი ვიტერ ზავივა“, და აკაკიც თავისი ხავერდოვანი ბარიტონით მეორეს მეტყვიდა. ჩემის აზრით ეს ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იყო მივლს სპექტაკლში და მაყურებელიც ყოველთვის ტრამში გავაჯილდოვებდა. ამ სიმღერასთან დაკავშირებით იმას მოგახსენებთ, რომ იონა ტუსკიამ მუსიკალურად გააფორმა სპექტაკლი უკრანულ ხალხურ მოტივებზე დაყრდნობით, რაც მსახიობებს დიდად გვეხმარებოდა სათანადო კოლორიტის შექმნაში.

შოთა აღსაბაძემ ამ სპექტაკლში უაღრესად მოხერხებულად, შთამბეჭდვით და გამომსახველად, ნამდვილად სათანაშო მიზანსცენები შეგვიქმნა და, ჩვენც, სხვა აბა რა გვეკრძალებოდა. მივეყვით დამდგმელს და, უთუოდ შევქმენით ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი სახეები. ემანუელ აფხაიძემ, თავისი რბილი იუმორით, შესანიშნავად გაართვა თავი „ბუბლიკის“

სცენა სპექტაკლიდან „შემოდგომის აზნაურები“





სახეს. ნინო დავითაშვილი, როგორც ყოველთვის, თბილი და ლირიული იყო სცენაზე... საერთოდ, სექტაკალი ანსამბლური იყო იმდენად, რომ თვით ისეთი პატარა ემიზონდერი როლი, როგორც იყო „სანიტარი ქალი“, ჩვენს წარმოდგენაში თავისთავად დირიჟებულებს იძინდა, — ნატალია ჯავახიშვილმა „სანიტარი ქალის“ ამ პატარა ემიზონდერ როლში გასათვარი, სამხსობრო სახე შექმნა.

ახალგაზრდა თამარ ბაქრაძე ყოველნაირად ცდილობდა მხარი აეხა გამოდღობი მხასიხობისათვის. დამდგომლის ჩანაფიქრი და ჩვენი სურვილები ამ წარმოდგენაში უთუოდ განხორციელდა — აცვასება სამკოთა ხალხის პერიოზში და ოპტიმიზმი და ყოველდღიურბოთის რომანტიკული სული შთაგვიტოვა. ყოველი რეპეტიცია პირდაღ და მე მარწმუნებდა მე. აღსაბაძის საყრდნობ დაოსტატებაში და ეს დიდი ნუგეში იყო ჩემთვის, როგორც ხელმძღვანელისა და მისი კოლეგისათვის რეჟისურაში. რეჟისორის პრბობლემა ყოველ დროს და ყოველ თეატრში მტკივნეულად დგას და, როცა ხედავ, შენს თვალწინ, ამ სფეროში კაცი იზრდება და ძლიერდება, არ შეიძლება (თუ ღრძთ და თავყვარ არა ხარ!) არ გაეიხარდეს, იმედი არ მოგეცეს და თვითონ არ აღინთო შემოქმედებითი იმპულსით.

როდესაც ავტორი, საშო კორნეიჩუკი თბილისს ჩამოვიდა და, ჯერ რეპეტიციებს, შემდეგ პრემიერას დაესწრო, მან თავისი შთაბეჭდილება წარმოდგენის თაბაზე გულწრფელად გაგვიზიარა: — მშვენიერად არის მოწყობილი თბილისის სასცენო დაზღის სივრცე. სხვა თეატრებში სულს შემზუთველი პავილიონებია სცენაზე გაშენებული, თქვენთან კი დიდი პერსპექტივა და პაერფორმა სივრცეა. ასე გაიცლებით ჯობს. ხოლო პლატონისა და ბერესტის სახეები, ჩვენი ორივე აკაკის და ორივე აღდგენის-ძეთა შესწრლებით, არა თუ მაკამყოფილებს მე, როგორც ავტორს, არამედ დიდად მაღლებს და აღმაფიქრებებს, — თქვა საშო კორნეიჩუკმა და თითქმის იგივე სამადლობელი სიტყვებით გამოვიდა თბილისის პრესის ფურცლებზე.

პლატონ კრეჩეტის როლში აკაკი ხორავას დიდებუბოვანი ადამიანის (პლატონის) თავმჯავებული და მკაცრი სახევა თუ ჰქონდა მოსახული მხატვრული შტრისებით, — სახევა მაღალიდღერი ენთუზიასტის მიზანდასახული, გამბედავი, შეუპოვარი ნოვატორი კაცისა, მე უფრო რბილი ტონები ავარჩიე ბერესტის სახეების სცენური გამოსატვისათვის. ჩემი ბერესტი იყო გულისმომიერი ხელმძღვანელი, კომუნისტ — ადამიანი. ჩემი ბერესტი ადამიანური იყო ყოველ მის საქმეში და, იმავე დროს, თავის სთბომშიც, თავის გულისმომიერებაშიც, თავის გამგებიანობაშიც, საქმეში ჩახედული, მომთხროფი და დიდი ნებისყოფის გარე პიროვნება. ჩემი ბერესტი იყო ისეთი გმირი, რომელსაც ეპირველად, ვგებ, ვერც შენინში, რომ გვიბრია, — ანუ, იაეთი გმირი იყო, უზარალად რომ ჩაგივლის და არ მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. პლატონ კრეჩეტისა და ბერესტის სახეები შემოქმედებითად ახალი სახეები იყო აკაკი ხორავასთვისაც და ჩემთვისაც. ამ სახეზე მუშაობამ ბევრი რამ შემიძინა სცენური სიმართლის სულ სხვა კუთხით (ვიღებ ამას ადრე ვაკეთებდი) დაუფიქრბის საქმეში. რაც მთავარია, ჩვენ, ამ წარმოდგენაში მოსაწიფილე ყველა მსახიობმა, შევძელით პიესაში მოცემული ყოველი სახე ქართული კაცის ბუნებისთვის შეგვებამებინა და, მილიანად ეს ნაწარმოები კი, ქართული თეატრალური ხელოვნების უკვე ღრმა და მტკიცე ტრადიციის ფსევებსე დაგვეყნოს.

„პლატონ კრეჩეტის“ პრემიერა ჩატარდა 1935 წლის დეკემბერს. საზოგადოებამ და პრესამ მოიწონა სპექტაკლი ამ წარმატებას დიდი, ამასთანავე, ორმხრივი მნიშვნელობა ჰქობდა თეატრის შემოქმედებითი ცხოვრებისათვის: ჯერ ერთი, ნათელი გახდა, რომ ვინახავდით შექმნილ ტრადიციებს და ძალა გვეძობდა უღლის გავწივას, ტრადიციების გაგრძელებაში, თეატრის დინების დროშის კარავს; აგრეთვე, ამ სექტაკლით, ჩვენ გამარჯვებული პასუხი გავცით პარტიისა და მთავრობის მოთხოვნას — თეატრში სოციალისტური რეალისმის გზის გაკავებას და განმტკიცების მოთხოვნას. „პლატონ კრეჩეტი“ მოასწავებდა მომდევნო შემოქმედებითი ნაბიჯის გადაღებას და არა რაიმე ახალი მხატვრული ძირითადი მიმართულების დაწყებას რუსთაველის სახელობის თეატრში. რასაც ს. ახმეტელი ადრე აცხებდა, ეს მართ მისი ხაზი არ იყო — ეს იყო ჩვენი ხაზიც, ჩვენი მიმართულებაც და მისწრაფებაც თეატრში და, ახლა, სწორედ ამ მიმართულებას და მისწრაფებას ვაგრძელებდით, თეატრში აგრძელებდა ბრძოლას თავისი შემოქმედებითი ცხოვრებაში გმირულ-რომანტიკული სულისკვეთებისა და გამომსახველობითი ფორმების, ამ სულისკვეთებისა და ფორმების სოციალისტური რეალისმთან მისადაგება-შეთვისების გაღრმავებისთვის, განმტკიცებისათვის.

მეტი თუ არა, ნაკლები მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამ დროისთვის რუსთაველის თეატრში „შემოდგომის საპატარუბის“ განხორციელებას.

მწარალმა სერგო კლიდაშვილმა მისი წინაპრის, დიდი, დავით კლიდაშვილის ნაწარმოებების მისივეტი მშვენიერი მხატვრული გაბედული, ორიგინალური პიესა-ინსცენირება შექმნა. ამ პიესა-ინსცენირებაში ავტორმა თავი მოუყარა დავით კლიდაშვილის მიერ დასატყვევებელი კოლონიალურ სახეებს და სცადა, სიცილის მიშვევებით დავებო საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებანი. ს. კლიდაშვილმა საკმაოდ ფართო სამოქმედო ასპარეზი შეუქმნა პერსონაჟებს, ამ პერსონაჟთა მეტყველება რაც შეიძლება განხორბინა დილექტიზმებისა და კუთხური კილო-კავისაგან და აქცენტირება მოახდინა მეტყველების რიტმზე, დიალოგთა დინამიურობაზე. ავტორმა უთუოდ მასშტაბური, განსოგადებულბი ატმოსფერო შეუქმნა კომედის პერსონაჟებს. ეს პიესა მუსიკალური კომედისთვისაც ბრწყინებულ ლიბრეტოდ გამოდგებოდა; ამას ხედებოდნენ კიდევ რეჟისორი კვკური პატარბივე, კომპოზიტორი იონა ტყეცია და მხატვრული, ირაკლი ვარციხეის მიწაფე დიმიტრი თავაძე, და პიესის ეს მხარეც, დრამატული თეატრისათვის შესაფერისი ზომიერების გრძობით გამოიყენეს.

დავით კლიდაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ მსგავსად, აქაც, უმოდგომის ანხარებშიც“ მთავარი მოქმედი პირობი დარისპან ჯარსივე და სოლომონ მორბელაძე გახლდათ. ავტორმა ამ პიესაში ვასთხოვარი ქალებისა და ცოლსათხოვი ვაჭების მრავალრიცხოვანი გუნდები შექმნა. ეს გუნდები დარისპანისა და სოლომონის კვალდაკვალ მოქმედებდნენ და ადგილ-ადგილ, როგორც ქორი, მოძაბილს უუნებოდნენ.

დარისპან ჯარსიძის როლის შესრულება რეჟისორმა კ. პატარბივე მე დამავადა (დებლობად ბ. წუჯაბე დანიშნა), სოლომონ მორბელაძის როლი მიანდო ვმანუელ აფხაძეს, მართას როლი — ანა სანაძეს, კარონას როლი — თამარ თუშმიშვილს, სიცივის როლი — შალვა აბესაძეს, სოლომონ მორბელაძის მეუღლის როლი — ელიკო დინილს, მიფრინიან-მიფრინიანას როლი — ფელიკო ჰანტურისა და სხვა.



დარისპან ქარსიძის სახე ქართულ სცენაზე უკვე დამკვიდრებული და არაერთხელ შესანიშნავადაც იყო განხორციელებული. დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ ქართულ სცენაზე პირველად დადგა და თბამაზა ჩემმა მასწავლებელმა, ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა ვალერიან შალვაშვილმა. ვ. შალვაშვილის მიერ შესრულებული დარისპანი ქუთაისის თეატრში ჯერ კიდევ 1914-15 წლის სეზონში იქონი. იმ საექტაკლოში კარგისა როლს ნატალია ჯავახიშვილი ასრულებდა, მართას — ლიპა ლოლობერიძე, მიფრინო-მიფრინიას — ართა ლოლა, ედვისი — დესპინე ივანიძე, ისიკოს — იუსა ზარდალიშვილი, ინისიმეს — ანდრო ბურუსიძე.

ასეთი ტიპის გარაკის ერთ-ერთი პრინციპული სხვაობა მის ზოგიერთ მოცულობით გვეგარებით თავისებურებაშია. გარაკის შენობა შესაძლოა შედგებოდეს სამი კორპუსისაგან,

* დაწერილობით აღწერა მოცემულია საავტორო მოწმობაში №№ 318669, 343019, 473789.



რომლებიც ერთმანეთთან (გვეგამო გრძივი ღერძების გასწვრივ) 120° კუთხის შეადგენენ და ავტოსადგომებად არიან განაკუთვნილი. ავტოსადგომი კორპუსები ბლოკირებული არიან ერთმანეთთან ცენტრალური რამპული მოწყობილობის კოშკთან.

გვეგამო კორპუსების ასეთი, სამფურცლის მსგავსი განლაგება, ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტია. ქალაქმშენებლობის კონსტრუქციული პირობებისაგან დამოკიდებულებით შენობის ფორმა გვეგამო შეიძლება ნებისმიერად შეიცვალოს, რაც საშუალებას იძლევა ავიღოთ, „მიგებას“ როგორც არასწორი რელიეფის მონაკვეთზე, ასევე სიდიდით შეზღუდულ ნაკვეთზე. განაშენიანების ფართის შემცირება შეიძლება მოხდეს ცალკეული კორპუსების სიგრძის შემცირებით და სიმაღლეში სარეზონანსობის ოპტიმიზაციის ფარგლებში გაზრდით.

არსებითია ის, რომ ნებისმიერ გვეგამარებით გადაწყვეტაში გამოყენებულია ყველა უპირატესობა განპირობებული გარეგანი შენობის მთვრელ პრინციპულად მნიშვნელოვანი თავისებურებით — მისი რამპული სისტემის კონსტრუქციული მოწყობილობით, დიდი გამტარუნარიანობით. რამპული სისტემის ეს მნიშვნელოვანი ფუნქციონალური თვისება განაპირობებს შენობის მაკად საექსპლუატაციო მახასიათებლებს.

ზემოთ მოცემული აღწერა წარმოადგენს მოცემული ტიპის გარეგნის მოცულობით-გვეგამარებითა გადაწყვეტის პრინციპების და კონსტრუქციული ორგანიზაციის ზოგად ილუსტრირებას და ავლენს მის აშკარა უპირატესობას. ამგვარად, ავტოსადგომებისათვის სამი ბლოკირებული კორპუსის გამოყენება იძლევა გარეგნის შენობის ტყეადობის გაზრდის საშუალებას. რამპული სისტემის დიდი გამტარიანობა, მოქნილ გვეგამარებით გადაწყვეტასთან ერთად, იძლევა ტყეადობის რიცხვის ვარიაციის საშუალებას ფართო დიაპაზონში — რამოდენიმე ასეულიდან — რამოდენიმე ათას მანქანა-ადგილამდე.

სამივე კორპუსს, მშენებლობის პრაქტიკაში ცნობილი გადაწყვეტებისაგან განსხვავებით, ერთი რამპული სისტემა „ემსახურება“, რომელიც უზრუნველყოფს ამ ტექნიკური გადაწყვეტის ეკონომიკურობას. და ბოლოს, რამპული სისტემის ააში დამოუკიდებელი ასახველი (ჩამოსასვლელი) ამარტივებს და აფართოებს საგზაო ქუჩების ქსელთან მისი სატრანპორტო მიზნის შესაძლებლობას.

ჩვენს ქვეყანაში ქალაქმშენებლობის ფართოდ გაშლის შემთხვევაში მსხვილი საზოგადოებრივ-სავაჭრო ცენტრების შექმნისას, მომსახურების ქსელის, კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახეობისა და ფორმის გაზრდისას, გარეჯი-სადგომების მშენებლობის საკითხი განსაკუთრებულად აქტიური ხდება.

უკანასკნელ ათწლეულში ჩვენი ქვეყნის ქალაქებში დიდი პერსპექტიული ტიპის მრავალსართულიანი მიწისზედა, კომინიკირებული მიწისქვეშა და ჩაღრმავებული გარეჯი-სადგომების მშენებლობა. ამ ნაკვებობების მშენებლობის პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ მათი ჩართვა ქალაქის გვეგამარებით სტრუქტურაში, მოცულობით-გვეგამარებით და არქიტექტურულ-მხატვრულ გადაწყვეტაში ხდება ქალაქმშენებლობის ორგანიზაციის, კომპლექსური მოთხოვნილებების გარეშე.

კერძოდ, არასაკმარისი არქიტექტურული მახასიათებლები და საერთო ხედის არადამაკმაყოფილებლობის გამოქვეყნდ გარეჯი-სადგომები ჩვენი ქვეყნის მსხვილ ქალაქებში გატანილია ქალაქის რაიონების პერიფერიებში, ამ ქალაქის გარეუბნებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ტყეადობის გარეჯი-სადგომები აუცილებელია ქალაქის ცენტრის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. საზღვარგარეთის თანამედროვე გარეჯი-სადგომების არქიტექტურულ-ესთეტიკური მიმართულების განხილვა გვარწმუნებს, რომ ასეთ ნაკვებობებს ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლში დისონანსი კი არ შეაქვთ, არამედ ნაწილობრივ აცოცხლებენ, მრავალფეროვანს ხდიან მას.

ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ დამუშავებული მრავალრიცხოვანი შრომების მიუხედავად, რომლებიც იხილავენ კომპლექსური ქალაქმშენებლობის პრობლემების „ქალაქი და ავტომანქანა“ კერძო ასპექტებს, დაკავშირებულს გარეგნის და ავტოსადგომების ქსელის განვითარებასთან, ეს საკითხი, ჯერჯერობით საფუძვლიანად არაა შესწავლილი. მაგალითად აშშ-ი, სადაც დაგროვილია მრავალსართულიანი გარეგნის მშენებლობის ნახევარსაკუთრებანი გამოცდილება ზოგიერთი საკითხის მიხედვით გარეგნის ორგანიზაციას, დღემდე შეუსწავლელია.

დღეს გარეჯი-სადგომები ქალაქის შემადგენელი, მისი არქიტექტურისათვის აუცილებელი, ორგანული ელემენტია.

ბუნებრივია, რომ ავტომობილიზაციის განვითარების კონსოლიდირება ჩვენს სოციალურ-ეკონომიურ პირობებში პრინციპულად განსხვავდება იმისაგან, რაც იყო კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამის გამო საზღვარგარეთის ქალაქების ავტოგარეგნის მშენებლობის ტენდენციები და ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურებანი დაკავშირებულნი ავტომობილიზაციის განვითარებასთან არ შეიძლება მეტანიკურად იქნებ გამოტანილი ჩვენი ქვეყნის ქალაქმშენებლობაში, რადგან ისინი ვერ შეცვლიან ჩვენი ქვეყნის ქალაქების შესაბამის კომპლექსურ სატრანსპორტო-ქალაქმშენებლობის გამოკვლევებს და მით უმეტეს, საკუთარ გამოცდილებას.

მიუხედავად ამისა, ცალკეულ ნოვატორულ გადაწყვეტათ კრიტიკული გააზრება, რეალისტური შეფასება, შემოქმედებითი ძიება, ასევე თანამედროვე მაღალი მოტორიზაციის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება, საშუალებას გვაძლევს ავიცინოთ წინათ დამუშავებული შეცდომები, ამ სიტყვებში პირდაპირი მნიშვნელობით, ძვირად ღირებული შედეგობები.

შევიქმედება—

ფილოსოფიური პირობაა

ლერი ჩანტლაძე

1. ძნაღობა ყოფლთა?

„შემოქმედი—ყოელთა შემქმნელი“—ასე განმარტავს სულ-სან-საბა. ოდინდელი გაგებით შემოქმედება ღმერთის წილხვედრი საქმე იყო და უბრალო მოკვდავთ არ ხელუწიფებოდა. ეს ნიშნავდა, რომ შემოქმედება არის არარაგან ქნაღობა ღვთაებრივი ძალის მიერ. „ღმერთი შემოქმედი შენი და შემოქმედ ცისა და ქვეყნისა“ (ესაია, 51, 13), ამდაგვარი გაგების ანარეკლია დღევანდელი ფეხისტენციალიზმის ზოგიერთ განსტოებაში: „შემოქმედება არარას, არყოფნის გადასვლაა ყოფიერებაში თავისუფლების აქტის მეშვეობით“ (ბერდიაევი).

შემოქმედება უკვე ანტიკურ ეპოქაში „დაეშვა ციდან“ და აღამიანთა „ხელობადაც“ იქცა. განდა აღამიანური შემოქმედების მიმართ პრაქტიკული და თეორიული ინტერესი, რომელიც შემდგომში აღარ დაკარგულა, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიური კვლევა ამ მიმართულებით ჩვენს საუკუნეში დაიწყო. საფიქრებელია, რომ ამის მიზეზია, უმთავრესად, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მასთან დაკავშირებული საფუძვლიანი ცვლილებები აღამიანის ყოფისა და სულიერი ცხოვრების მრავალ სფეროში. ცხადია, მეცნიერებისა და ტექნიკის თავებრუდამხვევმა, გოლიათურმა ნაბიჯებმა ასლებურად დააყენა ბევრი, თითქოსდა, უკვე გადაჭრილი საკითხი, მოით-

ხოვა არაერთი მყარად დაფუძნებული ღირებულების გადაფასება. მითუმეტეს, ეს ითქმის ნაკლებად დამუშავებულ პრობლემატიკაზე, რომელსაც შემოქმედების პრობლემაც უნდა მივაკუთვნოთ. მიუხედავად ამ საკითხისადმი ოდინდელი ინტერესისა, მისი საგანგებო განხილვა და დამუშავება მეოცე საუკუნემდე არ ყოფილა ინტენსიური, შემოქმედების თეორიამ, ფაქტიურად, ჩვენს საუკუნეში გადადგა პირველი სერიოზული ნაბიჯები. აქვე უნდა ითქვას, რომ მონოგრაფიები და საჭურნალო სტატიები ამ სფეროში, ძირითადად, შემოქმედების ფსიქოლოგიას ეხებოდა, რაც, ცხადია, საკითხის მხოლოდ ერთ, თუმცა მნიშვნელოვან მხარეს აშუქებდა. კარგა ხანს იყო ჩრდილში შემოქმედების ფილოსოფიური პრობლემატიკა, რომლის კვლევის გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი შემოქმედების მთლიან, უნივერსალურ თეორიაზე.

თუ შემოქმედების ფსიქოლოგიას აინტერესებს საკუთრივ შემოქმედებითი პროცესის „მექანიზმი“, რომელიც შემოქმედი პიროვნების ფსიქიკაში „მუშაობა“, ფილოსოფიამ უნდა გაარკვიოს საერთოდ შემოქმედების რაობა, უნდა დაადგინოს აღამიანის შემოქმედებითი საქმიანობის საზღვრები, მისი ბუნება, გვანგეოს შემოქმედების აუცილებლობა და თავისუფლებასთან კავშირი და ა. შ.

შემოქმედების ფილოსოფიურ კვლევას უდიდესი თეორიული

და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს პრობლემის მეთოდოლოგიური სტატუსი. შემოქმედების განსახილველად აუცილებელი ანალიზის შედეგებს რეალური ღირებულება ენიჭება არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც; ისინი შეიძლება თვალსაზრისით სტიმულად, თავისებურად, „საინაჩე ქვად“ იქნენ შემოქმედათვის. განსაკუთრებით ეს ითქმის მეცნიერული შემოქმედების ფილოსოფიურ კვლევაზე.

შემოქმედების პრობლემის ინტენსიური ფილოსოფიური კვლევა გაფუძვლებული ამოცანაა საბჭოთა ფილოსოფიაკებისათვის. შემოქმედების პრობლემაზე ჩვენზე არსებული ფილოსოფიური ლიტერატურა ჯერ კიდევ თითქმის ვერ გასცდა საკითხის მეთოდოლოგიური პრინციპების კვლევის სფეროს. რასაკვირველია, კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპების დადგენა სულაც არ არის მჭორებასობისთვის საკმარისი, მაგრამ მიზანი ხომ მაინც საკუთრივ პრობლემის უშუალო, პოზიტიური შინაარსის დადგენა და გადაწყვეტაა. ალბათ, პრობლემის დაუმუშავებლობით და არა პრინციპული სირთულით არის განპირობებული ზოგიერთი მკვლევარის მიერ შემოქმედების უნივერსალური (მისი ყველა ძირითადი სფეროს გათვალისწინებით) თეორიის კვლევისათვის თავის არიდება. „ჩვენ რამდენადმე ნადრეუად გვეჩვენება მეცნიერება, მასობითა და სხვა სახის შემოქმედება საკმარისობის ერთობლივი ანალიზი. დღესდღეობით ჩვენ კიდევ ვერ შევძლებთ გავარჩიოთ მთავარი და მჭორებასობისთვის წინააღმდეგობებითა და გამოცხადებით სახე შემოქმედების პრობლემა“ — წერს ერთი მათგანი. მაგაც პოზიციაზე დგას ედვარდ დე ბონო, რომელიც მხოლოდ მეცნიერულ შემოქმედების განიხილავს, მსატერულსე უკი ურას აცხადებს პრინციპული შემუშავებადობის გამო (5, 17).

საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ უნდა იყოს მართებული. შექმედებელი შემოქმედების პრობლემების ყოვლისმომცველი, სრულყოფილი კვლევა მიაი ყველა ძირითადი სფეროს თავისებურების გათვალისწინების გარეშე. შემოქმედების ფილოსოფიური კატეგორიის დღევანდელი სწორედ ამას უნდა ითვალისწინებდეს.

როგორ უნდა მოხდეს ეს?
თითქოს პასუხი ნათელია: უწინარეს ყოვლისა ადამიანის შემოქმედების ძირითად სახეთა სპეციფიკისა და საერთოს დადგენით.

საწყობაროდ, შემოქმედების პრობლემის ზოგიერთი მკვლევარი ასე არ ფიქრობს. ამ მხრივ ტიპური პოზიციას გამოხატავს ჯ. დავიდოვა, რომელიც წერს: „დიალექტიკა და შემოქმედება“ შემოქმედების პრობლემის ფილოსოფიური შინაარსის დასადგენად შემოქმედებითი მოღვაწეობის კონკრეტულ სფეროთა სპეციფიკურსა და საერთოს გარკვევას როდი თვლის საჭიროდ. შემოქმედების ცალკეულ სახეთა ანალიზის შედეგად საერთოდ შემოქმედების ბუნების დადგენა მას ცნებათა უბრალო დაჯამებად, ჩამოთვლად მიიჩნია (4,21-22).

იგი აქ „დაჯამების“ გზით საერთოდ ცნების მიღების წინააღმდეგ ირ ილაშქრებს, არამედ სახელდობრ შემოქმედების ცნების განსაზღვრებათვის ანალიზისა და ინტუქციის გზის გამოყენების წინააღმდეგ. სათაბედლობა რჩება, რომ მას სწორედ ასე წარმოადგენია საერთოდ ცნების მიღების პროცესი (სხვადასხვა ნიშნების „დაჯამება-შეკრება“). აღრ არის გასაკვირი, რომ იგი შემოქმედების ცნების დასად-

გენად მხოლოდ დედუქციურ მეთოდს მიმართავს და აწიოკმავს დედუქციას.

რასაკვირველია, დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფიური პრინციპები მეთოდოლოგიური საფუძველია ყოველგვარი მეცნიერული კვლევისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უგულვალეყოფი კერძომეცნიერული მეთოდები შემიცნებისა და ცალკეული ცნებები წინააღმდეგ დედუქციის გზით დადგენილი. არც მხოლოდ ინტუქცია და არც მხოლოდ დედუქცია — მეცნიერული კვლევა ორივე მეთოდის ორგანულ ერთიანობა უნდა წარმოადგინდეს. ამ დიალექტიკური პრინციპის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება არაერთი გაკვლევისათვის და კუროზის წინაშე დაგვყენოს. ასეთ შემთხვევაში იქმნება კვლევის მეთოდისა და აჯენის გაუმართლებელი გათვალისწინების შესაძლებლობა. ის გარემოება, რომ მარქსისტული დიალექტიკა შემოქმედების ფილოსოფიური პრობლემის კვლევის მსოფლმხედველობრივ საფუძველად წარმოადგენს, სრულიადე არ იმდენად უფლებას განგვცხადოთ: „მარქსისტული დიალექტიკა შემოქმედების ფილოსოფიური თეორიაა“ (4,89). ასეთივე წარმართებით შეიძლება გამოვაცხადოთ დიალექტიკა ფიზიკური, ბიოლოგიური, სოციალური და მიძრბობის სხვა ფორმთა თეორიად. თავისთავად ამ უწიორ დებულების აზრი მახინჯდება, თუ მასში საეციფიკური მეცნიერულ თეორიის ვიკულისხმება და არა ზოგადმეცნიერული თვალსაზრისის. თქმა მხოლოდ იმისა, რომ შემოქმედების თეორია დიალექტიკურ-მატერიალისტურია, საკუთრივ შემოქმედებაზე არფერი თქმას ნიშნავს.

საკმე ის არის, რომ ამგვარ თვალსაზრისს საფუძვლად უღვეს წინასწარ ნაკულისხმევი თუხისი: ადამიანის ყოველგვარი თავაქმანობა შემოქმედებას წარმოადგენს. აქედან დასკვნა: აქედან დადამიანის ყოველგვარი მოღვაწეობა შემოქმედებითია, მაშინ ამ მოღვაწეობის ზოგად-ფილოსოფიური თეორია ამავე დროს შემოქმედების თეორიაც უნება.

ამ დასკვნის უმართებულობა, უმთავრესად, ორი მიზეზი განპირობებულია: ნაკულისხმევი თუხისის მდარობა და მარქსისტული ფილოსოფიის ერთ-ერთი პრინციპული მომენტის ცალმხრივი ინტერპრეტაცია, მისი გაფხვირება.

დავიწყოთ ამ უკანასკნელი მიზეზის განხილვით.

2. „მეშობამეშობის“ (ორი მნიშვნელობა)
მარქსიზმის კლასიკაები ხშირად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ადამიანი თვითონ „ქმნის“ თავის ისტორიას, თვითონ „ჰკვდება“ თავის ბედს. ადამიანთა ისტორიული მოღვაწეობა შემოქმედების ერთი განუწყვეტელი პროცესია, რომელმაც თავისუფლების საბოლოო გამარჯვებამდე უნდა მივყავანოს.

„კომუნისტური შაბათობები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — იმიტომ აქვთ უზარმაზარი ისტორიული მნიშვნელობა, რომ ისინი გვაჩვენებენ მუშათა შეგნებულ და ნებაყოფლობით თათნობას... მეურნეობისა და ცხოვრების სოციალისტური პირობების შემოქმედებაში“ (2, 495).

იქვე ლაპარაკია ახალი კომუნისტური ურთიერთობების „შემოქმედებაზე“, ახალი საზოგადოების „შემოქმედებაზე“ და ა. შ. თუ ამ თვალსაზრისით ვიმსჯელებთ შემოქმედებაზე, მაშინ შემოქმედების „სუბიექტი“ გამოდის ადამიანთა მასა და ერთადერთ ღირებულ და განსახილველ მოქმედებად (შემოქმედებად) მისი რეველუციურ-გარდამქნელი მოღვაწეობა უნდა მივიჩნიოთ. ყველაფერი, რაც ადამიანთა ისტორიის არე-

ნაზე ხდება, სოციალური შემოქმედების, ვარკვეული მიზნით განსაზღვრული ისტორიის დადგენის ხანგრძლივი პროცესია. ძნელი შესაძრწნეობს არ უნდა იყოს, რომ აქ „შემოქმედებით“ აღნიშნულია საერთოდ ადამიანის მწარმოებლური მოღვაწეობა, რაც მისი საქმიანობის ყველა სფეროს ინტეგრირებას ახდენს. ამ კონტექსტში უფლებამოსილია დებულება: „შემოქმედება ადამიანის თვითყოფილების წესია“, თუმცა „შემოქმედების“ ადგილზე თამამად შეგვიძლია ჩავსვათ „შრომა“. ამ ორი ცნების შინაარსი კი არ ემთხვევა ერთმანეთს.

შემოქმედების გაგებან, როგორც მხოლოდ ისტორიული ქმნადობისა, შეიძლება ცალმხრივად წაუსვადებულ, მცდარ დასკვნებამდე მივიყვანოთ. აქ ალტერნატივაა: ან შემოქმედების და მისი აუბიექტის ფიქციონისაცა, დიწრთის ადგილზე დაყენება მოხდება, ან პირიქით: შემოქმედების უტილიტატორ დონეზე დაყვანა, მისი გაიგივება უბრალო „დახლებუნებასთან“.

როცა ლაპარაკი ადამიანის „კომუნისტურ“, სახეობრივ შემოქმედებაზე, როგორც ისტორიული ქმნადობის პროცესზე, შეუძლებელია გვერდი აუარო „გაცნობიერების“ მომენტზე. თუ შემოქმედება ცნობიერ არსებათა შემოქმედებაა, იგი გაცნობიერებულია. შემოქმედების გაცნობიერებულია (თუნდაც მიზნის თვალსაზრისით) მოქმედების შედეგი მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ ჩანაფიქრი დაახლოებით მაინც გახორციელდა ადეკვატურად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება შემოქმედის და საერთოდ, შემოქმედების ტრაგედიას: მიზნისა და შედეგის შეუსაბამობა.

ადამიანის ისტორიული მოღვაწეობის მიზანი (თუკი საერთო მიზნის დადგენა ყველა ადამიანისათვის ისტორიულ ეპოქებში შესაძლებელია), — როგორც იატორიის შემოქმედების, ცალკეულ ეპოქებში არ ემთხვევოდა მის რეალისაყისს. ამაში ჩანდა „ისტორიის ირონია“. ადამიანთა აქტივობის მიუხედავად ისტორია „ათაისი გზით“ მიდიოდა. თუ ასეა, ძნელია ლაპარაკი ისტორიულ-სოციალურ შემოქმედებაზე, რომელსაც რეალისაყისათვის ობიექტური სოციალური სინამდვილის პრინციპული შეცვლა ჭირდება. ცხადია, კომუნისტურმა უნდა მოხდეს სრულიად ახლებურ ურთიერთობათა დაფუძნება. მაგრამ ეს ურთიერთობები ციდან როდი ჩამოვარდება და არც ადამიანი იქცევა წადამთანად.

მხოლოდ კომუნისტისკენ მიმავალ ცაზე „იბადება ისტორიულ პროცესის თვისობრივად ახალი სუბიექტი“, რომელიც თავისუფალია გაუცხოების ბორკილებისაგან, რის გამოც უშუალოდ პირველ ად იფურქვება შემოქმედებისა და ისტორიის შემოქმედებითი ბუნება“ (4, 4).

მხოლოდ აქ დაბატულ ისტორიულ პერსპექტივაში შობილი პრინციპულად „ახალი სუბიექტი“ ეჩიარება ტეშმარტი შემოქმედებისა და მხოლოდ მისთვის გახდება ცნობილი ამგვარი შემოქმედების არსი. თუ ასეა, აზრი ვარგება მანამდე მცხოვრებ ადამიანთა ტეშმარტი შემოქმედებაზე ლაპარაკს.

თუ ასეა, არავითარი უფლება არა გვაქვს ვიმჯავლოთ შემოქმედების ისტორიულ ბუნებაზე (იგი მომავალი „ახალი სუბიექტისთვის“ გახდება ცნობილი).

შემოქმედების ისტორიულ პერსპექტივაზე მსჯელობისას შეიძლება უფრო შორს წავიდეთ: კომუნისტში, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის ანტაგონიზმის მოპოპობასთან ერთად, მოისპობა „მატერიალურისა და სულიერის, გონებისა და

გრძობების, ბუნებრივისა და ისტორიულის, ერთეულისა და ზოგადის“ დაპირისპირება (4,61-62).

სხვას რომ თავი დავანებოთ, გაუქმებულად ცხადდება ფილოსოფიის ძირითადი საკითხი („მატერიალურისა და სულიერის ურთიერთდამოკიდებულება“).

ის გარემოება, რომ საზოგადოებას და ინდივიდს შორის ანტაგონიზმი მოიპოპობა, სრულიად არ ნიშნავს ზოგადსა და ერთეულს შორის საერთოდ დაპირისპირების გაუქმებას, გონებისუელისა და გრძობისუელის გაიგივებას და სხვ.

მსგავსი გაუგებრობა წმინდა დედსკიების ლოგიკური შედეგია. სხვათაშორის, აქედან თითქმის აღარაფერი რჩება იდეალისტამდე. უკვე დასახლებულ მონორგანოზში ადამიანთა ისტორიული შემოქმედებითი მოღვაწეობა წარმოდგენილია, როგორც აბსოლუტურად შეუზღუდავი და ყოვლისშემძლე ისტორიის ქმნადობაში მთავარ როლს ასრულებს თუ მწარმოებლური მოღვაწეობა, არამედ ფილოსოფიური ანთროპიები, ობიექტი.

„სახეობრივობრივი სინამდვილე იცვლება ისტორიული განვითარების ფილოსოფიურად გააზრებული პერსპექტივის (მიზნის, იდეალის), მიხედვით, ე. ი. მაღალდება ფილოსოფიის დონეზე, ფილოსოფია ხორციელდება, იქცევა სინამდვილეად“ (4, 65, ხაზი ჩემია — ლ. ჩ.).

ფილოსოფია კი არ ასახავს სინამდვილეს, არამედ სინამდვილემი აისახება ფილოსოფია.

აქმედ შეიძლება მივიყვანოს არასწორად გაგებული პრინციპული დებულების ცალმხრივმა გამოყენებამ.

მარქსი ერთგან წერს: „ისტორიის მთელი მსვლელობა არის, ერთი მხრივ, კომუნისტის დაბადების ნამდვილი აქტი — მის ემპირიული ყოფიერების წმინდაობა, — მეორე მხრივ კი, იგი კომუნისტების მოახლოებუ ცნობიერებასათვის მისი ქმნადობის მისაწვდომად შემეცნებად მოძრაობას წარმოადგენს“ (1, 588).

აქ მარქსი ხაზს უსვამს საზოგადოებრივი პროცესის ქმნადობის შეფუძნებლობას და არა თვით „ნამდვილი აქტის“ განხორციელებას ფილოსოფიური „პროექტის“ მიხედვით.

ყველაფერი თავის ადგილზე მთავადდება, თუ ისტორიული, სოციალური შემოქმედება ცნების შინაარსს მართებულად მივსაზრებთ. მარქსიზმის კლასიკოსები ისტორიული შემოქმედების დახასიათებისას „შემოქმედებას“ ფართო გაგებით ხმარობენ, მასში არ დებენ მნიშვნელობას, რომელიც ადამიანი მატერიალურ-სულიერი მოღვაწეობის ერთ-ერთ სპეციფიკურ სფეროზე (თუნდაც უმთავრესზე) მიუთითებს. შემოქმედებაში ისინი გულისმობენ საერთოდ ადამიანის მოღვაწეობას, პრაქტიკულ საქმიანობას. „მარქსმა მატერიალისტურად განმარტა მოღვაწეობის ცნება, ჩამოაყალიბა მას ზნეობრივ-რელიგიური წინამდებობი, რომელიც კანტისა და ფიქტსათვის იყო დამახასიათებელი და განიხილა იგი როგორც საგნობრივ-პრაქტიკული მოღვაწეობა, როგორც „წარმოება“ — სიტყვის ფართო გაგებით, რომელიც ბუნებრივ გარემოს გარემქმნის ადამიანისა და კაცობრიობის მიზნებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. მარქსისთვის მახლობელი იყო აღორძინების პათოსი, რომელმაც ადამიანი და კაცობრიობა ღმერთის ადგილზე დააყენა, ამიტომ მისთვის შემოქმედებულ მოღვაწეობა ადამიანისა, რომელიც თავის თავს ქმნის ისტორიის მსვლელობაში. ისტორია კი წარმოვიგებება, უწინარეს ყოვლისა, როგორც ადამიანის მოღვაწეობის საგნობრივ-პრაქტიკული



ტიკული ხერხების სრულყოფა, რაც, თავის მხრივ, შემოქმედების სხვადასხვა სახეებს განაპირობებს“ (10, 187) — ასე აფასებს ისტორიული შემოქმედების მარქსისტულ გაგებას ცნობილი საბჭოთა ფილოსოფია პ. გაიდუკო.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ საკუთრივ ფილოსოფიური კვლევა შემოქმედების პრობლემისა მხოლოდ ისტორიული ქმნადობის, ანუ მოღვაწეობის ზოგად პრინციპებისა და პერსპექტივების დახასიათებით უნდა ამოიწეროს? შეიძლება თუ არა ადამიანის, კაცობრიობის გარდამქმნელი, რევოლუციური შემოქმედება ჩაითვალოს შემოქმედების ერთ-ერთ ქვესახედ? ცნობა თუ არა შემოქმედების სპეციფიკისა და არსის დადგენას საფუძვლად იმის გასცხადება, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი, ასახვის მარქსისტული თეორია შემოქმედების თეორია?

ყველა ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გავცეს.

ისტორიის ქმნადობა, ისტორიული შემოქმედება არ შეიძლება შემოქმედების ფილოსოფიური მატეგორიის კვლევის დრის ერთადერთი ობიექტი იყოს. ისტორიის შემოქმედების კვლევის მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს შემოქმედების სპეციფიკური პრობლემის ანალიზისა, ადამიანის სოციალური, საგნობრივ-პრაქტიკული მოღვაწეობა იძლევა გასაღებს საკუთრივ შემოქმედების პრობლემის კვლევისათვის. სხვა საქმეა, როცა კაცობრიობა ისტორიის ზოგად, საერთო ტენდენციას უკვანარაობით. ამ შემთხვევაში ისტორიული პროცესის (ისტორიული „შემოქმედების“) სუბიექტი სრულიად სხვაა, ვიდრე სპეციფიკურად გაგებულ შემოქმედ. სუბიექტი, ცხადია, ისტორიის „სუბიექტი“ და შეაბამისად, მისი „შემოქმედება“, გარკვეული ზრით, გადატანით მნიშვნელობით იხმარება.* როცა ვამბობთ: „ისტორია იქმნება“ — გულისხმობთ: „ისტორია კეთდება“ (делается, making).

ხომ ვამბობთ ხშირად: „ბუნება დიდი შემოქმედია“, ან: „ასეთია საგანთა ლოგიკა“ და სხვ. ცხადია, ბუნება არ შეიძლება შემოქმედი იყოს, ან უსულო საგნებს თავისი ლოგიკა ჰქონდეს.

„ისტორიის სუბიექტის“ შემოქმედებაზე ვიწრო სპეციფიკური ზრით ლაპარაკი არ შეიძლება. ასეთი ყაიღის შემოქმედი ან რელიგიური დემირი უნდა იყოს, ან ჰეგელისეული აბსოლუტური სული, ვინაიდან შემოქმედება წარმოდგენილია თვითონ შემოქმედი პიროვნების გარეშე. საკუთრივ პიროვნული შემოქმედების სიბრტყეში შემოქმედის, სუბიექტის, პიროვნების და თვითონ შემოქმედების საკითხი სხვაგანარად დგას, ვიდრე ისტორიის სუბიექტისა და ისტორიის შემოქმედების სიბრტყეში.

რააკვირვებელია, კაცობრიობის ისტორიული მოღვაწეობის ზოგადი პრინციპები საფუძვლად უდევს და განაპირობებს ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის ყველა დარგს, მაგრამ ვერ მოგვცემს საკუთრივ შემოქმედებითი პროცესისა და რეზულტატის სპეციფიკურ დახასიათებას. შემოქმედების ფილოსოფიური პრობლემის კვლევისას უნდა გაეთვალისწინოთ ისტორიული ქმნადობის ტენდენციები, მასების რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობა კომუნისტური საზოგადოებისაკენ

მიმავალ გზაზე, ცივილიზაციის, კულტურის მაკონსერვაციის მიმართულეობები, მაგრამ ყოველივე ამას არ უნდა ჩამოგვიცილოს მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდს: ინდუქციას, განზოგადებას, რაც ანუგზათა შემუშავების და ამდენად, ყოველგვარი ცოდნის საფუძვლია საფუძვლია. შემოქმედების პრობლემის კვლევა წარმოუდგენელია მისი ცალკეული სახეების: მსატერული, მეცნიერული, მითოლოგიურ-რელიგიური, მორალური და სხვათა ანალიზის გარეშე.

ცხადია, მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია, ნებისმიერ შემთხვევაში, მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარეობს და მას ეყრდნობა, მაგრამ ფილოსოფიის როგორც მეთოდოლოგიის საკვლევ კერძო ობიექტთან გათვითად უნდა შედგებოდეს.

განვიხილოთ ამ შეცდომის მხოლოდ მიზეზი.

3. შემოქმედების სასწავლებლი.
შეიძლება თუ არა ადამიანის ნებისმიერი აქტიანობა შემოქმედებად ჩაითვალოს?

ამ კითხვას პასუხის გასაცემად მზადყოფნისათვის უნდა ვიცოდეთ რას ნიშნავს „შემოქმედება“, როგორ საქმიანობა შეიძლება ეწოდოს შემოქმედებითი და როგორ — არა.

იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხის გარკვევას ყვედებით, უნდა გიარკვევს რა კუთხით, რა თვალსაზრისით შევხედავთ მას: ფსიქოლოგიურით, თუ ფილოსოფიურით.

ზრუელ დაკვირვებითაც ცხადია, რომ ყოველგვარი საქმიანობა არ არის შემოქმედება. ინტუიცია გვეუბნება (როცა ცნება შემოქმედებისა არა გვაქვს), რომ, მაგალითად: ჭამა, ძილი, პიგიური პროცესები, მარტივი მათემატიკური ოპერაციების შესრულება და სხვ. არ წარმოადგენს შემოქმედებას. რაღაც იკეთი ნიშანი გვიჩრდება, რომელიც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს შემოქმედების პროცესს და შედეგს.

შემოქმედებითი საქმიანობის უამრავ განსაზღვრებათა შორის შევქვილია გამივიარნით ერთი, რომლის მიხედვით შემოქმედება ყოველგვარი ახლის, მანამდე არყოფილია შექმნა. მართლაც, თუ სიახლის, ორიგინალურობის ნიშანი არა აქვს, რა შემოქმედებაზე შეიძლება ლაპარაკი?

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სიახლის მომენტი შეიძლება სრულიად საკამრიანი იყოს შემოქმედებითი პროცესისათვის, მისი რეზულტატისათვის, მაგრამ ფილოსოფიური კუთხიდან ეს არ კმარა.

გარკვეული ზრით, ყოველგვარი მოქმედება და მისი პროდუქტი სიახლეა. ვინაიდან ზუსტად ორი ერთნაირი მოვლენა არ არსებობს, ყოველი ახალი მოვლენა რაღაცით განსხვავდება უკვე არსებულსაგან, ე. ი. შეიცავს მანამდე არყოფილის მომენტს. ყოველგვარ სიახლეს შემოქმედებად თვლიან, მაგალითად, პ. ენგელსიერი (7). ასე თუ მივუდგებით, ადამიანის ყოველგვარი შრომა და მისი პროდუქტი შემოქმედებად უნდა ჩაითვალოს. ხშირად ამ თვალსაზრის ისევ დედუქციური მეთოდი განაპირობებს: რადან მშრომელი ადამიანი ისტორიის შემოქმედი, მისი შრომის ყოველი პროდუქტი შემოქმედებით პროდუქტად უნდა ჩაითვალოს. თუკი იმ მუშის შრომა, რომელიც მეთიანასკურ აკეთებს ერთიდაიგივე ყაიღის დეტალს, შემოქმედებად ითვლება, რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს არანაგლებ შემოქმედებად ქარხნის დირექტორის შრომა, რომელიც ახვევ მეთიანასკურ იძლევა ერთიდაიგივე ხასიათის განარკვევლებას?

შრომა შემოქმედებითი პროცესის აცტელეობით თანამგზავ-

* შემოხვევითი რთლება, რომ ზოგიერთი ფილოსოფოსი ადამიანის მიერ ისტორიის „შემოქმედებას“ და ისტორიის მიერ ადამიანის „შემოქმედებას“ ბრკველებში სვამს, რაც მის არპირდაპირ გამოკვეხებაზე მიუთითებს (იხ. მაგალითად: Б. Григорьев, Философия о сущности человека, М., 1973, стр. 259).

რია, მაგრამ თავისთავად შრომა არ არის შემოქმედებითი პროცესი. შრომა შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებაა და ამდენად აქვს აზრი გამოთქმას „შემოქმედებითი შრომა“.

ყველაფერი რომ შემოქმედებად ჩავთვალოთ, მაშინ მას ყოველგვარი ღირებულება ვკარგავთ, ნივთიერდება, ქრება. შემოქმედების პრობლემა იმითობს არის განსაკუთრებული პირობება, რომ იგი ადამიანის არსების გამომსახველი სპეციფიკური საქმიანობაა და ყოველ ნაბიჯზე არ გვგვდება. სულ სხვა საქმეა, რომ ამის აუზვილი გვაქვს. საზოგადოების პროგრესი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მათხვარისცხოვრების რაზმი ჰყავს მის შემოქმედებას, ადამიანი მთელ უკონგამისხატავს თავის არსებას, რაც უფრო მძლავრი, შთაგონებულები შემოქმედია.

იდეალური იქნება საზოგადოება, რომელშიც მხოლოდ შემოქმედი ადამიანები იქნებიან თავმოყრილინი, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც გაუმართლებელი იქნებოდა საზოგადოების წევრთა ნივთიერება, მათი ინდივიდუალურ-პიროვნული თავისებურების უგულებელყოფა.

ცნობილი მარქსისტული დებულება იმის თაობაზე, რომ კომუნისტების დროს ადამიანი ყოველმხრივ განვითარებული ინდივიდი იქნება, როდი უნდა გავივით ვვლავარულად. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ კომუნისტების დროს ყველა დიდი შემოქმედი, გენიოსი იქნება. შემოქმედების პრობლემაში მიძღვნილ ერთ-ერთ გრებულში წერია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ადამიანის „ადრინდელი გენიალურობა ორდინარულ მოვლენად მოგვეჩვენება“ (3, 9). იმავე კრებულში სრულიად სერიოზულად არის აღაპრავი შემოქმედების თეორიის მიერ „გენიოსთა კადრების აღზრდის“ მეთოდოლოგიის შემუშავების აუცილებლობაზე (იქვე, გვ. 40). ზოგიერთი ავტორის აზრით კომუნისტების დროს ყველა ადამიანი უერთდოვლად იქნება ხელოვნების (და ალბათ, მეცნიერებისაც) ყველა დარგის წარმომადგენელი: კომპოზიტორიც, მხატვარიც, მაცეკვავეც, არქიტექტორიც, პოეტიც, რომანისტიც და ა. შ.

მარქსის დებულების მსგავს ინტერპრეტაციებებს რომ ვერწმუნოთ, დადგება დრო, როცა ადამიანის ნაცვლად მოგვეჩვენება ბიოლოგიურად სრულიად განსხვავებული არსება, ერთგვარი ზეადამიანი, რომელიც შემოქმედების ყველა დარგში პროფესიონალია, სწორუპირადი ხუნციანობა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ მუსიკალურად უსმენთ ადამიანი არ დაიბადება? სმენის გარეშე კი, მოგესხენებათ, ძმელია კომპოზიტორი იყო.

ძნელი წარმოსადგენია არსება, რომელსაც ადრინდელი გენიოსები (მათ შორის პლატონი, ბუთოპენი, შექსპირი, ბოტჩინილი, მარქსი), რიგით მოაზროვნებდა მოგეგნება.

ჩვენი აზრით, ასეთი ვულვარელობა, ვულვარული შეხედულება მთავარად საზოგადოების შემოქმედი ადამიანებზე შორსაა მარქსისტული ფილოსოფიური პრინციპებისაგან.

აივითოდ, შორს გამიზნული პროგნოზები და ისიც ისეთ რთულ სფეროში, როგორცაა შემოქმედება, ფრიად საარისკო საქმეა. მითუმეტეს, რომ უპირველეს ყოვლისა, დამუშავებას და დადგენას მოითხოვს ადამიანის დღევანდელი შემოქმედებითი მოღვაწეობის პრინციპები, რომელიც წარსული შემოქმედების საფუძვლები და რეალური შედეგია და თავის მხრივ, მიმავლის ლოკუველი იქნება. ჯერ-ჯერობით, ორიათასწოთა-სი წლის წინანდელი გენიოსი ჩვენთვისაც გენიოსია და აღ-

ბათ, დღევანდელი გენიოსი ორპროცენტადი წლის შემდეგაც მაინც გენიოსად ჩაითვლება.

როცა შემოქმედებას ადამიანის ტოტალურ საქმიანობად ვთვლით (თუხდაც იდეალში), გარკვეული სიფრთხილია საჭირო. განცხადება, რომ „ჩვენს დროში ადამიანად ყოფნა შემოქმედად ყოფნას ნიშნავს“ (3, 14), უარს ეუბნება ადამიანობაზე მიიღეს არამის ადამიანებისა, რომლებიც შემოქმედებითის საქმიანობას არ ეწევიან. ამის მიხედვით კი შემოქმედების ცნების მცდარი გაგებაა. აქამდე მივყავართ შემოქმედების დავევანს ყოველდღიურ უტოლიტარობამდე, უბრალო დახელოვნებამდე, სიმარჯვეშიც. „შეუბრეთ, როგორი ოსტატობით მუშაობდა ამწევი ზევიკლას, ახ უსიკლასი, მხატვრის, ან ჯადოქარ-ილუსიონისტის ხელები. გახა ხელების ჯადოსხური ოსტატობა გუნთების, ნერვების, სულიერი უნერვისის შენადნობი არ არის? დასკვნა კი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: უნდა ვა სწავლოთ ხელებით შემოქმედება (рукотворчество)“. (3, 18. სახი ავტორისა).

ფიქორი, კომენტარი ზედმეტი უნდა იყოს. რაღა გასაკვირია, რომ მხატვრული შემოქმედების სწორუპირად ნიშნებად ცხადდება სამწეველი ნაწარნი და ენიჭება „კულტურული ღირებულების“ იარილიც, შემოქმედების უმადლეს პრინციპად ითვლება ეკონომიური ეფექტურობა (эфективностью). „ეფექტურობა — მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის ფუნდამენტური პრინციპია... პრობლემა ის არის, რომ უმცირესი დანახარჯით დიდ შედეგებს მივალწით“ (იქვე, 11).

ის, რაც შეიძლება გამართლებად იქნას პრავმატიკული ფილოსოფიის პოზიციიდან, გაუმართლებელია მარქსისტულ ფილოსოფიურ თეორიაში, თუგა ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოჩანული მისასწრებები ძნელია ფილოსოფიურად ჩაითვლოს.

შემოქმედების ცნების დეფინიცია ყოველთვის გამორწვევს გავუგებობას, თუ დედუქციასთან ერთად ინდუქციის მეთოდი არ მოვიწყველით.

სიახლის მომენტი რომ საკმარისი არ არის შემოქმედების პროცესისა და შედეგის განსაზღვრისათვის, ნათელია, მაგრამ აუცილებელი რომ არის, არც ეს უნდა იჩვენებდეს ეჭვს. შემოქმედი „უნდა მისწავლოდეს არა სიახლასკენ, არამედ რეალობის ობიექტური ასახვასკენ“ — წერს ნ. კირილოვი (3, 54). ჯერ ერთი, სიახლის აუცილებლობა შემოქმედებაში არ ნიშნავს, რომ შემოქმედი მაინცდამაინც შეგნებულად მისწავლებს სიახლასკენ, ორიგინალობისაკენ. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სიახლეა ხშირად შემოქმედების ხელისშეშლელ ფაქტორადაც იქცევა. მხატვრულ შემოქმედებაში, მაგალითად, ორიგინალობისაკენ ხაზგასმული სწრაფვა პოზიტიონობისა და ხელთვნურობის არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. შემოქმედების პროდუქტი თავისთავად წარმოაჩენს მასში მოქცეულ ღირებულ სიახლეს.

მეორეც ის, რომ არ არის გათვალისწინებული შემოქმედების ყველა სფერო და ძირითადად აქცენტრ მცნვიერულ შემოქმედებაზეა გაკეთებული. რეალობის ობიექტური ასახვისაკენ მისწრაფება მეცნიერული შემოქმედებისათვისაა დასახასიათებელი. ბუნებრივია, რომ ასახვის ცნება აქ შემეცნების ცნების იგივეობრივია.

ასეც რომ იყოს (შემოქმედება რომ შემეცნებით, ასახვით ამოიწერებოდეს), მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ შემოქმე-



ღებაში მთავარია ასახვის, შემეცნების მომენტი. გონებაში განასხვავებენ განაჯასა და ინტუიციას. განაჯა, — ლოგიკურ-დისკურსული აზროვნების უნარი, — ცოდნის მოპოვებაში მთავარ როლს ასრულებს, მაგრამ შემოქმედებით ხასიათი არ გააჩნია. შემოქმედებითი ბუნება აქვს ინტუიციას, რომელიც ინტელექტური მოღვაწეობის ერთი მომენტია. ცხადია, არც იმის თქმა შეიძლება, რომ შემეცნება არ არის შემოქმედებითი.

როცა შემოქმედების ზოგადი ბუნების დადგენას მიაიკრთობენ, რომელიმე სახის ანალიზის საფუძველზე ცდილობენ, გარდაუვალია გაუგებრობა და არასწორი დეფინიციები. კოლექტიური შემოქმედების განხილვისას ხშირად წერენ, რომ იგი ყველაზე უფრო ეფექტური ფორმაა, რომ „მარტოხელას, თვით გამოჩენილ პიროვნებასაც კი თანდათან უძნელდება რაიმე მნიშვნელოვანის შექმნა... აღარ გამარ განაკუთრებული ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარი. განაკუთრებული, იზოლირებული შემოქმედების ეფექტურობა ქვეითდება“ (3, 15).

თუ ამ მსჯელობას გავიზიარებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ კარგი ლექსის, ან პოემის დასაწერად — პოეტები, ღირებულნი სიმფონიის, ან სიმფონიის შესაქმნელად — კომპოზიტორები, ნოვოტორის ან რომანის დასაწერად — მწერლები და ა. შ. უნდა გაერთიანდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტოხელა პოეტს, კომპოზიტორს, მწერალს არაფერი გამოუვა, ვერც ხეირანი ლექსი შექმნის, ვერც სიმფონიას და ვერც რომანს.

განა სინამდვილეში ასე ხდება, ამ უნდა მოვხდეთ? ვის, ალბათ, ზეწოლა მოყვანილი მსჯელობის ავტორმაც მშვენიერად იცის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მას საერთოდ არ უფიქრია იმ დროს მხატვრულ შემოქმედებაზე, მას მხოლოდ მეტყვეობის მოღვაწეობა ჰქონდა მხედველობაში და ისიც, ალბათ, არა ყველა დარგისა.

საერთოდ, როცა ადამიანის შემოქმედებაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანალიზის ობიექტია მისი მოღვაწეობის ყველა ძირითადი სფერო, რომელიც მატერიალური და სულიერი ღირებულებებს მოიცავს. მხოლოდ ამგვარი ანალიზისა და დიალექტიკურ-მატერიალისტური ფილოსოფიური მეთოდოლოგიის კავშირის სიბრტყეში შეიძლება განხორციელდეს შემოქმედების ცნების მეცნიერული დეფინიცია.

4. დამოინიციის ცალა

შემოქმედების დეფინიციის დროს იგი მოაზრებულ უნდა იქნას „ვიწრო“ გაგებით, როგორც ადამიანის ცნობიერი მოღვაწეობის ერთ-ერთი სახე. ჩვენნი აზრით, სწორედ ეს არის საკუთრივ შემოქმედება, შემოქმედება პირდაპირი გაგებით, რომელიც კონკრეტულ პიროვნებასთანა დაკავშირებული.

სწორი ზუსტი იქნება თუ ვლაპარაკებთ არა ისტორიის „შემოქმედებაზე“, არამედ „შემოქმედებითობაზე“, ისტორია შეიძლება იყოს „შემოქმედებითი“, როგორც მთლიანი მოვლენა, მაგრამ სწორედ როგორც მთელი, არ იყოს დაკავშირებული პიროვნების შემოქმედებასთან.* შემოქმედება საკუთრივ აზრით (ვიწრო გაგებით) განუყოფელია პიროვნებისაგან, ბევრადაა დამოკიდებული მის ინდივიდუალურ თვისებებზე,

თავისებურებაზე. შემოქმედებისა და პიროვნების მიმართებაში სხვაგვარად დგება პრობლემა, ვიდრე საზოგადოებისა და შემოქმედების მიმართებაში. განსხვავებულია თავისუფლების პრობლემაც ა. შ.

შემოქმედება, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს სიასლის მომენტს, დაკავშირებულია პიროვნებასთან, შემოქმედების კონკრეტულ სუბიექტთან. სიასლის, მანამდე არყოფილის შემოქმედება რელიგიურ დოგმატიკაში პიროვნებასთან არის დაკავშირებული. აქ ასეთი პიროვნება არის ღმერთი, რომელიც არაფრისაგან კომბინირებას კი არ ახდენს, არამედ არასებულს აქვეყნებს არსებულზე. ზოგიერთი ფილოსოფოსის აზრით, ასეთი მიტიკარია ადამიანური შემოქმედების შინაარსსაც უნდა წარმოადგენდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არავითარ შემოქმედებასთან არ გვექნება საქმე. შემოქმედება მხოლოდ აბსოლუტური სიასლზე უნდა იყოს.

ცხადია, ამგვარი სიასლის მოთხოვნა შემოქმედებისათვის შეუძლებელია. როგორც სიასლზეც არ უნდა შექმნას ადამიანი, რაც არ უნდა გამოიგონოს, იგი აბსოლუტური სიასლზე მაინც ვერ იქნება, სიასლზე ყოველთვის შეფარდებითია. ადამიანს მხოლოდ ის შეუძლია, ამბობდა ფრენსის ბეკონი, სხეულები ერთმანეთს დაუახლოოს, ან დააშოროს, დანარჩენს ბუნება აკეთებს.

სიასლის მოთხოვნასთან დაკავშირებით ბუნებრივად ჩნდება კითხვა თვითონ სიასლის შინაარსის დადგენისა. ვის, ან რის მიმართ არის სიასლზე? ხომ შეიძლება ვინმემ არ იცოდეს ველოსიპედის არსებობა და ხელახლა გამოიგონოს? ჩათვლება თუ არა ეს შემოქმედება?

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძნელია უარი უთხარათ ასეთ გამოგონებულ შემოქმედებაზე, ფილოსოფიური კუთხიდან არ უკვირ გამოგონებულის, არსებულის ხელახლა გამოგონება ვერ საკვთოდ შემოქმედება. სიასლზე მარტო სუბიექტისათვის კი არ უნდა იყოს, არამედ ობიექტურადაც სიასლზე უნდა წარმოადგენდეს. შორეულ წარსულში, კომუნიკაციის სიანდობისა და ინფორმაციის არარსებობის გამო, ალბათ, არცთუ იშვიათი იყო შემოქმედებითი დუბლირება. ისტორიულად არაერთი ცოდნა დაიკარგა და ხელახლა მოუხდა ადამიანს მინი აღმოჩენა (მაგ., პელოპონესური თვალსაზრისის, რომელიც კოპერნიკამდე დიდნი ხნით ადრე არსებობდა, ამერიკის კონტინენტი და სხვ.). დღევანდელ პირობებში, კომუნიკაციის მაღალი დონისა და ინფორმაციული სიხვის ეპოქაში, რაღა თქმა უნდა, მოთხოვნა შემოქმედების მინარჩე არსებობა. ყოველი დუბლირება და განმეორება შეიძლება შეფასებულ იქნას არა მხოლოდ როგორც მიზანძვა, რითაც მხატვრულ შემოქმედებას საერთოდ ეკარგება ფასი, არამედ როგორც პლაგიატი. ეს კი ხშირად სუბიექტს მორალურ პასუხისმგებლობასთან ერთად იურიდიულსაც აკისრებს.

ცხადია, შემოქმედების არსი, მისი პრინციპული ბუნება დღეადაც იგივეა, რაც პომპროსის, პიათეორას და რუსთაველის ეპოქაში იყო, მაგრამ ზოგიერთი მომენტი მაინც ახლებურად უნდა დაივინოს. აქ ლაპარაკია არა ჩვენი ცოდნის, ჩვენი მეთოდოლოგიის სიასლზე, არამედ თვითონ საკვლევი ობიექტის ცვლილებაზე.

* დასვლიებით ანალიტიკური მდგომარეობაა „სინამდვილის“ კატეგორიის შინაარსის დადგენის დროსაც. როგორც ცნობილია, ეს კატეგორია ორგვარია: — ფართო და ვიწრო მნიშვნელობით, — იხილეთ. ფართო გაგებით „სინამდვილე“ ყოვლისმომცველი შინაარსისაა, მასში იტულისმება ყოველივე არსებული — მატერიალური

და სულიერი. ვიწრო გაგებით, როგორც კატეგორიული წყვილის ერთი წევრი, „სინამდვილის“ კატეგორიაში მოიაზრება რაიმე შესაძლებლობის რეალუბაცია, განამდვილება. იგი, ამ შემთხვევაში, „სინამდვილის“ აზრით იხიარება.



ასე რომ, სიახლე შემოქმედებაში ობიექტური სიახლე უნდა იყოს, ეს თანამედროვე შემოქმედისათვის ერთგვარი დაუწერელი კანონია, მორალური იმპერატივი.

ჩვენი კვლევის ამ ეტაპზე შემოქმედება შეიძლება განესაზღვროთ როგორც მოღვაწეობა, რომლის შედეგადაც იქმნება ობიექტური სიახლე.

შეგვიძლია თუ არა აქ შევჩერდეთ? ცხადია, არა. განა ყოველგვარი ობიექტური სიახლე ჩაითვლება შემოქმედების პროდუქტად? ვთქვათ, ქებაში ნახეთ ახლებური ფორმისა და შეუფერლობის სანაგვე ურნები, როგორც მანამდე არსად ყოფილა, ან თქვენს ოჯახში დიასახლისმა მიაღწია სრულიად ახლებური (ობიექტურად) მურაბა (პ. ენგელშეიერის მაგალითია) — შეიძლება ერთი, ან მეორე შემოქმედების პროდუქტად ჩაითვალოს? არა მგონია, ვინმემ დადებითად უპასუხოს ამ კითხვას.

ჭეშმარიტი შემოქმედების პროდუქტს საზოგადოებისათვის (ან ადამიანთა დიდი ჯგუფისათვის) უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი მატერიალური ან სულიერი ღირებულება. იგი კულტურის შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს, მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენდეს განვითარების ობიექტურ პროცესზე და ადამიანთა ფსიქიკაზე.

განივიარების უსოგადოები ტენდენციის, აღმასვლისა და პროგრესის სიბრტყეში განხილული შემოქმედება პოზიტიური შინაარსისა და საერთოდაც, შემოქმედების ცნებაში ყოველთვის დადებით შინაარსს ვგეგმთ ხოლმე მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ არსებობს კულტურის, ცივილიზაციის თვალსაზრისით ნეგატიური შემოქმედება და მისი პროდუქტები. არსებობენ ე. წ. „ბოროტი გვირგვინი“, რომლებიც მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს ქმნიან.

აქ წინა პლანზე დგება შემოქმედებისა და მორალის საკითხი. ჩვენი აზრით, ეს მხარე გადამწყვეტია არ უნდა იყოს შემოქმედების ცნების დეფინიციისათვის, მითუმეტეს, რომ შექმნილ ღირებულებებში შეიძლება უარყოფითი შინაარსიც მოიპოვებოდეს. ღირებულება მხოლოდ დადებითი როდია, მხოლოდ სიკეთესა და პროგრესს როდი ემსახურება, მას შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო მიზანი და შინაარსი ჰქონდეს (მაგ. მასობრივი განადგურების საშუალებები). უარყოფითი ღირებულების შექმნილიც შემოქმედია, მაგრამ მისი პროდუქტის შეფასება განსხვავებული ეთიკური პოზიციიდან ხორციელდება.

ამჯერად, შემოქმედების ცნების განსაზღვრა შეგვიძლია როგორც პიროვნების ისეთი მოქმედებისა, რომლის შედეგია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ახალი მატერიალური და სულიერი ღირებულებანი.*

ამ დეფინიციამ ძირითადად შემოქმედების ობიექტური ფაქტორს, რაც უმთავრესად შემოქმედების პროდუქტს და არა პროცესის შეფასებას წარმოადგენს. ხომ არ არის აუცილებელი რაიმე სუბიექტური ფაქტორის გათვალისწინება, ურომლისოდცა ღირებულება ვერ ჩაითვლებოდა შემოქმედების პროდუქტად?

იქნებ ასეთ ფაქტორს წარმოადგენს თავისუფლება? მხოლოდ დეტერმინირებული, აუცილებლობით განსაზღვრული

მოქმედება არ შეიძლება შემოქმედება იყოს. შემოქმედ პიროვნებას უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება, უნდა შეეძლოს ნებისმიერ მომენტში უარი თქვას ქმნადობის პროცესის განხორციელებაზე, იგი არ უნდა განიცდიდეს ამ მხრივ გარკვენი ფაქტორებისაგან იძულებას. შემოქმედების თავისუფლება ამავე დროს მისი გამომწვევი იქნება მანქანური „შერქმედებისაგან“, რომლის პროდუქტის შეფასებაში სუბიექტური ფაქტორის მონაწილეობა გამოირიცხება.

შემოქმედების თავისუფლება სამი მნიშვნელობით შეიძლება განვიხილოთ: ბუნების დეპატივიზმისაგან, სოციალური ჩაგვრის, ექსპლუატაციისაგან და ავტორიტეტების, ე. წ. „იდეოლოგიის“ გავლენისაგან. ეს უკანასკნელი მინიჭან თავისუფლებას წარმოადგენს, ურომლითაც არ არსებობს ჭეშმარიტი შემოქმედება.

შემოქმედების ცნების დეფინიციის საბოლოო სახე ასეთი შეიძლება იყოს: შემოქმედება არის პიროვნების თავისუფალი მოქმედება, რომლის შედეგია სრულიად მნიშვნელოვანი ახალი მატერიალური და სულიერი ღირებულებანი.

რასაკვირრება, ჩვენ არ მივფანინა, რომ ამ დეფინიციამ ყველაფერი რიგზე და მას ხარვეზი არ შეიძლება ჰქონდეს. რაც უნდა პარადოქსული ჩანდეს, უნდა ითქვას, რომ ჩვენი კვლევა ჯერ-ჯერობით ბევრად არ ცილდება მეთოდოლოგიური პრინციპების გარკვევის დონეს.

ჩვენს მიერ განხორციელებული დეფინიციაც, ადვილი შესაძლებელია, ერთ-ერთი რიგითი ცდა აღმოჩნდეს, მაგრამ გარკვეულად შეუწყოს ხელი მოზაიკა ჭეშმარიტ დეფინიციას. ეს განხორციელება ჩვენს მიერ, თუ სხვა მკვლევარების მიერ, არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ შემოქმედების ფილოზოფიური პრობლემა ყოველმხრივი დამუშავებისა და გააზრების გარეშე თვით შემოქმედების ცნების განსაზღვრა ყოველთვის არაზუსტი იქნება. მეორე მხრივ, შერქმედების ცნების უქონლობა გამაძნელებს ზოგად თეორიის დამუშავების საქმეს. საჭიროა იმათივე დიდგნული იქნას შემოქმედების შესაძლებელი საზღვრები, საკითხთა მთავარი წრე, უძირითადესი შემოქმედებითი მიმართულებანი და ა. შ.

ამ თვალსაზრისით, ალბათ, მნიშვნელოვანია პიროვნების, თავისუფლებისა და საერთოდ, ადამიანის არსების პრობლემები, რომლებთანაც მიმართების გარკვევა აუცილებელია შემოქმედების ჭეშმარიტი ბუნების დადგენისათვის.

ლიტერატურა:

1. К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений.
2. ე. ი. ლენინი, დიდი თოსნობა, თბზ., ტ. 29.
3. Человек и творчество, сб., М., 1973.
4. Давыдова Г., Диалектика и творчество М., 1976.
5. Эдвард де Боно. Рождение новых идей, М., 1976.
6. Григорьев Б., Философия о сущности человека, М., 1973.
7. Энгельмейер П., Теория творчества. Спб., 1910.
8. Эрберг К., Цель творчества. Петерб., 1919.
9. Налчаджян А., Некоторые вопросы интуитивного познания в научном творчестве, Ер., 1968.
10. Философская энциклопедия, т. 5.
11. Философская энциклопедия, т. 3.

* დაახლოებით ასე განსაზღვრავს შემოქმედებას ცნობილი რუსი ფსიქოლოგი ს. რუბინშტეინი.



წიგნი და მისი ავტორი

საპარტვალოს თეატრალური საზოგადოება. 1978 წელი.

გაილ კენაძე

მომცემი საზოგადოების რეგისტრაცია უნივერსალისტებისა და წარმართების მიხედვით მრავალსაფეხრო და ასპექტი. ახლა რეგისტრაციის გარეშე შეუძლებელია თეატრის, კინოსა და ტელევიზიის განვითარება, — მისი რომელიმე არსებითი პრობლემის გადაწყვეტა კი, რეგისტრაცია შეიქნება ფართო სანახაობით ზემოქმედება, სახალხო დღესასწაულებში. ერთი სიტყვით, გლობალური მასშტაბები მიეცა მას. თანდათან იტოვება მისი საზღვრები, სულ უფრო მეტად მრავალმხრივად ხდება იგი, ჩნდება ახალი სფეროები, ახალი ფორმები. რეგისტრაციის წიაღში იქმნება მოვლენათა და ტენდენციათა უამრავი შრეები. ერთმანეთს ეხრებიან ან ავსებენ სხვადასხვა დინამიკის მისი უამრავი შენაკადები. ყოველი ახალი მოვლენა აღძრავს ახალ ინტერესს, იწვევს ახალ ემოციებს, აზრებს, საბოლოოდ კი მისი სახელე განსაზღვრავს მისსავე ადგილს საერთოდ რეგისტრაციულ აზროვნებაში. ჩვენ ვინა ვისაუბრობთ სწორედ ამგვარ სახელეზე, თანამედროვე ქართული რეგისტრაციის ცხოვრებაში წარმოქმნილ ახალ მოვლენებზე. ეს მოვლენა კი ფიქსირებულია წიგნის სახით, რომელსაც „სანამ რეგისტრაცია დაიწყება“ ჰქვია...

მიხეილ თუმანიშვილის წიგნის განხილვა შეუძლებელია იმ გზისა და პროცესების გათვალისწინებლად, რომლებიც წიგნის შემქმნელის სახელთან არის დაკავშირებული. მ. თუმანიშვილის წიგნი მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართული თეატრალური ცხოვრებაში.

მ. თუმანიშვილის წიგნამდე გამოვიდა კ. მარკანიშვილის ლიტერატურული მეტაკრიტიკის ტომეულები, მას შეემატა ს. აბმეტელის ერთომეული, გამოვიდა დ. ალექსიძის წიგნი „თეატრალური ხელოვნება“. მკითხველმა დიდი ინტერესით წაიკითხა ა. ვასაძისა და დ. ანთაძის მეშუარები. რეგისტრაცია და მსახიობთა ამ წიგნებს წინ უსწრებდა დ. ალექსიძის შრომა „რეგისტრაციის და მსახიობის ისტორიის საკითხები“, მ. გიომეორელის „რეგისტრაციის საკითხები“ და სხვა. ასე რომ, გარკვეული თეატრალური ლიტერატურა შემქმნის ჩვენმა რეგისტრაციამ. მკითხველთა ფართო ავდიტორიის გაყენების თაივანი დიდი გამოცდილების შედეგებში, გამოხატეს თაივანით ნაფიქრი და განცდილი. ერთი სიტყვით, კარგი საქმე გაკეთდა, მა-

გრამ საიღუმლო არ არის, რომ ქართული თეატრის მოღვაწეებმა მანც იშვიათად წერენ თაივანთ პროფესიისაზე (სხევე ცტოა იწერება მათ შესახებ). რეგისტრაციის პროფესიის თაივანებურება კი, პირიქით, მაგალითს უნდა იძლეოდეს. ძველი ქართული თეატრის მოღვაწეები (ვ. აბაშიძე, დ. მესხიშვილი, ვ. გუნიას, კ. უფიანი და სხვ.) სხირად წერდნენ შრომებს, რეცენზიებს სხვადასხვა პრობლემებზე, უფურადღებოდ არ რჩებოდნენ თეატრალური ცხოვრების ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოვლენა. მათი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიკრინა და დ. ჩანელიძის რედაქციით გამოვიდა ამ რამდენიმე წლის წინათ. სამწუხაროდ, ამ სტრიის წიგნების გამოცემა შეწყდა.

ამჟერად ჩვენი საუბრის თემს შეადგენს მ. თუმანიშვილი და მისი წიგნი, რომელიც თეატრალურმა საზოგადოებამ გამოცემა. (წიგნს წინ უძღვის რედაქტორის ნ. ურუშაძის ლაიონიურად დაწერილი შესავალი).

* * *

მიხეილ თუმანიშვილი არა მარტო გამოჩენილი რეგისტრირია, არამედ ფართოდ აღიარებული პედაგოგიც. იგი განსახიერება პედაგოგი-რეგისტრირის დიპლომ და ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს თეატრში.

მ. თუმანიშვილმა დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრის განახლებაში, მის სახელთან არის დაკავშირებული ახლებური თეატრალური აზროვნების წარმოქმნის მნიშვნელოვანი ეტაპი. თუმანიშვილმა ძლიერ ბიძგი მისცა მრავალმხრივან ექსპერიმენტულ მიეებებს. დაიკვა და ადამალა თვით არსი ექსპერიმენტალიზმისა, თავის დროზე ახმეტელი რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ თეატრს უწოდებდა. მხოლოდ „უაჩაღების“ დადგმის შემდეგ განაცხადა, რომ დამთარდა ექსპერიმენტულ მიეებთა სიკაბუჯის ეტაპი (რომელიც რომარტეტული თეატრის ესთეტიკისათან იყო წინადაკარი). — იწეება მიეებთა ახალი ხანა.

მ. თუმანიშვილი კარგად იცნობდა ახმეტელის შემოქმედებას, სიკაბუჯის წლებიდანვე მოხიბული იყო მისი თვითმეობად ტა-

ლანტი. მან იცოდა თუ რა იყო ამხეტელის ხელოვნების ნაშედეგი ღირსება. ამიტომ გაეშალა მუტოთა ყველაფერ იმას, რაც „ამხეტელისმის“ ინტრაცას, მისი შემოქმედების არის ფასილიტაციას შეადგენდა. ფიქრი ერთობ ძლიერი აღმოჩნდა. ბევრს ასხვს თუ რა რეაქცია გამოიწვია 50-იან წლებში მ. თუმანიშვილის სექტალებმა. რეისორის გზა არ იყო ია-ვარდით მოფენილი. ერთობ სუსხინა და წინააღმდეგობრივი გახლათა იგი. თავადაც განიცადა წარმოებების ტყელო, მაგრამ თანდათან დაიპყრინა, დაკრისტალდა ბევრი რამ.

მ. თუმანიშვილი კეთილ ვითარებაში შეაღწეო რეისორად რჩებოდა. ქართული თეატრში კი პედაგოგ-რეისორის ტიპის წარმოქმნა თავის საწყის პერიოდშივე დაკავშირებული იყო რეისორული აზროვნების გართულებასთან. იგი ნიშნავდა თეატრის შემოქმედებითი არსების ვადატობებს, სამსახიობო ხელოვნების პროფესიული ოსტატობის ამაღლებას.

რეისორ-პედაგოგის განცნა ისტორიულად აუცილებელი და კანონიერი მოვლენა იყო, თეატრში ახალი ნაკადის შეჭრის მოთხოვნილება ახალგაზრდა მსახიობთა აღზრდასა გულისხმობდა. საკურო იყო მათი „გაწერონა“, სცენისთვის მომზადება, სცენისმონტაჟის პროფესიული „არტისტული“ ვადატება. მაგრამ არც ეს იყო საქმარისი. „ძველებსაც“ სჭირდებოდათ თვითგანახლება, სამსახიობო ტექნიკის ცოდნა. ასე რომ, ბევრი საფუძვლილ და საზრუნავი ჰქონდათ ქართული თეატრის თავაყცებს. ისინი დიდ დროს უთმობდნენ მსახიობის აღზრდის პრობლემებს. ჯერ კიდევ 1885 წელს კ. ყუდიანი მოითხოვდა შექმნილიყო სასცენო ხელოვნების შემსწავლელი სკოლა: „სასცენო ხელოვნების შესწავლისათვის სკოლა არის საჭირო; არც ერთს თეატრს არ უხერხინა ეგრნაში, თუ თავისი სკოლა არ ჰქონია; საზრუნავით, იტალიაში და ვერმონიაში არ მიიღებენ ხოლმე თეატრში იმ არტისტს, რომელსაც სწავლავანალაფერ არ მყოფია თეატრალურ სკოლაში“. მისი აზრით, „სახლავარგაით, თუ რუსეთში, ერთმა ვინმემ რომ დაიბახის, არიქა აქ მოდით, ჩემთან, მე გასწავლოთ სასცენო ხელოვნებას, — იმ წაშვებ ასობით ცეცხა იმას ხაზლი და დაუწყებენ ურის ვახლას“. კ. ყუდიანიც, კ. მუხისი, ვ. ახაშიძისა და სხვა მოდელვითა მოწოდება, სასცენო ხელოვნების შესწავლის შესახებ, არსებობდა. ნაწილი იყო იმ დიდი ბრძოლისა, რომელიც პროფესიულმა მსახიობებმა გაუმართეს სცენისმონტაჟურთა ჩვეულებსა და ილიტანტობას. პროფესიული ოსტატობის ამაღლებასთვის წარმართულ ამ დიდ მოძრაობაში ნაწილად ჩანს რეისორის ხელი.

კ. ყუდიანი და კ. მუხისი ევროპული განათლების ინტელექტუალები იყვნენ და მათი თეატრალური შეხედულებებიც გარკვეულ წინადადებებს უყრებოდა. მათი თეატრული ევროპული თეატრალური კულტურასთან არის დაკავშირებული.

აღზრდის პრობლემებზე ქართული მოდელვითა ვახაბიფიციური უყრადება შემოხვევითი არ იყო. თეატრის მსევერებთან გრძობდნენ, რომ პროფესიული თეატრი მოითხოვდა არაპროფესიული ჩვეულებსაგან განსწავლად, თეატრის ისტორიული მისია ავადმუდ და მათ თანამედროვეობის დონეზე წამართლო თეატრის შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობა. ეს იმხვე წინაშეს, რომ სტრუქტურულად რთულდებოდა თეატრი, ოსტატებდა მისი როლი, ძლიერდებოდა მაყურებლის მომთხოვნელობა, თეატრი და მათურდებოდა სულ უფრო და უფრო კარავდა იყო ინფორმირებული თუ რა ღებობდა მსოფლიოს თეატრალურ ცხოვრებას.

საკურო ვახდა ქართული თეატრის ფეხი აწეყო ცეკვის ტრადიციის. ამ ფუნქციის შესრულებას თეატრს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა ჰყავს კარავდა აღზრდილი პროფესიული მსახიობი. ამ დღეი საქმის წინააღმდეგობა კი შეუძლია ფაქრი განათლების ადამიანს, — რეისორს. გამოჩენილი მსახიობები, რომლებმაც დიდი შემოქმედებითი ავტორიტეტი მოიპოვეს, ცდილობდნენ მტკიცე სასუძელოდ დაეყრნოთ სასცენო ხელოვნების შესწავლის საქმე. ამავარ პირობებში თანდათან ყალიბდება რეისორის ერთობ რთული ფორმა. მისი არსი ის ვახლავთ, რომ ერთსადაიმევე დროს იგი ზრუნავს საქცეკვის დავდებით მხარეზე, ეწევა ორგანიზაციულ-

ტექნიკურ მუშაობას, მეორეს მხრივ კი ასრულებს აღზრდილი-მედაგოგის რთულ საქმიანობას. ამ მეორე ტენდენციას უფრო ძლიერად ავლენენ ვ. ახაშიძე და მეხისოვილი. სწორედ მათ შექმნეს გარკვეული სკოლა: ვ. ახაშიძემ აღზარდა მსახიობთა მთელი თაობა, იგვევ ვაკეთა და მეხისოვილიც. ქართული თეატრში წარმოიქმნა ყოფითი რეალისტური კომედიისა და გმირულ-რომანტიკული თეატრის მძლავრი ტენდენცია. მათი მეორეობი არა მარტო დღეი მსახიობები, არამედ რეისორ-აღზრდებიც იყვნენ.

1890 წელს დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე ვ. თუმანიშვილი ერთობ საინტერესო საკითხი მოავდა. მან წინადადება შეიტანა საქარველოში დრამატული კლასების დაარსების შესახებ. მ. თუმანიშვილი სკოლის საქირობებს ასე ვახებუბებს. „...გამოუცდელობის ვახავარგებლად უფეველად საქირო სკოლა. სკოლა ამის გარდა ვარავრდებს მოთამაშეთ. ვინც ეხლა უხეშმადვანელოდ გულს ტარებებს სცენაზე და ჩქარა სტრავებს იმას, ის სკოლაში შეისწავლის და შეიყვარებს სცენას. ვინც ეხლა ვერ ბედავს პირდაპირ ვამოსვლას სცენაზე მოუწადუნელოვ, ის ხალისიანად მიიღებს მოწადუნობას სკოლის წარბოგებებში, ვისაც ეხლა თავისი მდგომარეობის გამო ეზინია აქტიორის თვისებები ხედავს, ის არ ითავლებს სკოლაში ვავარგებებს თავისი მოწიფისა კლასის უფროსი უნდა იყო დახელოვნებული... რეისორი... მხოლოდ ამავრად შესდებება მოთამაშეში ნაშედეგი დასი არტისტებისა“.

